მარინე ლომიძე

სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები: დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივნისი, 2014

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლომიძე მარინეს** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “ **სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები: დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა**” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: თამარ კილაძე

რეცენზენტი: გ. ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: გ. ტაბატაძე

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2014 წელი

ავტორი: ლომიძე მარინე

დასახელება: სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები: დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: თარიღი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებებია: დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა. სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ამიტომ ქვეყნისთვის, რომელიც ახდენს ინვესტიციების იმპორტს, მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს შეფასება. კერძოდ, იმის გაანალიზება, თუ რამდენად ხელსაყრელი სიტუაციაა ინვესტორისათვის კაპიტალის დასაბანდებლად.

ინვესტორი მრავალმხრივ აფასებს სიტუაციას, თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტიკური და რაც მთავარია, ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი აანალიზებს ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორს და განსაზღვრავს ინვესტიციურ რისკს.

როგორც ცნობილია, უცხოური კაპიტალის მოძრაობა მნიშვნელოვნად უწყობს ეკონომიკური კრიზისის შერბილებას და ცხოვრების დონის დაცემის და უმუშევრობის ზრდის შენელებას და საშუალებას იძლევა სახელმწიფო ვალის გადიდების გარეშე მიღწეულ იქნას ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ნაკლებად მიმზიდველია როგორც გარეშე, ისე ადგილობრივი ინვესტორებისთვის. ამიტომ საჭიროა ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების კომპლექსურად შესწავლა და შესაბამისად მათი აღმოფხვრის გზების ძიება.

საქართველოს საინვესტიციო გარემო, ზოგიერთი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია. მას მრავალი მიზეზი გააჩნია, რომელთა შესწავლას, აღმოფხვრის გზების დადგენას და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ზემო აღნიშნული პრობლემების შესწავლა წარმოადგენს კვლევის მიზანს. რის მისაღწევად აუცილებელია დაისვას შემდეგი ამოცანები:

- შესწავლილ იქნას ინვესტიციური პროექტების რეალიზაციის რისკები და გამონახულ იქნას მათი შემცირების გზები;
- გაანალიზდეს ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის მეთოდოლოგიური საკითხები და გამოვლინდეს მისი ზრდის რეზერვები.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა, სამრეწველო პროექტების დაგეგმვის შინაარსი, გეგმების შემადგენლობა და სტრუქტურა, ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლის მეთოდები სამრეწველო პროექტირების და დაგეგმვის ეტაპზე, გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები და მეთოდები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის მოდელირება.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები, სამრეწველო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში, სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები, საინვესტიციო გარემოს გაჯან-საღების აუცილებელი ღონისძიებები და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სამამულო და უცხოელი ავტორების საინვესტიციო დაპროექტების პრობლემებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომები, ცნობილი მეთოდური რეკომენდაციები და გამოცდილება.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული იმ საკვანძო პრობლემებზე, რომელთა ათვისება საინვესტიციო დაპროექტებით დაინტერესებულ სპეციალისტებს დაეხმარება გაერკვნენ და ლოგიკურად მოიაზრონ ნაშრომში ჩამოყალიბებული საკითხების შინაარსი, კერძოდ:

საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ამისთვის კი აუცილებელია:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა;
- ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;
- სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე;
- შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სათანადო სისტემა.
- შეფასდეს საქართველოში პროექტების რეალიზაციის რეალურად არსებული პრაქტიკა, გამოირკვეს ამ საქმეში არსებული ნაკლი და სიძნელეები, რომლებიც არსებითად მოქმედებენ რისკების სისტემაზე. რომლის შემდეგაც მიღებული უნდა იქნას რისკების შემცირების ზომები მისაღებ დონემდე;
- როგორც საკანონმდებლო, ისე ნორმატიული კუთხით იმ მოქმედებების დარეგულირება, რომლებიც ააცილებენ ბიუოკრა ტიულ დაბრკოლებებს სასარგებლო პროექტების აქტიური მხარდაჭერის საქმეში, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა საშუალებებით, რაც ტარდება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე; საინვესტიციო დაზღვევის სფეროში ეკონომიკური რისკების დაზღვევა;
- გამოვიყენოთ იმ რისკების კლასიფიკაცია, რომლებიც არსებობენ ან იქმნება მოცემული სახის საინვესტიციო პროექტისათვის. საინვესტიციო პროექტის რისკების დაზღვევისათვის მზადებისას აუცილებელია გამოკვლეულ იქნას რეალურად არსებული რისკების სისტემა და დოკუმენტურად მკაფიოდ იქნას დაფიქსირებული.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ინვესტიციური კრიზისის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დავსახოთ ინვესტიციური სფეროს განვითარების გარკვეული პერსპექტივები. სახელდობრ, ინვესტიციური პროცესის გააქტიურებისა და სრულყოფისათვის მიზანშეწონილია შემდეგი წინადადებების დაყენება:

- აუცილებელია ისეთი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც მუდმივად იქნება საინვესტიციო პოლიტიკით დასაქმებული;
- საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომლის განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოების მოცულობის დაქვეითებით, საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობითა და შრომის მწარმოებლურობის კრიტიკული დონით ხასიათდება, არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს დაგროვების ნორმის გადიდებისათვის.
- შიდა კერძო ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, რადგან სწორედ მათ უნდა შექმნან ქვეყანაში ინვესტიციური პროცესის ფინანსური საფუძველი და ეს ორიენტირი სავსებით ესადაგება ინვესტიციების მსოფლიო პრაქტიკას.
- სახელმწიფომ ინვესტიციური პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებითა და დაკრედიტებით, მიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი დაგროვების ფონდის ზრდას.
- ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობა და ა. შ.). და ბოლოს, ეს ის წარმოებებია, რომლებსაც ქვეყნისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

დღეისათვის შექმნილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებულ ობიექტების რესტრუქტურიზაციას და მენეჯმენტს, მაგრამ, სასურველია მას დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

- ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ინვესტირების უფლებების დაცვა;
- ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია;
- ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე კონტროლი; ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება;

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები სახელმწიფო ინვესტირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს და ამდენად, ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კაპიტალ დაბანდებები და უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკურ შეღავათებთან კერძო საინვესტიციო ნაკადები. კონკრეტულ მიმართულებაზე ინვესტი რების სტიმულირება კერძო ინვესტორებს მისცემს გრძელვადიან ასპექტში თავიანთი საქმიანობის დაგეგმვის შესაძლებლობას, ეს კი აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის შემდგომი გააქტიურები-სათვის.

Abstract

Measures to improve industrial project management: planning, design and construction. The complex logistics of the operation is not possible without investment. So the country that imports the investments, the investment environment is important for evaluation. In particular, to understand how the situation is favorable for the investor.

Investor's comprehensive assessment of the situation, whether it is favorable to invest in ideological, political and, most importantly, in economic terms, he analyzes all the factors and determines the effectiveness of investments risk.

As it is well known, foreign capital flows significantly contribute to mitigate the economic crisis and unemployment and falling living standards and allow economic growth be achieved without increasing the national debt.

Analysis of the present state of economic development shows that the country's investment environment is less attractive for foreign investors, as well as local investors. That's why we need such a complex study of the causes of the condition and the ways of their elimination.

The investment environment, despite some taken measures is still less attractive. It has many reasons. To study them, ways to eliminate them and increase efficiency of the investments is of paramount importance.

The purpose of the study is of the above mentioned problems.. To achieve it it's necessary to set the following tasks:

- To study the risks of investment projects realization and find their reduction ways;
- Identify and analyze methodological issues of investments economic efficiency and reveal the growth reserves.

The first chapter of the thesis deals with the management of industrial projects planning, design and construction , industrial projects planning content, composition and structure of plans , methods of calculating economic efficiency, models and methods of decision-making at the industrial design and planning stage and modeling of decision-making process.

The second chapter of the thesis deals with the measures for improving the management of industrial projects, condition of industrial construction in Georgia, main trends in improvement industrial projects management, necessary measures for improving investment environment and issues of forecasting investment in Georgia at the present stage.

Fundamental works, well-known methodical recommendations and experience by our and foreign dedicated to investment projecting problems are used in the dissertation.

The paper focuses on the key issues and mastering them well help interested specialists in investment projection to understand and logically realize the content formulated in the work, in particular:

An analysis of ongoing reform period in Georgia's shows that the urgent task is to create a favorable investment environment. For this purpose it is necessary:

• Macro-economic stability;

• Creation of a civilized legal space, which will be supported by the laws of the market economy;

• In the state fiscal policy make conspicuous the stimulating role, which will strengthen the financial position of the majority of enterprises and their investment activity in the country. In addition, this event will have a positive impact on attracting foreign investment;

• To establish a proper system of insurance for investment projects.

• To assess the current practice of projects realization in Georgia, reveal drawbacks and difficulties that substantially affect the risks. Risk reduction measures should be taken to an acceptable level;

• Regulation of the activities with respect to legislation and normative factors which will eliminate obstacles is supporting useful projects, by tax allowances and other means which are held in both local and regional levels;

Insurance of economic risks in the sphere of investment insurance;

• Use the risk classification that exist or are being created for a given type of investment project. In preparation of the investment project risk insurance really existing risk systems must be examined and clearly document.

Through the analysis of the current investment crisis in our country, it is possible to outline of certain prospects of investment development. In particular, for the activation and improvement of investment process the following proposals should be recommended:

• It is necessary to create a competent national authority, which will be permanently employed in the investment policy;

• The accumulation norm optimization problem in Georgian transitional economy is crucial. Its definition depends on the solution of real actual social economic tasks. Current economic condition, with its decreased production volume nonperforming industrial enterprises and low labor efficiency does not promote favorable conditions for the increase of accumulation of norms.

• Encouragement of domestic private investments, because they have to create financial foundation of investment process in the country's, and this point is quite compatible with the world investment practice.

• The state by financing and crediting of investment projects and targeted programs should substantially promote to the increase of accumulation fund.

• Selection of the optimal investment directions. Fields that provide economic political security of the country should get priority (fuel - energy complex, the agro-industrial complex, communications and so on.). In the end, these are the industries which have great strategic importance for the country.

Nowadays Georgian National Investment Agency, under the Ministry of Economic Development has been established, which is the restructuring and monitoring privatized of facilities management, but it is advisable to add it the following functions:

• Identify the goals and objectives of investment activities;

• Investment rights protection;

• formation and implementation investment and scientific - technical policy;

• Creating a legal basis for investment activities and the control on its functioning; forecasting of investment activities, defining of investment main trends and working out concepts;

• attracting foreign investment, regulation and allocate them in the priority sectors of the economy.

The economic development priorities of the state should become an important part of the investment mechanism and thus, state capital investment should be implemented and private investment flows should be ensured together with economic allowances. Stimulate private investors to invest in a particular direction will give them possibility to plan their activities on a long-term, and this is a necessary condition for investment further activation in the count.

შინაარსი

შესავალი.....16

I.ლიტერატურული მიმოხილვა.....24

II.შედეგები და მათი განსჯა.....40

2.1.სამრეწველო პროექტების დაგეგმვის შინაარსი, გეგმების შემადგენლობა და სტრუქტურა.....40

2.2.საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ძირითადი მიმართულებები 49

2.3.ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლის მეთოდები სამრეწველო პროექტირების და დაგეგმვის ეტაპზე.....61

2.4. გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები და მეთოდები, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის მოდელირება.....79

2.5. სამრეწველო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში 100

2.7. საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელი ღონისძიებები საქართველოში.....136

2.8. ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე.....157

დასკვნა.....163

გამოყენებული ლიტერატურა.....169

ცხრილების ნუსხა

ცხრილის №	ცხრილის დასახელება	გვერდი
1	მშენებლობის დარგის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით	107
2	მშენებლობის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით	108
3	მშენებლობაში პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით	109
4	მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით	110
5	დამატებითი ღირებულების მოცულობა მშენებლობაში საწარმოთა ზომის მიხედვით	111
6	შუალედური მოხმარების მოცულობა მშენებლობაში საწარმოთა ზომის მიხედვით	111
7	მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით	112
8	მშენებლობაში შრომითი დანახარჯების მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით	113
9	მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით	114

ნახაზების ნუსხა

ნახაზის №	ნახაზის დასახელება	გვერდი
1	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	103
2	2009-2012 წლებში განხორციელებული ინვესტიციები სექტორების მიხედვით	104
3	უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2013 წლის I კვარტალში (%)	104
4	უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წლის I კვარტალში (%)	106
5	მშენებლობის დარგის ბრუნვის მოცულობა	107
6	მშენებლობის დარგის პროდუქციის გამოშვება	108
7	მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა	109
8	მშენებლობის დარგში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	109
9	მშენებლობის დარგის დამატებული ღირებულება	110
10	მშენებლობის დარგის შუალედური მოხმარება	111
11	მშენებლობის დარგში დაქირავებულთა რაოდენობა	112
12	მშენებლობაში საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობა	113
13	ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მშენებლობის დარგში	114

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანმა, პროფესორმა ოთარ გელაშვილმა, მეცნიერ-ხელმძღვანელმა, პროფესორმა თამარ კილაძემ დეპარტამეტის უფროსმა პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა რომელთა განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება, რისთვისაც მათ მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

ასევე მადლობა ჩემს ოჯახს გვერდში დგომისათვის, თანაგრძნობისათვის. ასევე მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის ვინც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში დახმარება გამიწია რჩევით თუ მორალურად.

შესავალი

თემის აქტუალურობა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ აუცილებელი გახადა მართვისა და დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემის შეცვლა საწარმოს, დარგის, რეგიონის თვითმმართველობით და თვითრეგულირებით.

საწარმოს მასშტაბების ზრდა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელს ხდის დაგეგმვას მიკროდონეზე. საბაზრო ეკონომიკაში, კონკურენციის მკაცრი კანონების პირობებში, შეუძლებელია (ფირმის) საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება ტექნიკურად დასაბუთებული პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების და ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მოქმედი საწარმოს მოდერნიზაციის, ახალი საწარმოს შექმნის, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისების, წარმოების მოცულობის ზრდისა და მოგების მიზნით ფულადი სახსრების დაბანდების გარეშე.

საჭიროა გაანალიზდეს ფინანსური ბაზრის მდგომარეობა ქვეყანაში, მოზიდულ და სამამულო ინვესტიციებს შორის თანაფარდობა, ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორი და განსაზღვროს საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკი. აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის, რომელიც ახდენს ინვესტიციების იმპორტს, ინვესტიციური გარემოს მდგომარეობა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას. ის აისახება მოზიდული ინვესტიციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებში.

ვინაიდან უცხოური კაპიტალის მოძრაობა ხელს უწყობს ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შერბილებას, ცხოვრების დონის დაცემისა და უმუშევრობის ზრდის შენელებას და საშუალებას იძლევა სახელმწიფო საგარეო ვალის გადიდების გარეშე ქვეყანაში შემოტანილ იქნას ახალი მოწყობილობები და ტექნოლოგიები, გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საბიუჯეტო შემოსავლები, უპრიანია სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდეს საინვესტიციო გარემო გაჯანსაღება.

საქართველოს ეკონომიკური განვთარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ნაკლებად მიმზიდველია როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის. ამიტომ საჭიროა ამის გამომწვევი მიზეზების კომპლექსური შესწავლა და შესაბამისად მათი დაძლევისათვის ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პროცესების კოორდინაცია.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხების მიზანმიმართული და კომპლექსური გადაჭრა, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით; სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა და ა.შ.

მსოფლიოში ინვესტიციების, საინვესტიციო საქმიანობის შესწავლის მეტად მდიდარი გამოცდილება არსებობს. ინვესტირებისა და მისი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის პრობლემები ამა თუ იმ კუთხით განხილულია ა. სმითის, დ. რიკარდოს, ა. მარშალის, კ. მარქსის, ჯ. კეინსის და სხვა ცნობილ მეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში.

საქართველოში საინვესტიციო გარემო, ზოგიერთი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია, რომელთა შესწავლას, აღმოფხვრის გზების დადგენას და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ინვესტიციური გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს ინვესტიციების განთავსებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. კერძოდ იგულისხმება თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის ცალკეული საკითხების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა: ე. ბარათაშვილმა, ლ. ქოქიაურმა, მ. გელაშვილმა, ი. მესხიამ, თ. შენგელიამ, ვლ. პაპავამ, ვ. ბურდულმა, გ, მალაშხიამ, ზ. ვაშაკიძემ, მ.გიორგაძემ, გ, წიკლაურმა, დ. ჩხარტიშვილმა და სხვებმა. ამასთან საინვესტიციო გარემოს მრავალი ასპექტი, მისი გარემოს გაჯანსაღების პრობლემები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. კერძოდ, არ არის გამოკვლეული ის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

პროექტი ზოგადად და კერძოდ, სამრეწველო პროექტი არის პროდუქტის, მომსახურების ან შედეგის მისაღწევად გაწეული დროებითი ძალისხმევა. ცალკეულ პროექტს აქვს განსაზღვრული მიზანი და მკაფიოდ განსაზღვრული დასაწყისი და დასასრული დრო.

პროექტის დასასრული დგება მაშინ, როდესაც მიიღწევა მისი მიზნები ან უკვე ცხადი ხდება, რომ ვერ ხერხდება პროექტის მიზნების მიღწევა ან უკვე აღარ არსებობს მათი მიღწევის აუცილებლობა. პროექტს ახასათებს უნიკალური შედეგი, იქნება ეს პროდუქტი თუ მომსახურება. სრულიად მარტივი სამშენებლო პროექტის განხორციელებაც კი მოითხოვს გარკვეულ მოდიფიცირებას, რაც მას უნიკალობას ანიჭებს.

თითოეული პროექტისთვის დამახასიათებელია სპეციფიური ბიუჯეტი და მოქმედებათა მოთხოვნები. პროექტი იმის მიხედვით ფასდება, თუ რისი მიღწევა მოხერხდა, რა ფასად და რა დრო დასჭირდა მის შესრულებას. ეს კი ხაზს უსვამს პროექტის მართვის ფუნდამენტურ საკითხს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს ამ სამი შეზღუდვის მუდმივი ბალანსირება და ამავდროულად მომხმარებლის სრულად დაკმაყოფილება.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. ნაშრომის კვლევის მიზანია სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები:

დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა. კვლევის მიზნად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა;
- დაგეგმვის შინაარსი, გეგმების შემადგენლობა და სტრუქტურა;
- ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლის მეთოდები პროექტირების და დაგეგმვის ეტაპზე;
- სამრეწველო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში;
-სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები;
-პროექტების ეკონომიკური დასაბუთების სრულყოფის მიმართულებები;
- მენეჯმენტის ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორების გაუმჯობესება;

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. სამრეწველო პროექტების მენჯმენტის თემაზე მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შეტანილი დიდი წვლილის მიუხედავად, დღემდე არსებობს საკითხები, რომლებზეც მეცნიერ ეკონომისტებს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ.

საწარმოო დაწესებულებების ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები განხილულია როგორც ქართველ, ისე რუსი და დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში. რუს მეცნიერთა შორის აღსნიშნავია ვ. ბოგაჩევის, პ.ბუნინის, ვ.ეგიაზარიანის, ვ.კოსოვის, ვ.ლივშიცის, მ. ლომატოვსკის, ა. ლურიეს, ვ. ნავოჟილოვის და სხვათა ნაშრომებში.

დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტთა შორის აღსანიშნავია მ. ბრომვიჩის, ს. ბერენსის, გ. ბირმანის, ჯ. ვან ხორნის, ჯ. კეინსის, რ. კოპტის და სხვათა ნაშრომები. მენეჯმენტის საერთო საკითხებზე მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ ჩატარებული ცნობილ მეცნიერებს, რონ. ა. კირკინს. ედმუნდ ჯ. ჯობინსს, რ. მ. მონსტრას, რ. ნ ჰოლდფილდს, ლ. გ. გუინიპერს, ზ. ი. აფანასიევს და მრავალ სხვა მეცნიერ-ეკონომისტს.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის საკითხებზე მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტი მუშაობს. საწარმოო

დაწესებულებების ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები განხილულია როგორც ქართველ, ისე რუსი და დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში.

თემაზე მუშაობისას გამოვიყენე რუსი მეცნიერების, ვ. ნემტინოვას და ბ. გერასიმოვის ნაშრომი - „საწარმოთა საინვესტიციო პროექტების ხარისხი“. ნაშრომში გაშუქებულია ტექნიკური სისტემების საინვესტიციო პროექტების ხარისხის შეფასება. ლ. გუბკინის ნაშრომში - „საინვესტიციო-ინოვაციური პროექტების ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა“, განხილულია საწარმოთა ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. მ. კანგროს ნაშრომში - „საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები“, გაშუქებულია საინვესტიციო პროექტების შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. კერძოდ, ავტორის აზრით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს წარმატებული განვითარება მჭიდრო კავშირშია მისი საქმიანობის ყველა სფეროს ეფექტურ მართვასთან. ეს პირდაპირ ეხება ინვესტირების რთულ პროცესთან და ამდენად, აუცილებელი ხდება საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასების კუთხით ახალი, ინოვაციური და თანამედროვე მიდგომების გამოყენება. საინვესტიციო ღონისძიებათა დროული და საქმის ცოდნით გამოყენებით საწარმო არ კარგავს თავის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას და მის შემდგომ წარმატებულ ფუნქციონირებას.

ბ. ვორონცოვის და ა. კოლესნიკოვის მონოგრაფიაში - „საინვესტიციო პროექტების საბანკო დაკრედიტება“:

- განხილულია საინვესტიციო პროექტების სისტემაში საბანკო დაკრედი ტების პრობლემების ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები;
- ფორმირებულია საინვესტიციო პროექტების სისტემაში საბანკო დაკრედიტების სისტემის მოდელი;
- გამოვლენილია საინვესტიციო პროექტების საბანკო დაკრედიტებისას რისკების მართვის თავისებურებები;

- საინვესტიციო პროცესების დაკრედიტების პროგრამის ოპტიმიზაციის მოდელის გამოყენების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საინვესტიციო პროექტების საბანკო დაკრედიტების პროცესში ფინანსური დაგეგმვის თავისებურებანი.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე ვისარგებლე მ. სულაბერიძის ნაშრომით - „პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები“, გ. შუბლაძის, ბ. მღებრიშვილის და ფ.წოწკოლაურის ნაშრომით - „მენეჯმენტის საფუძვლები“, ც. ჯაფიაშვილის - „IT-პროექტების მენეჯმენტი, (MSProject-ის გამოყენებით)“ და თ. კილაძის და ნ. დიდიშვილის ნაშრომით „მენეჯმენტის საფუძვლები, მეთოდური მითითებები“ .

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ. მათ შორის აღსანიშნავია თ. კილაძის, ი. ბოჭოიძის,მ.სულაბერიძის, გ.შუბლაძის, მ. ზუბიაშვილის, ე. ბარათაშვილის, ლ.ქოქიაურის და სხვათა შრომები. მიუხედავად აღნიშნულისა, სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის საკითხების მეცნიერული შესწავლა მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. სამრეწველო პროექტების მენეჯმენტი განიხილება როგორც ღია სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები როგორც კომპლექსურად, ისე დინამიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კვლევის შედეგები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებთან. ამდენად, ეკონომიკური თეორიაც ზოგადად მეთოდოლოგიურ საფუძვლადაც გვევლინება.

კვლევის მეთოდად აღებულია სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის ანალიზი. მასთან დაკავშირებული მასალები, ცალკეულ ორგანიზაციათა კვლევის შედეგები და ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი შედგენილია საერთო-სამეცნიერო და დისციპლინათაშორისი შემეცნების მეთოდებით და ეკონომიკური თეორიის დებულებით. კვლევის საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია დარგობრივი საინფორმაციო საიტები და პორტალები, აგრეთვე საავტორო კვლევის რეზულტატები. ნაშრომში გამოყენებულია სამამულო და უცხოელი ავტორების საინვესტიციო დაპროექტების პრობლემებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომები, ცნობილი მეთოდური რეკომენდაციები და გამოცდილება.

მეცნიერული სიახლე გამოიხატება შემდეგში:

- გამოკვლეულია, რომ საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, შემცირდა, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო.
- მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო საწარმოებისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუამავლო სექტორში.
- საინვესტიციო გარემოს შეფასებაში დაგროვილი ადგილობრივი და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად გათვალისწინებული არ არის თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემუშავებული რიგი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულება, სახელდობრ: ქვეყნის და რეგიონის საინვესტიციო გარემოც კი განხილულია მოგების (შემოსავლის) მაქსიმალურად და შეუფერხებლად მიღების მოსურნე

აბსტრაქტული სტრატეგიული ინვესტორის პოზიციიდან. მაგრამ კაპიტალი, ისე როგორც ინვესტიცია, სხვადასხვაგვარია (სამრეწველო, სავაჭრო, სასესხო, სააქციო), ინვესტორებს კი განსხვავებული მიზნები აქვთ.

- მიზანშეწონილია ყველაზე რაციონალური საინვესტიციო გარემოს მაჩვენებლად მოზიდული ინვესტიციების მოცულობისა და მათი ზრდის განხილვა სამეურნეო სისტემის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სამეცნიერო ტექნილიგიური პერსპექტივებისათვის მისი შედეგების გაუთვალისწინებლად.
- საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომლის განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოების მოცულობის დაქვეითებით, საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობითა და შრომის მწარმოებლურობის კრიტიკული დონით ხასიათდება, არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს დაგროვების ნორმის გადიდებისათვის.
- სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობა და ა. შ.).

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში ასახული თეორიული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა დარგებში, ხოლო მეთოდოლოგიური პრობლემები და საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის შეფასება ერთი და იგივეა საინვესტიციო

პროექტების დამუშავებასას, ექსპერტიზასა და რეალიზაციაში მონაწილე ყველა ფორმის საკუთრების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

ნაშრომში ასახული საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასების და ფინანსური მართვის მეთოდების ათვისება დაეხმარება საინჟინრო და ეკონომიკური პროფილის მაგისტრანტებს. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული იმ საკვანძო პრობლემებზე, რომელთა ათვისება საინვესტიციო დაპროექტებით დაინტერესებულ სპეციალისტებს დაეხმარება გაერკვნენ და ლოგიკურად მოიაზრონ ნაშრომში ჩამოყალიბებული საკითხების შინაარსი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი მოიცავს 170 ნაბეჭდ გვერდს, შესავალს, ორ თავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სამამულო და უცხოელი ავტორების სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის პრობლემებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომები, ცნობილი მეთოდური რეკომენდაციები და გამოცდილება.

ყურადღებაა გამახვილებული იმ საკვანძო პრობლემებზე, რომელთა ათვისება სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის არსებული მდგომარეობითა და განვითარების მიმართულებებით დაინტერესებულ სპეციალისტებს დაეხმარება, გაერკვნენ და მოიაზრონ ნაშრომში ჩამოყალიბებული საკითხების შინაარსი. შესწავლილი და შეჯერებული იქნა აგრეთვე ის სპეციალური ლიტერატურა, რომელსაც უშუალო და პირდაპირი კავშირი აქვს მოცემულ შრომაში წამოჭრილ საკითხებთან.

სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის საკითხებზე მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტი მუშაობს. მენეჯმენტის საერთო საკითხებზე მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ ჩატარებული ცნობილ მეცნიერებს.

სამრეწველო პროექტების მენჯმენტის თემაზე მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შეტანილი დიდი წვლილის მიუხედავად, დღემდე არსებობს საკითხები, რომლებზეც მეცნიერ ეკონომისტებს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ. საწარმოო დაწესებულებების ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები განხილულია როგორც ქართველ, ისე რუსი და დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში. რუს მეცნიერთა შორის აღსნიშნავია **ვ. ბოგაჩევის, პ. ბუნინის, ვ. ეგიაზარიანის, ვ. კოსოვის, ვ. ლივშიცის, მ. ლომატოვსკის, ა. ლურიეს, ვ. ნოვოჟილოვის** და სხვათა ნაშრომებში.

დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტთა შორის **აღსანიშნავია მ. ბრომვიჩის, ს. ბერენსის, გ. ბირმანის, ჯ. ვან ხორნის, ჯ. კეინსის, რ. კოპტის და სხვათა ნაშრომები.** მენეჯმენტის საერთო საკითხებზე მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ ჩატარებული ცნობილ მეცნიერებს, **რონ. ა.**

კირკინს. ედმუნდ ჯ. ჯობინსს, რ. მ. მონსტრას, რ. ნ. ჰოლდფილდს, ლ. გ. გუინიპერს, ზ. ი. აფანასიევს და მრავალ სხვა მეცნიერ-ეკონომისტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის საკითხებზე მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტი მუშაობს. საწარმოო დაწესებულებების ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლე ბი განხილულია როგორც ქართველ, ისე რუსი და დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში.

დისერტაციაში გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია გამოყენების მიხედვით. აქ შევეხებით მხოლოდ ისეთ ლიტერატურას, რომელიც საერთოწარმოდგენას იძლევა სადისერტაციო თემის პრობლემატიკაზე. ესენია: **ნემტინოვა ვ., გერასიმოვი ბ. საწარმოთა საინვესტიციო პროექტების ხარისხი.**

ნაშრომში გაშუქებულია ტექნიკური სისტემების საინვესტიციო პროექტების ხარისხის შეფასება. ლ.გუბკინის ნაშრომში - „საინვესტიციო-ინოვაციური პროექტების ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა“, განხილულია საწარმოთა ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. **მ. კანგროს ნაშრომში - „საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები“,** გაშუქებულია საინვესტიციო პროექტების შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. კერძოდ, ავტორის აზრით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს წარმატებული განვითარება მჭიდრო კავშირშია მისი საქმიანობის ყველა სფეროს ეფექტურ მართვასთან. ეს პირდაპირ ეხება ინვესტირების რთულ პროცესთან და ამდენად, აუცილებელი ხდება საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასების კუთხით ახალი, ინოვაციური და თანამედროვე მიდგომების გამოყენება. საინვესტიციო ღონისძიებათა დროული და საქმის ცოდნით გამოყენებით საწარმო არ კარგავს თავის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას და მის შემდგომ წარმატებულ ფუნქციონირებას.

ბ. ვორონცოვის და ა. კოლესნიკოვის მონოგრაფიაში -„საინვესტიციო პროექტების საბანკო დაკრედიტება“:

- განხილულია საინვესტიციო პროექტების სისტემაში საბანკო და კრედი ტების პრობლემების ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები;
- ფორმირებულია საინვესტიციო პროექტების სისტემაში საბანკო და კრედიტების სისტემის მოდელი;
- გამოვლენილია საინვესტიციო პროექტების საბანკო და კრედიტებისას რისკების მართვის თავისებურებები;
- საინვესტიციო პროცესების დაკრედიტების პროგრამის ოპტიმიზაციის მოდელის გამოყენების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საინვესტიციო პროექტების საბანკო დაკრედიტების პროცესში ფინანსური დაგეგმვის თავისებურებანი.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე ვისარგებლე მ. სულაბერიძის ნაშრომით - „პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები“, გ. შუბლაძის, ბ. მღებრიშვილის და ფ. წოწკოლაურის ნაშრომით - „მენეჯმენტის საფუძვლები“, ც. ჯაფიაშვილის - „IT-პროექტების მენეჯმენტი, (MSProject-ის გამოყენებით)“ და თ. კილაძის და ნ. დიდიშვილის ნაშრომით „მენეჯმენტის საფუძვლები, მეთოდური მითითებები“ .

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ. მათ შორის აღსანიშნავია თ. კილაძის, ი. ბოჭოიძის, მ. სულაბერიძის, გ. შუბლაძის, მ. ზუბიაშვილის, ე. ბარათაშვილის, ლ. ქოქიაურის და სხვათა შრომები. მიუხედავად აღნიშნულისა, სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის საკითხების მეცნიერული შესწავლა მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

გიორგი ბაღათურია [1] ნაშრომში განიხილავს სახელმწიფო მართვისა და ეკონომიკური ამოცანების სტრატეგიული დაგეგმვისთვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული საკითხები. სახელმძღვანელო მოიცავს

სტრატეგიული დაგემვის ძირითად ცნებებს, ამოცანებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, მათ შორის ავტორის ორიგინალურ კვლევებს. დაწვრილებითაა ჩამოყალიბებული სტარტეგიული დაგეგმვისა და მართვის არსი, სტრატეგიული დაგეგმვის ზოგადი ალგორითმი, ნაჩვენებია თუ როგორ უნდა განხორციელდეს გამოსაკვლევი პრობლემის ფორმალიზება სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით. განხილულია აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების მეთოდები.

მარინე ღუდუშაური ნაშრომში[2] განხილულია "თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში" კვლევის ობიექტია XIX ს. და XX ს. დასაწყისის თბილისის გუბერნიისა და უშუალოდ ქალაქ თბილისის ეკონომიკა, რომელიც საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერეს იწვევდა. პერიოდის საქრთველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის ეკონომიკური ცხოვრება არნახულ დინამიზმს იძენს, ჩამოყალიბებას იწყებს კაპიტალისტური წარმოება. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სწორედ თბილისის მაგალითზეა განზოგადებული.

წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია ის ძირითადი თავისებურებები და ეკონომიკური განვითარების ტენდეციები, რომლითაც ხასითდება საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წარმოშობა. შესწავლილია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში თბილიში არსებული იმ სამრეწველო ობიექტების.

ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, შრომისა და დასმების პირობები, რომლებმაც ძირითადად განსაზღვრეს არამხოლოდ თბილისის, არამედ ზოგადად საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. წარმოდგენილია ხელოსნური ტრანსფორმაცია, წვრილ საწარმოების წარმოქმნა და განვითარება, ვაჭრობის გააქტიურება და საფინანსო ინსტიტუტების აღმოცენება.

ნაშრომში განსაკუთრებული ყუარდღება ეთმობა უცხოური კაპიტალის და ზოგადად უცხოელთა როლს თბილისის ეკონომიკურ განვი-

თარებაში. საკვლევ პერიოდში ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოური (განსაკუთრებით ევროპული) კაპიტალის როლს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის. ეს საკითხი, აქტუალური იყო, რადგან ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, მწირი ადგილობრივი კაპიტალის პირობებში ეკონომიკის სწრაფი დაწინაურება ვერ მოხერხდებოდა. ავტორს დამუშავეული და გამოყენებული აქვს მდიდარი საარქივო და სტატისტიკური დოკუმენტაცია, ასევე მასალები ეკონომიკის ისტორიიდან. წიგნი განკუთვნილია ეკონომისტთა საზოგადოებისათვის, ეკონომიკური პროფილის სტუდენტთათვის და ზოგადად, ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

მ. თევდორაძე, ნ. ნასყიდაშვილი, ნ. ლოლაშვილი, თ. ზაზაშვილი, ნ. პატიაშვილი [3] მოცემული სახელმძღვანელო ეძღვნება მენეჯმენტის საკითხების განხილვას. სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი მენეჯმეტის საკითხები. განხილულია მენჯმენტის ძირითადი ფუნქციები, მენჯერთა დონეები და მათი როლი მართვაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. აღწერილია შემდეგი პრქტიკულისაკითხები: ახალი საწარმო-ორგანიზაციის შექმნა, მისი ბიზნეს-გეგმის შემუშავება და უშუალოდბიზნესის მართვა. დახასიათებულია ბიზნეს ეთიკის საკითხები და ორგანიზაციის სოციალური როლი საზოგადოებაში.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში განხილულია მცირე და მსხვილი საწრმოს მართვის საკითხები. დახასიათებული საწარმოო პროცესები და მათი ტიპები. განხილულია ხარისხის მართვის საკითხები და გარანტიები. აღწერილია საწარმოო სისტემების პროექტირების პრობლემები.

მესამე ნაწილში მოცემულია სტრატეგიული მენჯმეტის ძირითადი საკითხები, კერძოდ, სტრატეგიული მენჯმეტის არსი და ამოცანები, სტრატეგიის დაგეგმვის პროცესი, დონეები და ეტაპები. განსაზღვრულია ორგანიზაციის სტარტეგიული მიზნები. განხილულია კონკრეტული

ანალიზის საკითხები. წარმოდგენილია სტრატეგიის რეალიზაციის ინსტრუმენტები და მისი კონტროლის ორგანიზება. მოცემული სასწავლო სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე იმ პირთათვის, ვინც დაინტერესებულია მენჯმენტის საკითხების შესწავლით.

მ. ვანიშვილი, ზ. ვაშაკიძე, ნ. კიკაჩეიშვილი, გ. ჯუღელი [4] მოცემულ ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული საქართველოს ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნივნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურა, მისი შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლებები; საქართველოს საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შეფასება; საგადასახდელო ბალანსის დისპროპორციები და მათი დაძლევის გზები თანამედროვე საქართველოში.

წიგნი გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პროფესორ-მასწვლებლების, ეკონომიკის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ა. სამადაშვილი [5] სახელმძღვანელოში განხილულია ტექნოლოგიათა და ინოვაციათა მენჯმეტის საკითხების ფართო წრე, მათი ზეგავლენა როგორც ცალკეულ მეწარმეთა, ისე ინდუსტრიის დარგების და მთლიანად ეკონომიკების კონკურენტიანობაზე;

გაანალიზებულია სამეცნიერო კვლევების შედეგების ინოვაციებში წარმატებული ასახვის პირობები; ინოვაციური პროცესის მიმდინარეობის მართვის ზოგად განხილვასთან ერთად, აღწერილია პროექტების მენეჯმეტის შესაძლებლობების გამოყენება მისი რეალიზებისათვის; განხილულია ინოვაციური ბიზნესის სტრატეგის და ტაქტიკის ძირითადი ასპექტები, სხვდასხვა ორგანიზაციული ფორმები, შედარებულია მათი ეფექტიანობა; აღწერილია პროგნოზირების და მოდელირების მიდგომების გამოყენება ინოვაციათა მენჯმეტში, აგრეთვე სტრატეგიული მენეჯმეტის

ელემენტები, რომლებიც ასახვას პოულობენ ინოვაციური კომპანიების მართვაში. განხილვა ილუსტრირებულია რეალური სამეწარმეო პრაქტიკიდან აღებული მრავალრიცხოვანი მაგალითებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საინჟინრო, ეკონომიკურ-მმართველობითი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შემსწავლელი პროგრამების მაგისტრანტებისათვის, აგრეთვე სათანადო სპეციალობების ბაკალავრიატის და უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის. მისი გაცნობა სასარგებლო იქნება გამოყენებითი სამეცნიერო მიმართულებები იმ დოქტორანტებისათვისაც, ვისაც აინტერესებს საკუთარი კვლევების შედეგების სამწარმეო ინოვაციებში ასახვის საკითხები.

გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია [6] მონოგრაფიაში განხილულია ზოგადი კიბერნეტიკული მეთოდი სტრატეგიული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების დაგეგმვისა და მართვის მიზნით. მონოგრაფია მოიცავს პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ძირითად ცნებებს, ამოცანებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელიც დამყარებულია ავტორთა ორიგინალურ კვლევებზე. დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის არსი, კიბერნეტიკულ კონცეფციაზე დამყარებული სტრატეგიული პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემის (სტრატეგიული მართვის ობიექტის) ფორმალიზება კიბერნეტიკული მეთოდით,რაც ასეთი ობიექტების ოპტიმალური მართვის (ანუ პრობლემის ეფექტიანი გადწყვეტის) შესაძლებლობას იძლევა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კიბერნეტიკის პრინციპების გამოყენებას მრავალ სუბიექტიანი სტრატეგიული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კვლევის პრობლემატიკაში. მონოგარფიაში გადმოცემული მასალის შესახებ ავტორებს გაკეთებული აქვთ მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე, კვლევის შედეგები გამოქყვნებულია.

მონოგრაფია სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია სტარტეგიული დაგეგმვისა და მენეჯმეტის თანამედროვე მეთოდების ამოცანებში ავტორთა აზრით, მთლიანობაში, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მართვის სისტემები (მენეჯერული მიდგომით) სტრაყეგიული მართვის ერთიანი სისტემას წარმოადგენს. ასეთი გაერთიანების წინამძღვარს ქმნის თვით კიბერნეტიკული კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დავინახოთ სხვადასხვა ტიპის ობიექტებში მიმდინარე პროცესები მართვის თეორიის თვალსაზრისით და ჩამოვაყალიბოთ ერთიანი სისტემური მიდგომა მათი მართვის მიზნით. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ობიეტებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები. მონოგრაფია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. შესავალში განხილული იქნა სახელმწიფო მართვაში მენეჯერული მიდგომის თავისებურებები. პირველ თავში განხილულია სტრატეგიული მართვის თეორიის ზოგადი საკითხები, მართვის ისტორიული საწყისები, ტერმინოლოგიური თავისებურებები, მენეჯმეტის ზოგადი პრინციპები, პოლიტიკური პროცესების (სახელმწიფოს) მართვის თანამედროვე პრინციპები, მენეჯმეტის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები, მოცემულია „კარგი მართვის“ რამდენიმე მაგალითი.

განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოები (ორგანიზაციების) სამეურნეო საქმიანობა (ბიზნესი) წარმოუდგენელია მენეჯმენტის გარეშე, რომელიც აღიარებულია ბიზნესის მართვის ფილოსოფიად. ამდენად,

В.С.Лосев, П.М.Сабитова, ნაშრომში [7] განხილულია ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის მართვის თეორიული საფუძვლები. გაშუქებულია ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის და ზოგადად, შეფასებულია ინოვაციების ეფექტურობა. გადმოცემულია ორგანიზაციის ინოვაციური პოტენციალის შეფასების მეთოდიკა და ასევე, განხილულია ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის როლი და გავლენა ორგანიზაციის საწარმოო

პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე. ნაშრომში განსაკუთრებით ხაზგასმულია ორგანიზაციული პროცესების მართვის სისტემის ფორმირების საკითხები და ისეთი შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ეფექტური განვითარების ორგანიზაციულ- ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირებას.

წიგნში ჩამოყალიბებულია „ეფექტური განვითარების“ და „ინოვაციის“ კატეგორიებისარსი,განზოგადებულიაეფექტურიგანვითარების პროცესების ძირითადი დამახასიათებელი თვისებები, ჩამოყალიბებულია ორგანიზე-ბული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ეფექტური განვითარების მართვის თანამედროვე თეორიული შეხედულებები.

განხილულია მენეჯმენტის ძირითადი საკითხები: მენეჯმენტის ცნება და შინაარსი, ორგანიზაცია - მენეჯმენტის საფუძველი, მართვის პროცესი, მენეჯმენტის ფუნქციებბი, ორგანიზაციული სტრუქტურები, გადაწყვეტილებათა მიღება, სტრატეგიული მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი და სხვა.

ავტორების აზრით, განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოების (ორგანიზაციების) სამეურნეო საქმიანობა (ბიზნესი) წარმოუდგენელია მენეჯმენტის გარეშე, რომელიც აღიარებულია ბიზნესის მართვის ფილოსოფიად.

წიგნში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების დამახასიათებელი თავისებურებაა ყურადღების გამახვილება ბიზნესის რაციონალური გაძღოლის უზრუნველყოფის მიმართულებით საწარმოს (ფირმის) დონეზე რესურსების შეზღუდულობის პირობებში.

საქმე ის არის, რომ საჭირო ხდება მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა მინიმალური დანახარჯებით, ბიზნესის განვითარების ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების ფართოდ გამოყენებით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მუშაკთა

დაინტერესება ფირმის მიზნების შესასრულებლად. ყოველივე ეს კი ფირმებისაგან მოითხოვს ადაპტირებას ახალ საბაზრო პირობებთან.

ავტორები თვლიან,რომ უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მართვის ისეთ სისტემას (პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას), რომელიც განპირობებულია მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის კანონზომიერებებით.

ფირმების უმაღლესი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობათა კრიტერიუმებზე. აუცილებელია ორგანიზაციის (ფირმის) ფუნქციონირების არსებითად ახალი კონცეფცია.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტე-ბისათვის, რომლებიც ეუფლებიან ბიზნესის სფეროში ორგანიზაციების, მათი ქვედანაყოფების მართვის თეორიასა (მეცნიერებასა) და პრაქტიკას (ხელოვნებას), აგრეთვე მენეჯერებისა და მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის და რეკომედებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რომლებიც ეუფლებიან სპეციალო-ბებს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში, აგრეთვე პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროებში.

Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. განმარტავენ [8] სადაც მენეჯმენტი განხილულია, როგორც ცალკე დისციპლინაა, უფრო ზუსტად, დისციპლინათაშორისი დარგია, რომელსაც უწოდებენ „მმართველობით აზრს“. მასში ჰარმონიულად შერწყმულია მმართველობითი ხელოვნებით გამდიდრებული მეცნიერება, გამოცდილება, „ნოუ-ჰაუ“.

წიგნში განხილულია მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების არსი და ისტორია. მენეჯმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად წარმოჩნდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც შეიქმნა

გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ ეკონომიკურ, საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, რამაც დასაბამი მისცა „მენეჯერთა რევოლუციას“.

მენეჯმენტს, როგორც მეცნიერებას გააჩნია შესწავლის თავისი საგანი, თავისი სპეციფიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის მეთოდები (მიდგომები). ამ მეცნიერული დისციპლინის საფუძველს შეადგენს მართვის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა, მართვის კონცეფციები, წესები და ფორმები.

ავტორთა აზრით, მენეჯმენტის როგორც მეცნიერების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართვის შესახებ ცოდნათა სისტემაში მოყვანას და შესაბამისად, მენეჯმენტი ხელს უწყობს არა მარტო მიმდინარე საქმეების ოპერატიულად და ხარისხიანად მართვას, არამედ მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას და ამის შესაბამისად ორგანიზაციების (ფირმების) სტრატეგიისა და პოლიტიკის დამუშავებას.

ამასთან, მართვის სისტემა განიხილება როგორც ურთიერთ დაკავშირებული ერთიანი მთლიანობა, რომელშიც შეხამებულია ორგანიზაციის მიზნები, მართვის პრინციპები, ფუნქციები, მეთოდები, პერსონალი, სტრუქტურა, ტექნიკა და პროცესები.

„მენეჯმენტი როგორც მართვის ხელოვნება ნიშნავს მართვის თეორიის, აგრეთვე, მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს.“

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ორგანიზაციები რთული სოციალურ-ტექნიკური სისტემებია, რომელთა ფუნქციონირებაზე ზემოქმედებენ როგორც შიგა, ისე გარე გარემოს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტორები და ამდენად, „ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის მთავარი ფაქტორი ადამიანია, რომლის გათვალისწინება მოითხოვს არა მარტო მეცნიერულ მიდგომას, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებას კონკრეტულ სიტუაციებში.“

წიგნში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მენეჯერების მომზადებასა და გადამზადებას და აღნიშნულია, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებლები, რომლბმაც დაიწყეს მართვის სპეციალისტების მომზადება, ერთდროულად წარმოიშვნენ აშშ-სა და ევროპაში. ამჟამად კი მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების ფართო ქსელია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

აშშ-ში მენეჯრებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებულ ბიზნესის სკოლებში, რომელთა რაოდენობა 1300-ს აღემატება, მათ შორის 600 მოქმედებს დამოუკიდებლად. ქვეყანაში ფუნქციონირებს 10 ათასზე მეტი საკონსულტაციო ფირმა, რომლებიც კონსულტაციას უწევენ ბიზნესისა და მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ამ საკითხებზე ლიტერატურას უშვებს 70-ზე მეტი პერიოდული გამოცემა და 10-ზე მეტი გამომცემლობა. აშშ პირველ ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროს მკვლევართა რაოდენობით, გამოკვლევების მოცულობით და საერთოდ ამ მიმართულებით დახარჯული სახსრების ოდენობით - აღნიშნულია ნაშრომში.

Б. В. Воронцов, А. М.Колесников მონოგრაფიში [9] განხილულია ახალი თეორიული და მეთოდური მიდგომები საბანკო საკრედიტო და სისტემური ინვესტიციური პროექტების. ფორმირებულია მოდელი საკრედიტო ინვესტიცური პროექტებისა, ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით, რომელიც გამოხატავს მათ ეფექტურობას.

განხილულია ეკონომიკური მოცულობის სისტემისა და ბანკების მონაწილეობის ინვესტიციური პროექტების დაფინასებაში რასაც საფუძვლად უდევს სრტუქტურული ფინანსური ანალიზი და ინვესტიციების ეფექტურობა.

გამოხატული აქვს მართვის თავისებირებები რისკები საბანკო საკრედიტო ინვესტიციურ პროექტებში. აგრეთვე განხილულია აქვს

თავისებურებები საბანკო-საფინანსო ინვესტიციური კრედიტების დაგეგმარებაში ოპტიმიზაციის მოდელის გათვალისწინებით ინვესტიციური პროცესები. მოცემული სახემძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მაგისტრანტენბისათვის, დოქტორანტებისათვის და უამღლესი ეკონომიკური სასწვლებლის მასწვლებისათვის, აგრეთვე სპეციალისტებისათვის რომლებიც მუშაობენ ეკონომიკურ სფეროში.

Fred Goult. წიგნში [10] განხილულია "უკვე მრავალი წელია დოქტორი გაულტი ინოვაციებისა და მათ ინდიკატორების აღრიცხვის წინახაზზე იმყოფება. ინოვაციური მიდგომები გლობალურ ეკონომიკაში - გამოქვეყნებითის მნიშვნელოვნად გასცდა აღრიცხვის სფეროს. ამ წიგნში მან ლაკონურად დაუკავშირა ინოვაციების გაზომვის როლი ინოვაციური სტრატეგიების განვითარებასა და განხორციელებას. შესაბამისი ინოვაციური სტრატეგიების გაზომვა და განხორციელების მოცულობა უნიკალურია განვითარებად ქვეყნებში. გასული ათწლეულის განმავლობაში დოქტორი გაულტი გახდა ექსპერტი ამ სფეროში და მისი გამოცდილება სახეზეა. ეჭვგარეშეა, ეს მოცულობა წარმოადგენს ინოვაციების გაზომვისა და სტრატეგიების განხორციელების განმსაზღვრელ პრაიმერს." - ლინდად. კარლსონი-ფილოსოფიის დოქტორი "გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციური სტრატეგიები ოსტატურად აკავშირებს განვითარებადი საინოვაციო პოლიტიკის გამოწვევებს, ამ მიდგომების შეფასებისა და მონიტორინგის ინდიკატორული სტატისტიკის განვითარებასთან.

ფრედ გაულტს ორივე მიმართულებით მოყავს შიდა ხედვა, რომელიც უიშვიათესი და ძალიან საჭიროა. -ენდრიუვიკოფი, საფრანგეთი |ათწლეულების განმავლობაში საზოგადოება ფრედ გაულტისგან მოელოდა ახალ იდეებს და ორგანიზების პრინციპებს. გაულტი აგრძელებს ამ ინფორმაციული და შთამაგონებელი როლის მორგებას მის ახალ წიგნში სადაც განიხილება პოლიტიკისა დ აინდიკატორების კვეთა.

მისი იდეები იქნება მნიშვნელოვანი წვლილის შეტან აინოვაციურ პოლიტიკაში - ერიკფონჰიპელი, მას აჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სლოანის სახელობის მენეჯმენტის სკოლა, აშშ. ეს გზისმკვლევი წიგნი ახდენს თეორიის, კვლევების, მონაცემებისა და ინოვაციური პროცესებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების პოლიტიკის დონეზე შერწყმას. ეს არის ძალიან საჭირო, ინტელექტუალურ საფუძველზე მდგომი ინოვაციური პოლიტიკა" - კეიტსმიტი, იმპერიული კოლეჯი, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო. ეს წიგნი არის გლობალურ ეკონომიკაში არსებული ინოვაციური სტრატეგიების, მათი განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და მართვის შესახებ.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის პარალელურად ხალხი სვავს კითხვას - რამოხდა არასწორად? აქ ფრედ გაულტი აფიქსირებს, რომ პრობლემის ნაწილი მდგომარეობდა ინოვაციების შემოტანაში ფინანსურ სერვისებში, რომელმაც გამოიწვია ახალი, მიმზიდველი პროდუქტების გაშვებაბაზე, რომელიც გავრცელდა სწრაფად და შემდგომ დაკარგა ფასი.

ეს წიგნი მოგვითხრობს ინოვაციებზე და იმაზე თუ მის მხარდასაჭერად როგორ ხდება პოლიტიკის შეიმუშავა და განახორციელება. ამგვარად, ჩარჩო პირობები, როგორიცაა ბაზრის რეგულირება და ბიზნესის კეთების ღირებულება იტესტება იმისთვის, რომ მომავალში პრობლემები შეიძლება იქნას აცილებული. ინოვაციის და ინოვაციური პოლიტიკის უკეთესმა გაგებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკურიდან სოციალური შედეგების გაუმჯობესება.

წიგნი იწყება სტატისტიკური ინდიკატორების. დისკუსიისათვის საჭირო ენისა და სისტემის კვლევით. ავტორი ახდენს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების კრიტიკული გამოკვლევას. ის დასკვნას აკეთებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში დაწესებულ მიმართულებებზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

მეცნიერები ჩართულნი არიან საინოვაციო პოლიტიკის შესწავლაში, მისი მონიტორინგსა და შეფასებაში, ნახავთ, რომეს წიგნი ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ის და ეხმარება სწავლებაში ბიზნესისა და მართვის, და სოციოლოგიის მაგისტრანტებს. იგი ასევე კატეგორიულად უნდა იყოს მიმართული სამთავრობო პოლიტიკისა და სტატისტიკოსების მიმართულებით, რომლებიც პასუხის მგებლები არიან ინოვაციურ სტატისტიკაზე.

Cristiano Antonell წიგნში [11] განხილული აქვს ფინანსური კრიზისი, კორპორატიული რეფორმები და გარდამავალი ინსტიტუციონალური საკითხებზე.

ეკონომიკური თეორიის საფუძვლების ახლებური ხედვის და დანახვის მიმდინარე პროცესს მივყავართ ეკონომიკსის შუაგულში დიდ გაუგებრობებამდე და წინააღმდეგობებამდე. ინოვაციური ეკონომიკსს მივყავართ ნაყოფიერ ცვლილებებამდე სტანდარტულ ეკონომიკსში და შეუძლია ამ უკანასკნელის მიმართ გამოთქმული კრიტიკისა და ბრალდებების დაძლევაში დახმარება.

კრისტიანო ანტონელის თავის ავტორიტეტულ წიგნში მოყავს ინოვაციური ეკონომიკსის უპირატესობების ანგარიშ. ამ ანგარიშისა და ტექნოლოგიური ცვლილებების ეკონომიკსის ინტეგრირებით ეს გამორჩეული წიგნი ოსტატურად წარმოაჩენს ახალი ტექნოლოგიების შემოღების ეფექტს.

ეს ყოვლისმომცველი და ბრწყინვალე ანგარიში პატივსაცემი ექსპერტი ანტონელისგან იქნება უფრო მისაღები ინოვატიური ეკონომიკსის მიმდევრებში დღესდღეობით ეს არის წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხოს ყველამ ვისაც გააჩნია პირადული თუ პროფესიული დაინტერესება ეკონომიკსის თეორიაში.

G.M. Pater Swann წიგნში [12] გადმოცა ავტორმა წარმატებით შეასრულოს დავალება მან თავად ამ ტექსტის: უზრუნველყოს სრულყოფილი ჯერჯერობით ხელმისაწვდომი შესავალი ეკონომიკაში ინოვაცია.

რეალურად აჭარბებს თავისებურებების გათვალისწინებით, რადგან ეს ნიშნავს, რომ მკითხველს უფრო ფართო მადლიერება პროცესი და შინაარსობრივ სტრუქტურებში ინოვაცია. ეს წიგნი არის მისასალმებელი და ღირებული სტუდენტებსათვის და მასწავლებლებისათვის ერთნაირად რომლებიც მოიხიბლული არიან ამ მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკურ ტექნოლოგიურკვლევის მეთოდით. . ".

- Ewa Helinska - Hughes, საერთაშორისო ჟურნალი მეწარმეობის და ინოვაცია. ეს ძირითადი სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ყოვლის-მომცველი ამჟამად ხელმისაწვდომია შესავალი ეკონომიკაში ინოვაციური, წერილობითი სტუდენტებს საბაზისო ცოდნის ეკონომიკა. G. M. Pater Swann ამტკიცებს, რომ ინოვაცია არის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ბიზნეს მოვლენების დროს და თემას დიდი პრაქტიკული და პოლიტიკა ინტერესი, გავრცელებული გავლენა ჩვენი ეკონომიკა და საზოგადოება. ეს წიგნი მიაწვდის მკითხველს შეისწავლონ ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური საკითხები ინოვაციაში.

საბოლოოდ აღდგეს ის ხიდი ლიტერატურაში, ეს დროული სახელმძღვანელოს მიმართავს კრიტიკულ კითხვებს, როგორიცაა:

- როგორ უნდა სხვადასხვა ასპექტები ინოვაცია იყოს აღწერილი და კლასიფიცირებული ?
- რა არის სტიმული ნოვატორი ?
- როგორ უნდა ფირმების ორგანიზება თავად ხელი შეუწყოს ინოვაციური ?
- რა ეფექტი ინოვაცია ეკონომიკის ?
- რა როლი ენიჭება სახელმწიფოს ინოვაციის განვითარებაში?

გაცნობა სტუდენტს ფართო სპექტრის საკითხების გარშემო ეკონომიკის ინოვაციების, ამ ტექსტის დავუმტკიცებთ ფასდაუდებელი სტუდენტები სხვადასხვა კურსების ჩათვლით ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის, ინოვაციების, და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კვლევები.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. სამრეწველო პროექტების დაგეგმვის შინაარსი, გეგმების შემადგენლობა და სტრუქტურა

ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მრავალ პრობლემას წარმოშობს. ერთ-ერთს ინვესტირება წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც სამამულო ეკონომიკაში ინვესტიციების შემოდინებების გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს წარმოების განვითარების, ხალხის კეთილდღეობის, მსოფლიო არენაზე ქვეყნის აღორძინების უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

პრაქტიკულად ყველა საინვესტიციო საქმიანობა გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას აწმყოსა და მომავალში დადებითი შედეგების მისაღებად. ამის საფუძველს წარმოადგენს დაბანდების ობიექტი, მის თავისებურებებს კი განსაზღვრავს დაბანდების მოცულობა, დრო და რისკი.

ინვესტიციების განსაზღვრა შემოსავლის მიღების მიზნით, როგორც ინვესტორის ერთობლივი საქმიანობა, არსებითად მოქმედებს ინვესტირების ობიექტის შერჩევაზე. შეისყიდის რა აქციების პაკეტს, საწარმოს ან სხვა საინვესტიციო ობიექტს ინვესტორმა უნდა გადაწყვიტოს შეძლებს თუ არა ის ამ ობიექტის გამოყენებით მიაღწიოს დასმულ ამოცანას ან შეარჩიოს სხვა ნაკლებად რისკიანი და ნაკლებად შემოსავლიანი მიზანი. ამიტომ მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უხდება ანალიზი გაუკეთოს არა ერთეულ საინვესტიციო ობიექტებზე კაპიტალის გამოყენებას, არამედ მათ კრებულს.

ინვესტირების იდეების განხორციელების, შემოსავლებისა და ხარჯების კონკრეტული შედარებით შეიძლება კონკრეტული შემთხვევისათვის მიღებულ იქნეს რაციონალური გადაწყვეტილება. კაპიტალის გამოყენების გრძელვადიანი ხასიათი განსაზღვრავს საინვესტიციო გადაწყვეტილებების ხარისხის მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს, ანუ, მათი დასაბუთების აუცილებლობას, რადგანაც დაბანდებული საშუალებების სხვა მიზნებზე მიმართვა დანაკარგების გარეშე ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამისათვის საჭიროა ინფორმაცია არა მხოლოდ ინვესტირების შემოთა

ვაზებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობებზე, არამედ საფონდო საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, კონკურენტების მოქმედებებზე.

ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება რთულდება იმითაც, რომ სახელმწიფოს არასტაბილური კანონმდებლობის და საგადასახადო პოლიტიკის პირობებში იზრდება რისკი ფინანსური რესურსების ხანგრძლივი პერიოდით დაბანდებებზე.

არასრული განსაზღვრულობის პირობებში ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღებას ყოველთვის ახლავს რისკი, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ალტერნატიული გადაწყვეტილე-ბების მიღებისას, თუ რომელი საინვესტიციო პროექტის რეალიზაციაში მიიღოს ინვესტორმა მონაწილეობა და დააბანდოს კაპიტალი.

პრინციპულად სხვა შესაძლებლობა ეძლევა ინვესტორს, რომელსაც სურვილი აქვს განახორციელოს კონკრეტული საინვესტიციო პროექტი. ის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნდეს, რომ საწარმოს პროდუქციას, რომელიც ჩადებულია საინვესტიციო პროექტის საფუძველში, ექნება მოთხოვნა ბაზარზე.

ამისათვის ტარდება მარკეტინგული კვლევები. ამა თუ იმ პროექტის შეფასების დროს ინვესტორმა თავის დაბანდებებს უნდა შეურჩიოს ალტერნატივა. ასეთი მიდგომისას საინვესტიციო პროექტის დასაბუთება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ხდება ამა თუ იმ პროექტში მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიეცემა პროექტებს, რომლებშიც მოსალოდნელი წმინდა შემოსავალი მაქსიმალურად გადააჭარბებს პირველსაწყისს, ერთდროულ დანახარჯებს. აქ საუბარია მოგებაზე, რომელიც წარმოადგენს ინვესტირების ერთ-ერთ მთავარ მოტივს, რადგანაც თავის გადაწყვეტილებებში ინვესტორი იღებს მოგების ან პროცენტის ნორმას, როგორც მისაღები გადაწყვეტილების ეფექტურობის კრიტერიუმს.[17]

რეალურმა ინვესტიციებმა შეიძლება მოიცვას როგორც მთელი სამეცნიეროტექნიკური და საწარმოო ციკლი, ისე მისი ელემენტები (სტადიები), რომელთა შორისაა:

- სამეცნიერო კვლევები;
- საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები;
- გაფართოება;
- რეკონსტრუქცია ან მოქმედი წარმოების გადაიარაღება;
- ახალი წარმოების ორგანიზაცია ან ახალი პროდუქციის გამოშვება;
- უტილიზაცია და ა. შ.[17]

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა, რომელიც ქმნის ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური ზრდის აუცილებელ წანამძღვრებს და პირობებს დღეს მეტად აქტუალურია, ვინაიდან ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია დასახული მიზნების მიღწევა. ამდენად, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება მეტად აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან დღეს, როგორც არასდროს, ქვეყანაში არსებობს კაპიტალის ბაზარი ყველა მისი ინსტიტუტით, საინვესტიციო ფონდების და კომპანიების ჩათვლით.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარების ტემპი საქართველოში არ არის მაღალი, ის წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ფინანსების თეორიასა და ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიზნების მიღწევაში მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის. ჩვენი აზრით, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საინვესტიციო პროექტების დამუშავება და განხორციელება განსაკუთრებით აქტუალურია.

ცნობილია, რომ საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის ანგარიშები საკმაოდ შრომატევადია. იგი ანალიზისა და ეფექტურობის ამაღლების აუცილებელი წანამძღვარია დაპროექტებისას, პროექტის განვითარების სხვადასხვა სცენარების დროს რისკის შეფასებისას.

საბაზრო ეკონომიკაში მოგების მიღება წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის მამოძრავებელ მოტივს. ეს მიზანი მიიღწევა ბაზარზე აღიარება მოპოვებული კონკრეტული საქონლის წარმოებით, მომსახურების გაწევით.

ინვესტირების მოტივი ძლიერდება იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს გადასახადების შემცირებას, მაგალითად, მოგებაზე, განსაკუთრებით თუ კანონმდებლობით არის დამტკიცებული საკუთრებაზე უფლება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების არსი მდგომარეობს საინვესტიციო პროცესის ორი ასპექტის შეხამებაში. კაპიტალის დანახარჯებისა და შედეგების თანაზომადობა ინვესტიციების ეკონომიკური შეფასების თეორიის საფუძველია. ინვესტიციები ხორციელდება განსაზღვრული შედეგების (მოგების) მიღწევის მიზნით და ხდება უსარგებლო თუ შედეგს არ მოგვიტანს.

ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია მყისიერ მოხმარებაზე უარის თქმის „ფასის“ განსაზღვრა. წარმოების განვითარებაში საშუალებების დაბანდებისას ინვესტორს აინტერესებს სიდიდით არანებისმიერი შედეგი. ინვესტირების შედეგად კაპიტალის მატება უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოების პოზიციებიდან მინიმალურად მისაღები ინვესტორის მოთხოვნები, შემდეგ მოსალოდნელ პერიოდში ანაზღაურებულ იქნეს ინფლაციით გამოწვეული დანაკარგები და ამასთან, წახალისებულ იქნეს ინვესტორი შემოსავლის ნაწილის შესაძლო დანაკარგების რისკისთვის.[17]

ინვესტიციების ეკონომიკური ბუნების გაგებისათვის მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ, რომ მათ შედგენილობაში კაპიტალი სხვადასხვაგვარი ფორმებით არის ჩართული. ინვესტიციებში შედის ფულადი საშუალებები მოზიდული (აქციები), ნასესხები და საკუთარი საშუალებების სახით, აგრეთვე კონკრეტული მატერიალური ნივთიერი ელემენტების ფორმით. მაგალითად, ინვესტირების პროცესში მონაწილეების მიერ შეტანილი შენობების, ნაგებობების, მოწყობილობების,

ინტელექტუალური ფასეულობების, ქონებრივი უფლებების ფორმით შექმნილი წილი მეწარმეობის ობიექტის შესაქმნელად (განვითარება, მოდერნიზაცია).

ნებისმიერ შემთხვევაში ინვესტიციები იძენს ღირებულებით მახასიათებლებს. ინვესტიციების ნაჩვენები ფორმები აერთიანებს, პირველ რიგში, იმას, რომ ისინი ხორციელდებიან შესაქმნელი სამეწარმეო მოღვაწეობის ობიექტში, აფორმირებენ მის აქტივებს, ასევე საშუალებებისა და რესურსების ხანგრძლივი დროით გადანაწილებას მათ შორის, ვინც განაგებს და საჭიროებს მათ.

დაგეგმვის და ანალიზის მიზნით ინვესტიციები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს მთელი რიგი მიმართულებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი კლასიფიკაციები:

1. ინვესტირება ობიექტების მიხედვით:

- ფინანსური;
- რეალური;
- ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში.

ფინანსური ინვესტიციები არის ფულადი საშუალებების დაბანდება ფასიან ქაღალდებში, აქციებში, ობლიგაციებში, ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე გარკვეული პროცენტით, ვალის უფლებებზე.

ინვესტიციები არამატერიალურ ფასეულობებში არის საშუალებების დაბანდება სამეცნიერო კვლევებში, კადრების მომზადებაში, რეკლამაში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე ლიცენზიების შესყიდვაში.

რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს შორის თანაფარდობა შემდეგი სახისაა: საწარმოს განვითარების საწყის ეტაპზე ინვესტიციების ძირითადი მოცულობა მიემართება რეალურ სექტორში, შემდგომ საწარმოს აქციების შესყიდვაზე, მოცემული საწარმოს მომსახურებასა და ნედლეულით, მასალებით მომარაგებაზე (საფინანსო ინვესტიციები). [13]

2. ინვესტირება ხანგრძლივობის მიხედვით:

- მოკლევადიანი (1 წლამდე);

- გრძელვადიანი.

მოკლევადიანი ინვესტირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საბანკო დეპოზიტები, ვექსილები, სერტიფიკატები და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები.

გრძელვადიანი ინვესტიციები (ხანგრძლივი პერიოდით) არის ინვესტიციები რეალურ სექტორში. მათ მიეკუთვნება გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები, მაგალითად, აქციები შვილობილ საწარმოებში, სხვა ფირმების საწესდებო კაპიტალში.

3. რეალურ სექტორში კვლავწარმოების ფორმების მიხედვით:

- სამეწარმეო მოღვაწეობის ობიექტის შექმნაზე;
- წარმოების გაფართოებაზე;
- რეკონსტრუქციაზე, ტექნიკურ გადაიარაღებაზე.

მოცემული მიმართულებებით ინვესტიციების სტრუქტურა დამოკიდებულია სტადიაზე, რომელშიც საწარმო იმყოფება. საწყის ეტაპზე ინვესტიციებს მიმართავენ ობიექტის შექმნაზე იმ პირობებში, როცა პროდუქტზე მოთხოვნაა ბაზარზე, ასევე წარმოების გაფართოებაზე. ყველაფერი დამოკიდებულია წარმოების მასშტაბებსა და ბაზრის კონიუქტურაზე. ძირითადი ფონდების ცვეთის კვალდაკვალ წარმოიქმნება მათი რეკონსტრუქციის და ტექნიკური გადაიარაღების აუცილებლობა.

4. საბოლოო შედეგზე დამოკიდებულებით:

- წარმოების მოცულობის ზრდაზე;
- წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე;
- რესურსების ეკონომიაზე (თვითღირებულების შემცირებაზე).

5. საკუთრების ფორმირებით:

- კერძო;
- სახელმწიფო.

6. დაფინანსების წყაროებით:

- საკუთარი (საამორტიზაციო ანარიცხები);
- ნასესხები (კრედიტები);

- მოზიდული (აქციების ემისიის მეშვეობით).

საკუთარი და ნასესხები ინვესტიციების თანაფარდობით ფორმირდება ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი. ნორმალურია, როდესაც საკუთარი საშუალებები ინვესტირების დროს შეადგენს დაახლოებით 70%-ს. ნასესხები –30%-ს. საწარმოსათვის სხვადასხვა წყაროებს სხვადასხვა ფასეულობა აქვთ. აუცილებელია, რომ ინვესტირების წყაროების თანაფარდობა იყოს ოპტიმალური. მთავარია შემცირდეს ინვესტირებასთან დაკავშირებული ხარჯები.[15]

7. საინვესტიციო პროცესის მონაწილეთა შემადგენლობის, პროექტის დამუშავების და რეალიზაციაში მათი წვლილის მიხედვით:

- საწარმოები;
- აქციონერები;
- პროექტის (კომპანიები, ჰოლდინგ და სხვა) მიმართ მაღალი დონის სტრუქტურები;
- სხვადასხვა დონის ბიუჯეტები (ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი).

ინვესტირება თავისი შინაარსით და დინამიურობით რთული და დინამიური პროცესია, რომელიც საწარმოში გამოიყოფა, შედარებით დამოუკიდებელ, საწარმოო-საფინანსო სფეროდ და საინვესტიციო საქმიანობა ეწოდება.

საინვესტიციო საქმიანობა მიმართულია სამრეწველო საწარმოების განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად, მათთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შესაქმნელად. მჭიდროდაა დაკავშირებული საოპერაციო საქმიანობასთან, ე.ი. პროდუქ-ციის წარმოებასა და რეალიზაციასთან. ამასთან ერთად, ოპერაციული საქმიანობის განხორციელებისას მისი საქმიანობის რეალიზაციისათვის ფორმირდება ფინანსური წანამძღვრები.

საინვესტიციო საქმიანობა, არის ობიექტის შესაქმნელად აუცილებელი სამუშაოების და ტექნოლოგიების ერთობლიობა ან ძირითადი ფონდების კვლავწარმოება. ასეთი სამუშაოების ჩამონათვალი მოიცავს:

- საწარმოს მიზანმიმართული საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირებას, ამ სტრატეგიის რეალიზაციის მეთოდების დამუშავებას;
- წინასაინვესტიციო კვლევების ჩატარებას, მათ რიცხვში საწარმოს საინვესტიციო მაჩვენებლების კვლევას;
- საინვესტიციო პროექტების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავებას;
- სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებას ობიექტის აუცილებელი მოწყობილობების დამზადებისა და შეძენისათვის;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით ორგანიზაციის მოწვევას, მომავალი საწარმოო კადრების მომზადებას და ა.შ.;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას;
- ახალი წარმოების გაშვებასა და ათვისებას, ახალი წარმოების ათვისების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგს. [17]

საინვესტიციო მენეჯმენტში საინვესტიციო საქმიანობის შინაარსი დაყვანილია ორ ასპექტზე:

1. საინვესტიციო საშუალებების ინვესტირების პრიორიტეტული მიმართულებების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

2. რესურსების და მათი მოზიდვის შესაძლებლობების მოცულობების დასაბუთება.[17]

საინვესტიციო მოღვაწეობის დახასიათების დროს იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა საინვესტიციო პროცესის „სუბიექტი“ და „ობიექტი“. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტში იგულისხმება ფიზიკური პირები, იურიდიული პირები (საწარმოები, ფონდები, სახელმწიფო).

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტები იყოფა:

- პროექტის მასშტაბის მიხედვით;

- პროექტის მიმართულების მიხედვით (კომერციული, სოციალური - ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, გარემოს დაცვა და სხვა);
- სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხით (კაპიტალის დაბანდება, აქციების პაკეტი, საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფო გარანტიები და ა.შ.);
- დაბანდებული საშუალებების გამოყენების ეფექტურობით. [15]

ინვესტირების ობიექტმა შეიძლება მოიცვას როგორც პროდუქტის შექმნის ციკლი, სრული სამეცნიერო-ტექნიკური საწარმოო ციკლი, ისე მისი ცალკეული სტადიები, რომელთა შორისაა:

- სამეცნიერო-კვლევითი;
- ორგანიზაციულ-საკონსტრუქტორო დამუშავებები;
- საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები;
- მოქმედი საწარმოს გაფართოება ან რეკონსტრუქცია და ა. შ.

მაქსიმალური წმინდა შემოსავლის მიღების მიზნით ინვესტირების მიმართულებების განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე რთული ეკონომიკური ამოცანაა.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს ინვესტირების მთელი რიგი ალტერნატივები. მაგალითად, დეპოზიტზე ფულის დადება საიმედო ბანკში, ინვესტირების ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანი ფორმაა. ფინანსურ აქტივებში, სხვადასხვა წარმოშობის ფასიან ქაღალდებში (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.). დაბანდება ხშირად იძლევა მეტ შემოსავალს, მაგრამ იზრდება მათი მიღებისა და საშუალებების შენახვის რისკი. ხოლო განვითარების ნორმალურ პირობებში საშუალებების ძირითადი ნაწილის მიმართვა ეკონომიკის რეალურ სექტორში, საიმედო და მომგებიანია. [16]

საბაზრო პირობებში თითოეული საწარმო არის კონკრეტული გარემოს მუდმივი ზემოქმედების ქვეშ. ამდენად, ლტოლვა, გვერდი აუაროს გაკოტრებას, სამეწარმეო საქმიანობის მთავარი მოტივია, რომელიც მიმართულია ფირმის და მისი ფასეულობის ზრდისკენ.

ფირმის ფასეულობის ზრდისათვის უნდა განხორციელდეს შესამჩნევი სიახლეები, უნდა ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი, განახლდეს ასორტიმენტი, შეიქმნას პირობები საკუთარი ფასეულობების დონის შესანარჩუნებლად. ყველა სიახლე ეხება წარმოების საშუალებების, წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს. ინერგება პროდუქციის წარმოების ახალი ტექნოლოგიები და ხერხები, ახალი მანქანები, მოწყობილობები, ინსტრუმენტები და მასალები, ახლის ათვისება და მოდერნიზაცია გამოსაშვები პროდუქციისა სრულყოფილი ხდება, გამოიყენება ახალი პროგრესული მეთოდები და საშუალებები წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში.

თანამედროვე ეკონომიკაში თითოეული ფირმისთვის ასეთი სახის სიახლე ბაზარზე პოზიციების შენარჩუნების და განმტკიცების აუცილებელი პირობაა. დღეს პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდეს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და მოწესრიგდეს იმ სიახლეების განმსაზღვრელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური შედეგის მიღწევას, შეფასდეს განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა და მათი გათვალისწინებით განისაზღვროს დაფინანსების შესაძლო წყაროები, მათ შორის ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში საშუალებების მობილიზაციის შესაძლებლობა.

2.2. საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ძირითადი მიმართულებები

ზოგადად, პროექტების შერჩევის მეთოდები მოიცავს პროექტის სპონსორის ან მფლობელისთვის მიმზიდველობის ან ფასეულობის ზომის შეფასებას და შეიძლება ასევე მოიცავდეს სხვა საორგანიზაციო კრიტერიუმებს. პროექტის შერჩევა ასევე შეეხება პროექტის განხორციელების ალტერნატიული გზების შერჩევასაც. პროექტის დაშვება აკავშირებს პროექტს ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობასთან.

ზოგ ორგანიზაციაში არ ხდება პროექტების ფორმალურად დაშვება და ინიცირება, სანამ არ დასრულდება საჭიროებების შეფასება, განხორციელებადობის გამოკვლევა, წინასწარი დაგეგმვა ან ანალიზის სხვა ეკვივალენტური ფორმის განხორცელება, რომელიც ცალკე იქნა წამოწყებული.

რაც შეეხება პროექტის წესდების შემუშავებას, იგი პირველ რიგში, დაკავშირებულია ბიზნეს საჭიროებების დოკუმენტურად დაფიქსირებასთან, პროექტის დასაბუთებასთან, მოცემულ მომენტში მომხმარებლის მოთხოვნების გაგებასთან და იმ ახალ პროდუქტთან და მომსახურებასთან, რომელიც ასეთ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

-პროექტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, ინსტრუმენტები და მეთოდები:

1. პროექტის მენეჯმენტის მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესს, რომელიც დაეხმარება პროექტის მენეჯმენტის გუნდს გეგმის შემუშავებასა და ცვლილებების მართვის საქმეში.

2. პროექტის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა არის ავტომატური სისტემა, რომელიც გამოიყენება პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ, პროექტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მხარდაჭერისთვის, უკუკავშირის ხელშეწყობისთვის, დოკუმენტის დახვეწისას, პროექტის მენეჯმენტის გეგმის ცვლილებების კონტროლისთვის და დამტკიცებული დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის.

3. ექსპერტის მოსაზრება გამოიყენება ტექნიკური და მენეჯმენტის იმ დეტალების შემუშავებისთვის, რომლებიც უნდა შევიდეს პროექტის მენეჯმენტის გეგმაში.

-პროექტის განხორციელების მართვა:

პროექტის განხორციელების მართვის პროცესი მოითხოვს პროექტის მენეჯერის და პროექტის გუნდისგან მრავალრიცხოვანი ღონისძიებების შესრულებას პროექტის მენეჯმენტის გეგმის განსახორციელებლად, რათა შესრულდეს პროექტის ფარგლებში დოკუმენტით განსაზღვრული

სამუშაოები. პროექტის მენეჯერი, პროექტის მენეჯმენტის გუნდთან ერთად, უძღვება პროექტის დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას და ახდენს პროექტში არსებული სხვადასხვა ტექნიკური და საორგანიზაციო ინტერფეისების მენეჯმენტს.

-პროექტის განხორციელების მართვა: საწყისი მასალები:

1. დამტკიცებული მაკორექტირებელი ღონისძიებები. დამტკიცებული მაკორექტირებელი ღონისძიებები არის დოკუმენტურად დაფიქსირებული, ნებადართული დირექტივები, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ პროექტის მომავალი მოსალოდნელი სამუშაოს შესრულების მაჩვენებლები შესაბამისობაში იყოს პროექტის მენეჯმენტის გეგმასთან;

2. დამტკიცებული პრევენციული ღონისძიებები. დამტკიცებული პრევენციული ღონისძიებები არის დოკუმენტურად დაფიქსირებული, ნებადართული დირექტივები, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ შემცირდეს პროექტის რისკთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების ალბათობა.

3. ცვლილებების დამტკიცებული მოთხოვნები. დამტკიცებული ცვლილებების მოთხოვნები არის დოკუმენტურად დაფიქსირებული, ნებადართული ცვლილებები, რომლებიც საჭიროა პროექტის ფარგლების გაფართოების ან შემცირებისთვის. დამტკიცებული ცვლილებების მოთხოვნებით ასევე შესაძლებელია პოლიტიკის, პროექტის მენეჯმენტის გეგმების, პროცედურების, ხარჯების ან ბიუჯეტების მოდიფიცირება ან გრაფიკების გადასინჯვა. დამტკიცებული ცვლილების მოთხოვნების განხორციელების გრაფიკის განსაზღვრას ახდენს პროექტის გუნდი.

4. დამტკიცებული დეფექტების გამოსწორება დამტკიცებული დეფექტების გამოსწორება არის დოკუმენტურად დაფიქსირებული, ნებადართული მოთხოვნა პროდუქტების იმ დეფექტების გამოსასწორებლად, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ხარისხის კონტროლის ან აუდიტის პროცესში.

5. დადასტურებული დეფექტების გამოსწორება შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ხელახლა გადამოწმებული გამოსწორებული ერთეულები მიღებულ ან უარყოფილ იქნა.

6. დახურვის ადმინისტრაციული პროცედურა. დახურვის ადმინისტრაციული პროცედურა ახდენს ყველა იმ ღონისძიების, ურთიერთქმედების, ასევე შესაბამისი ვალდებულებების და პასუხისმგებლობების დოკუმენტურად დაფიქსირებას, რომლებიც აუცილებელია პროექტის დახურვის ადმინისტრაციული პროცედურის განხორციელებისთვის.

-პროექტის განხორციელების მართვა - ინსტრუმენტები და მეთოდები :

1. პროექტის მენეჯმენტის მეთოდოლოგია. პროექტის მენეჯმენტის მეთოდოლოგია განსაზღვრავს იმ პროცესს, რომელიც დაეხმარება პროექტის გუნდს პროექტის მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაში.

2. პროექტის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა. პროექტის მენეჯმენტის საინფორმაცი სისტემა ავტომატური სისტემაა, რომელიც გამოიყენება პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ, პროექტის მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხელ-შეწყობისთვის.

-პროექტის განხორციელების მართვა - შედეგები:

1. შედეგი არის ნებისმიერი უნიკალური და ვერიფიცირებადი პროდუქტი, ის შედეგი ან იმ მომსახურების განხორციელების შესაძლებ-ლობა, რომელიც განისაზღვრება პროექტის მენეჯმენტის დაგეგმვის დოკუმენტაციაში და რომელიც უნდა შეიქმნას ან უზრუნველყოფილ იქნეს, პროექტის დასასრულებლად;

2. მოთხოვნილი ცვლილებები, რომლებიც საჭიროა პროექტის ფარგლების გაფართოების ან შემცირებისთვის, ასევე პოლიტიკის, პროექტის მენეჯმენტის გეგემების, პროცედურების, ხარჯების ან ბიუჯეტების მოდიფიცირების ან გრაფიკების გადასინჯვისთვის. ცვლილებების მოთხოვნები შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი,

ასევე შეიძლება იყოს არჩევითი ან კანონის კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე – სავალდებულო.

3. დამტკიცებული ცვლილების მოთხოვნები, რომლებიც პროექტის განხორციელების დროს განხორციელდა პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ.

4. დამტკიცებული გამოსწორების ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ, რათა პროექტის მომავალი მოსალოდნელი სამუშაოს შესრულების მაჩვენებლები შესაბამისობაში იყოს პროექტის მენეჯმენტის გეგმასთან.

5. დამტკიცებული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ, რათა შემცირდეს პროექტის რისკის შედეგები.

6. დეფექტების განხორციელებული გამოსწორება პროექტის განხორციელებისას;

-პროექტის სამუშაოს მონიტორინგი და კონტროლი:

პროექტის სამუშაოების მონიტორინგის და კონტროლის პროცესი ხორციელდება პროექტის დახასიათებასთან, დაგეგმვასთან, აღსრულებასა და დახურვასთან დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებული პროცესების მონიტორინგისთვის.

მაკორექტირებელი ან პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ მოხდეს პროექტის სამუშაოების შესრულების მაჩვენებლების კონტროლი. მონიტორინგი წარმოადგენს მთელი პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში განხორციელებული მენეჯმენტის ერთ-ერთ ასპექტს. მონიტორინგი მოიცავს შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შეფასებას და გავრცელებას, ასევე, პროცესების გაუმჯობესების განხორციელების მიზნით, ტენდენციების შეფასებას.

პროექტის სამუშაოების მონიტორინგის და კონტროლის პროცესი უკავშირდება პროექტის შესრულების რეალური მაჩვენებლების შედარებას პროექტის მენეჯმენტის გეგმასთან, სამუშაოს შესრულების მაჩვენებლების

შეფასებას, იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა გამოსწორების ან პრევენციის რაიმე ღონისძიებები და შემდგომ, საჭიროებისამებრ, ასეთი ღონისძიებების რეკომენდება.

ამასთან ერთად, პროექტის რისკების ანალიზს, მიკვლევადობასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ რისკები განსაზღვრულია, ინფორმაცია მათი სტატუსის შესახებ მიწოდებულია შესაბამისი პირებისათვის და რომ ხორციელდება რისკებზე რეაგირების შესაბამისი გეგმები.

კონტროლის პროცესი უკავშირდება ასევე პროექტის პროდუქტების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ზუსტ და დროულ საინფორმაციო ბაზის შექმნას და შენარჩუნებას პროექტის დასრულებამდე, ინფორმაციის უზრუნველყოფას პროექტის სტატუსის შესახებ ანგარიშგების და პროგრესის შეფასების ხელშეწყობისთვის; წინასწარ შეფასებებს, მიმდინარე ხარჯებისა და გრაფიკის შესახებ ინფორმაციის განახლებისთვის და დამტკიცებული ცვლილებების მონიტორინგს.

-პროექტის დახურვა:

პროექტის დახურვის პროცესი მოიცავს პროექტის მენეჯმენტის გეგმის იმ ნაწილის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს დახურვას. მრავალეტაპიან პროექტებში პროექტის დახურვის პროცესი ასრულებს პროექტის მოცულობის შესაბამის ნაწილს და მასთან დაკავშირებულ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამ ეტაპს შეესაბამება.

ეს პროცესი მოიცავს პროექტის მენეჯმენტის ყველა ჯგუფში გათვალისწინებული ყველა ღონისძიებების დასრულებას, რათა ფორმალუ-რად დაიხუროს პროექტი ან პროექტის ეტაპი და მოხდეს, ვითარების შესაბამისად, დასრულებული ან გაუქმებული პროექტის გადაცემა. პროექტის დახურვის პროცესი ასევე განსაზღვრავს პროცედურებს, რომლებიც საჭიროა პროექტის საბოლოო შედეგების ვერიფიკაციისა და დოკუმენტურად დაფიქსირებისთვის საჭირო ღონისძიებების, ასევე კლიენტის ან სპონსორის მიერ ასეთი შედეგების ფორმალურად მიღების

კოორდინირებისთვის და იმ მიზეზების გამოკვლევისა და დოკუმენტურად დაფიქსირებისთვის, რომელთა გამოც პროექტი შეწყდა დასრულებამდე.[33]

შემუშავებულია ორი პროცედურა იმ ურთიერთქმედებების დასამყარებლად, რომლებიც აუცილებელია მთელი პროექტის ან პროექტის ეტაპის დახურვის ღონისძიების განსახორციელებლად:

- დახურვის ადმინისტრაციული პროცედურა. ეს პროცედურა დეტალურად განსაზღვრავს ყველა ღონისძიებას, ურთიერთქმედებებს და პროექტის გუნდის წევრების და პროექტის ადმინისტრაციული პროცესის განხორციელებაში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარეების შესაბამის როლებს და პასუხისმგებლობებს. დახურვის ადმინისტრაციული პროცესის განხორციელება ასევე მოიცავს ინტეგრირებულ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა პროექტის ჩანაწერების შეგროვების, პროექტის წარმატების თუ წარუმატებლობის ანალიზის, გაკეთებული დასკვნების შეგროვების და ორგანიზაციის მიერ შემდგომში გამოყენებისთვის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დაარქივებისთვის;
- კონტრაქტის დახურვის პროცედურები მოიცავს ყველა ღონისძიებებსა და ურთიერთქმედებებს, რომლებიც საჭიროა პროექტისთვის განხორციელებული ნებისმიერი საკონტრაქტო შეთანხმების ანგარიშსწორების და დახურვისთვის, ასევე იმ მჭიდროდ დაკავშირებული ღონისძიებების განსაზღვრისთვის, რომლებიც ხელს უწყობს პროექტის ფორმალურ ადმინისტრაციულ დახურვას. ეს პროცედურები მოიცავს როგორც პროდუქტის ვერიფიკაციას (ყველა სამუშაოებს, რომლებიც სწორად და დამაკმაყოფილებლად დასრულდა), ასევე ადმინისტრაციულ დახურვას (საკონტრაქტო ჩანაწერების განახლებას, რათა აისახოს საბოლოო შედეგები და დაარქივდეს ეს ინფორმაცია შემდგომ მომავალში გამოყენებისთვის). კონტრაქტის პირობები შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს კონტრაქტის დახურვის სპეციფიკაციებს, რომლებიც ამ პროცედურის ნაწილი უნდა იყოს. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა კონტრაქტის დახურვის კერძო შემთხვევეაა, რომელიც შეიძლება

მოიცავდეს, მაგალითად, პროდუქტის შექმნის შეუძლებლობას, ბიუჯეტის გადამეტებას ან აუცილებელი რესურსების ნაკლებობას. ეს პროცედურა კონტრაქტის დახურვის პროცესის საწყისი მასალაა. [34]

-პროექტის დროის მართვა. გრაფიკის შედგენის განსაზღვრა:

პროექტის ღონისძიებების თანმიმდევრობას იძლევა ლოგიკური დიაგრამა, რომელიც დაგეგმვის ეტაპის ბოლო ნაწილს წარმოადგენს. ამ ეტაპის შემდეგი საფეხურია გეგმის შედგენა, ე. ი. გეგმის დაკავშირება კალენდარულ დროსთან. ღონისძიებების თანმიმდევრობა შეიძლება გახდეს გრაფიკად გარდაქმნილი გეგმა, თითოეული ღონისძიების ხანგრძლივობის შეფასებით და შემდეგ ამ ღონისძიებების კალენდარულ ჩარჩოებში ჩასმით. გრაფიკის უპირველესი უპირატესობაა საჭირო დროსთან დაკავშირებული დაგეგმვის განხორციელება, რაც ყველა წარმატებულ პროექტს სჭირდება. გრაფიკად გარდაქმნილი გეგმა გამოიყენება იმისათვის, რომ შედარდეს ფიზიკური თუ სხვა სახის წინსვლა. [35]

-რისკის მენეჯმენტი:

რისკი დამახასიათებელია თითქმის ყველა პროექტისათვის. რისკი არის იმის ალბათობა, რომ მოხდეს არასასურველი მოვლენა, რასაც მოჰყვება მისი ყველა შესაძლო შედეგი. ზოგი არასასურველი მოვლენის განსაზღვრა პროექტის დაწყებამდეც შეიძლება,ზოგი სრულიად გაუთვალისწინებელია. რისკის მენეჯმენტი ცდილობს დაადგინოს და მართოს პოტენციური და გაუთვალისწინებელი პრობლემები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას პროექტის განხორციელებისას, აფიქსირებს ყველა რისკის ფაქტორს, მინიმუმამდე ამცირებს მათ ზემოქმედებას, მართავს ამ მოვლენებზე რეაგირების პროცესს, და ითვალისწინებს საგანგებო ფონდებს, რისკის იმ მოვლენებისთვის, რომლებიც რეალურად მოხდება.

-ხარისხი და დოკუმენტაცია მის შესახებ. ძირითადი ცნებები:

ნებისმიერი პროექტის ამოცანაა დროის, ხარჯების და ხარისხის ამოცანების შესრულება. ამის განსახორციელებლად საჭიროა ხარისხის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება. ეს გეგმა მოიცავს თავად მოთხოვნებს, ამ

მოთხოვნების იმ პირებისათვს გადაცემის გეგმას, რომლებიც პასუხს აგებენ მათ დაკმაყოფილებაზე, ნებისმიერ ტრეინინგს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მომუშავეებს შეეძლოთ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება და ამ დაკმაყოფილების განსაზღვრის მეთოდი. ხარისხის კრიტერიუმები ზემოქმედებას ახდენს პროექტის ეტაპებზე. ხარისხის ძირითადი ასპექტები შეიძლება იყოს დაგეგმვა, უზრუნველყოფა და კონტროლი.

-ხარისხის დაგეგმვა:

ეს ტერმინი აღწერს იმ პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპის საინჟინრო და დიზაინის სამუშაოები ხორციელდება მარეგულირებელი სააგენტოების მიერ დაწესებული სავალდებულო კრიტერიუმების შესაბამისად. ამასთან, ხდება ამ პროცედურების და შესაბამისი სტანდარტების ხშირად გადასინჯვა იმ მიზნით, რომ პროექტის საინჟინრო სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ელემენტი იყენებდეს ყველაზე თანამედროვე სტანდარტებს.

-ხარისხის კონტროლი:

ეს პროცესი მოიცავს პროექტის დახასიათების ეტაპზე შემუშავებული ინსტრუქციების მეშვეობით, სამუშაოს შესრულებისთვის კონკრეტული სტანდარტების დაწესებას, იმის დადგენას, თუ რას მოითხოვს სტანდარტი და რა სრულდება რეალურად, ნეგატიური განსხვავებების გამოსწორების ან მინიმუმამდე შემცირებისთვის საჭირო ზომების მიღებას და როგორც თავად სტანდარტების, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივი გაუმჯობესების დაგეგმვას.

-პროექტის ხანგრძლივობის შემცირება:

პროექტის ძირითადი საქმიანობის დროის შემცირება პროექტში შესაძლებელია, მაგრამ ამას ყოველთვის მაღალი ხარჯები მოსდევს. ამდენად, პროექტის მენეჯერი დგება ხარჯებსა და დროს შორის კომპრომისის პრობლემის წინაშე. ხარჯისა და დროის ფაქტორი

მიმართულია იმ ძირითადი გზის შემცირებაზე, რომელიც განსაზღვრავს პროექტის დასრულების თარიღს.

-ლიდერობა. მართვა და პროექტის მენეჯერი:

მენეჯერი აჩქარებს გარკვეულ საქმიანობებს, სახავს გზებს თუ როგორ უნდა გადაიჭრას ტექნიკური პრობლემები, პასუხს აგებს გამოყოფილი რესურსების ინტეგრირებაზე. ამავდროულად, თუ არსებული პრობლემების გამო გეგმები ვერ მუშაობენ, მან უნდა შეიტანოს ცვლილებები ამ გეგმებში და განრიგებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მენეჯერს მოეთხოვება პროექტის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება და გზადაგზა საჭირო შესწორებების შეტანა. კოტერის მიხედვით, მენეჯმენტი არის სირთულეებთან გამკლავება, ხოლო ხელმძღვანელობა კი ცვლილებებთან გამკლავება.

-პროექტის დასრულება:

პროექტის დასრულება არის ღონისძიება ან ღონისძიებების კომპლექტი, რომლებსაც ჰქვია „პროექტის დახურვა“, რომლის ელემენტებია: ქვეკონტრაქტის დახურვა, შესყიდვის ფორმების დახურვა, ფინანსური დახურვა, გარანტიები, დემობილიზაცია და ანგარიში დახურვის შესახებ.

პროექტის დახურვა პროექტის მენეჯმენტის არსებითი ნაწილია და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. სანამ ეს ღონისძიებები არ შესრულდება, პროექტი ვერ ჩაითვლება დასრულებულად და პროექტი, რომელიც სათანადოდ არ დაიხურება, გარკვეულწილად კარგავს ღირებულებას, მომავალი პროექტების დაგეგმვისას.

-კონტრაქტების/ქვეკონტრაქტების დახურვა. ყველა კონტრაქტი უნდა შემოწმდეს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სამუშაო სათანადოდ დასრულდა, ხოლო ყველა ცვლილება და ხარვეზი დოკუმენტურად დაფიქსირდა. ყველა ცვლილებები უნდა შეთანხმდეს და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს შეთანხმება კომპენსაციის თაობაზე. ნებისმიერი დავალება, რომელიც დაუსრულებელი აღმოჩნდება, უნდა დასრულდეს, ან

უნდა გაფორმდეს წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებელი მხარე გათავისუფლებულია ნებისმიერი შემდგომი ვალდებულებისგან.

-ფინანსური დახურვა. ყველა კონტრაქტსა და შესყიდვის ფორმას უნდა ჩაუტარდეს ფინანსური აუდიტი და ინფორმაცია უნდა შედარდეს წინასწარ შეფასებულ მაჩვენებლებთან. უნდა მოხდეს ძირითადი განსხვავებების რევიზია, მიუხედავად იმისა, რას შეადგენს ისინი, ხარჯებს თუ დანაზოგებს, უნდა მოხდეს მათი იდენტიფიკაცია, შესრულებული სამუშაოების ყველა ძირითადი დავალების ან ელემენტისთვის.

საინვესტიციო პროექტის დამუშავების მიზანია საწარმოო ამოცანების ცხოვრებაში განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობებისა და ეკონომიკური აუცილებლობის კონკრეტული ხერხებით გამოკვლევა. მხოლოდ ასე შეიძლება მივიღოთ საჭირო ინფორმაცია ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

საინვესტიციო პროექტების დამუშავების მსოფლიო გამოცდილების განზოგადება საშუალებას იძლევა დადგინდეს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავების შედეგის ძირითადი მიმართულებები:[22]

1. პროექტის წანამძღვრები და ისტორია (პროექტის მიზნები, მისი ორიენტაცია, საწარმოს განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა, საგადასახადო შეღავათები, უკვე ჩატარებული წინასაინვესტიციო კვლევების ღირებულება, ეკონომიკური გარემოცვა);

2. ბაზრის ანალიზი და მარკეტინგის კონცეფცია (გასაღების შესაძლებლობები, კონკურენტული გარემო, გასაღების პერსპექტიული პროგრამა და პროდუქციის ნომენკლატურა, საფასო პოლიტიკა).

თუ პროექტის მიმართულება დაკავშირებულია მოქმედი საწარმოს ტექნიკურ გადაიარაღებასთან, მაშინ მარკეტინგული დამუშავება არ ხორციელდება. აქ უპირველესად მნიშვნელოვანია კონკრეტული საწარმოს საამქროებისა და უბნების ორგანიზაციულ-ტექნიკური კვლევები. ტექნიკური გადაიარაღება ხშირად დაკავშირებულია მიმდინარე ხარჯების

დონის ცვლილებასთან, პროდუქციის ხარისხთან, ამიტომ შესაძლებელია კონკრეტულ ბაზარზე გაყიდვების მოცულობის გარკვეული ცვლილებები;

3. ტექნიკური, კლიმატური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით განთავსების ადგილი (პროდუქციის გასაღების რადიუსი, ნედლეულისა და მასალების მიმწოდებლის განლაგება. ინვესტორებისათვის რეგიონის მიმზიდველობა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შრომითი რესურსების არსებობის პოზიციიდან და ა.შ.);

4. საპროექტო-საკონსტრუქტორო ნაწილი (საწარმოო სიმძლავრის განსაზღვრა, ტექნოლოგიის შერჩევა, მოწყობილობების სპეციფიკა, ნედლეულის, მასალების ენერგორესურსების ხარჯვის ნორმები, შრომატევადობა და მომსახურების ნორმები, მშენებლობის მოცულობა, საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, ანგარიში შერჩეულ მეთოდზე დამოკიდებულებით, მოწყობილობების ამორტიზაციის გრაფიკი);

5. მატერიალური რესურსები (მოთხოვნა, ნედლეულის დამხმარე მასალებისა და ენერგომატარებლების მიწოდების არსებული და პოტენციური მდგომარეობა);

6. ორგანიზაცია და ზედნადები ხარჯები (მართვის ორგანიზაციული სქემა, მოსალოდნელი ზედნადები ხარჯები);

7. შრომის რესურსები (მოთხოვნა, ანაზღაურების პირობები, სწავლების აუცილებლობა);

8. პროექტის განხორციელების გრაფიკი (მშენებლობის სამონტაჟო გაშვებაგამართვის სამუშაოების ვადები);

9. პროექტის ეკონომიკური და ფინანსური შეფასება (სრული საინვესტიციო დანახარჯები, დაფინანსების წყაროები, პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის და ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები).[35]

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ზემოთ მითითებული მიმართულებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ურთიერთგანპირობებულია საანგარიშო გეგმით (ერთი განყოფილების

მაჩვენებლები წარმოადგენს საანგარიშო საფუძველს სხვა განყოფილების შესაბამისი მაჩვენებლების ფორმირებისთვის).

საბოლოოდ, განსაზღვრული მეთოდით ჩატარებული კვლევები და ანგარიშები აკუმულირდება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამამთავრებელ ნაწილში. პროექტების საინვესტიციო მიმართულებებისა და მათი დაფინანსების შერჩევისათვის გადაწყვეტილების მისაღებად აღნიშნულს აქვს ძირითადი მნიშვნელობა. რაც უფრო მაღალია პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ცალკეული ნაწილების დამუშავების ხარისხი, მით უფრო იოლია მუშაობა პროექტის შეფასებისას და დამაჯერებელია მიღებული შედეგები.

ანალოგიური მიმართულებებით ხდება ასევე სხვა წინასაინვესტიციო კვლევების დამუშავება (წარმოიქმნება მათი დამუშავების აუცილებლობა). საინვესტიციო წინადადებები მეწარმის მიერ ობიექტების შექმნაზე, აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსხვავება მდგომარეობს პირველ რიგში გამოყენებული საწყისი მონაცემების სრულყოფაში და მეორე მხრივ, ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების მეთოდებში.

ჩამოთვლილი მიმართულებები წარმოადგენს მხოლოდ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსხვავებულ სქემას. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების თითოეული განყოფილების (მიმართულების) დამუშავება დაკავშირებულია განსაზღვრული მეთოდიკით სხვადასხვაგვარი სპეციფიკური ინფორმაციის (შეკრება, ანგარიში, გარდაქმნები, განზოგადება, ანალიზი) მომზადებასთან.

2.3. ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლის მეთოდები სამრეწველო პროექტირების და დაგეგმვის ეტაპზე

საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა მდგომარეობს პროექტში ჩადებული ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა გადაწყვეტების ინვესტორების მიზნებსა და ინტერესებთან შესაბამისობის გარკვევაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განმსაზღვრელი მხოლოდ მოგებაა. მოგების არსი ყველაზე სრულყოფილად გამოისახება მის ფუნქციებში. ეკონომისტების უმრავლესობა გამოყოფს სამ ფუნქციას. ესენია:

- საქმიანობის შედეგების განმაზოგადებელი;
- კვლავწარმოებითი;
- მასტიმულირებელი.

. როგორც ეკონომიკური კატეგორია, მოგება გამოხატავს ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციის განმსაზღვრელ ფორმას მატებითი პროდუქტის ღირებულების შექმნის, განაწილების და გამოყენების მიმართებით. მოგების უნიკალურმა ეკონომიკურმა ბუნებამ, მისი წამოქმნის და განაწილების საერთო ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა განსაზღვრეს მისი, როგორც საწარმოს და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნის. ადგილი ეკონომიკურ საბაზრო სისტემაში. [34] მეწარმეები მოგების სასურველი შედეგების მისაღწევად იძულებული ხდებიან ისე იმოქმედონ, რომ აწარმოონ საზოგადოებისათვის საჭირო გარკვეული ნომენკლატურის პროდუქცია, ესე იგი აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

მოგებაზე ორიენტაცია ჩვეულებრივ განიხილება განვითარების ხანგრძლივი დროის სტრატეგიის პოზიციებიდან. ამიტომ მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში საწარმოები საქმიანობას წარმართავენ სხვა მიზნების მისაღწევად, მაგალითად, მიმართული გარემოს დაცვაზე, კონკრეტულ ბაზარზე თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად და ა.შ., რომელთაც შეუძლიათ საწარმო მიიყვანონ შემოსავლების და მოგების შემცირებამდე. ასეთი ტაქტიკური გადაწყვეტილებები, საბოლოო ანგარიშში განიხილება, როგორც გარდაუვალი ეტაპები აუცილებელი პირობების შექმნის, განვითარების გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

დებულება მოგების შესახებ, როგორც ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმი, წარმოადგენს ბაზისურს. მაგრამ იგი არ არის საკმარისი ჩვენს

მიერ განსახილველი პრობლემის განსჯისათვის. ეფექტურობის კრიტერიუმი უნდა ასახავდეს საინვესტიციო პროცესის მონაწილეების ინტერესებს, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. [33]

მესაკუთრეების (აქციონერები) პოზიციებიდან ეს იქნება წმინდა მოგება. მესაკუთრისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ორიენტირად იქნება არა სრული მოგება, არამედ მოგება წმინდა და აუცილებელი გადასახადებისაგან.

ინვესტორების ინტერესების პოზიციებიდან წმინდა მოგების სიდიდე, პირველ რიგში, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რათა უზრუნველყოს მისი მინიმალური მისაღები შემოსავალი გადადებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მეორე რიგში, უზრუნველყოს ინფლაციით გამოწვეული ფულადი საშუალებების გაუფასურების კომპენსაცია და მესამე, გარანტირებულად უზრუნველყოს სხვადასხვა რისკებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგების კომპენსაცია. [33]

ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის, ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები, წარმოადგენს ინტელექტუალური საქმიანობის ხელოვნურ პროდუქტს იმ მიზნით, რომ ისინი კონსტატირდება იმ ობიექტური ეკონომიკური პროცესების სუბიექტური გაგებიდან, რომელთაც ისინი აღწერენ მათი პრაქტიკული მიმართულებიდან გამომდინარე, რათა შესაძლებელ იქნეს პროექტში მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობრივი ეკონომიკური შეფასება.

პრაქტიკაში, სამრეწველო ობიექტებზე საშუალებების ინვესტირების შესახებ, მმართველობითი გადაწყვეტილებები მუშავდება და საბუთდება სპეციალურად მომზადებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. ამ რეკომენდაციებში გარკვეული ადგილი ეთმობა ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების შესაბამის მეთოდიკას.

იმისათვის, რომ ობიექტურად აისახოს ინვესტიციების ეფექტურობა და გამოირიცხოს არასწორი გადაწყვეტილებები, ასეთი მეთოდიკა უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ პრინციპებს. საინვესტიციო პროექტების

ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკის ჩამოყალიბების მიმართ მათი რეალიზაციის ფორმები და მიმართულებები დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ.[35]

ჩამოყალიბებული პრინციპები განხილულია გარდამავალი ეკონომიკის პირობების მიმართ ეფექტურობის პრობლემის კვლევის განზოგადებული შედეგის საფუძველზე. პროექტში ჩადებული გადაწყვეტილების (ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და სხვა) შესაბამისობა ინვესტორების მიზნებსა და ეკონომიკის ინტერესებთან დაყვანილია ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრამდე.

1. მოცემული კონცეფციის რეალიზაცია ითვალისწინებს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

- ინვესტორისთვის მისაღები შემოსავლის ნორმის დასაბუთება;
- პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილების განზოგადებული შეფასების ხერხების დადგენა;
- ეფექტურობის მაჩვენებლებში ინვესტორების მოთხოვნების ჩართვის ხერხების განსაზღვრა.

2. ორიენტაცია ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე – წმინდა მოგებაზე (მესაკუთრეების პოზიციებიდან ეფექტურობის განსაზღვრის დროს) ან სრულ მოგებაზე (საზოგადოების პოზიციებიდან ეფექტურობის განსაზღვრის დროს) ნიშნავს, რომ ძირითადი ფრაგმენტები, რომელიც გამოყენებულია ეფექტურობის განსასაზღვრავად, პროექტის მიხედვით, შემოსავლის ნორმა და ფულადი ნაკადები (დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობა, რომელთა ბაზაზე ხდება ეკონომიკური ეფექტურობის მახასიათებლების კონსტრუირება) ეკონომიკური ბუნებით უნდა გამოსახავდეს დამოკიდებულებას ეფექტურობის სახესთან - მესაკუთრის წმინდა ან სრულ მოგებასთან;

3. მთელი სასიცოცხლო ციკლისათვის პროექტის ეკონომიკური გაანგარიშების ჩატარება;

4. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ვალუტების გამოყენების შესაძლებლობების გამოყენებით პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული (შემოდინება, გადინება) რეალური ფულადი საშუალებების ნაკადების მოდელირება უნდა მოიცავდეს პროექტის შექმნისა და რეალიზაციის მოღვაწეობის ყველა სახის, საინვესტიციო, ოპერაციული და ფინანსური სახეების ურთიერთკავშირს;

5. საორგანიზაციო - ეკონომიკური მექანიზმების სრულ შესაბამისობაში პროექტის რეალური ფულადი ნაკადების ყველა სახის ფორმირება.[34]

საორგანიზაციო - ეკონომიკური მექანიზმი არის საწარმოს მფლობელის სახელმწიფოსთან, თანამონაწილეებთან (რესურსების მომწოდებლებთან და პროდუქციის, მომსახურების მომხმარებლებთან), ფინანსური და საფონდო ბაზრის მონაწილეებთან და პროექტის მონაწილეებთან ურთიერთქმედების მარეგლამენტირებელი წესები.

საორგანიზაციო -ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს:

- სამეწარმეო საქმიანობის წესები, რეგლამენტირებული საკანონ-მდებლო აქტებით და ნორმატიული დოკუმენტებით, გამაგრებული ინსტრუქციებით, მოგების ანგარიშის და გამოყენების, დანახარჯების შედგენილობის, დაბეგვრის და სხვა მასალებით;
- პროექტის რეალიზაციისას, ერთობლივი მოქმედების განხორციელე-ბისთან, პროექტის მონაწილეთა მიერ აღებული ვალდებულებები;
- ვალდებულებების გარანტიები და სანქციები მათ დარღვევაზე (ფიქსირდება საწესდებო დოკუმენტებში და პროექტის მონაწილეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში);
- მოსაზიდ ფინანსურ წყაროებზე დამოკიდებულებით პროექტის დაფინანსების პირობები (კრედიტების გაცემის პირობები, ემისიები, აქციები და ა.შ,);
- დაპროექტებული საწარმოს, ასევე პროექტის მონაწილეთა მიმართ, მათ შორის უცხოური კომპანიების, რომლებიც პროექტში

მონაწილეობისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე იღებენ შემოსავლებს, აღრიცხვის პოლიტიკის თავისებურებები;

- მონაწილეებს შორის პროდუქციის და რესურსების ბრუნვის განსაკუთრებული პირობები, აგრეთვე პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებთან ანგარიშგების პირობები;

6. საფინანსო-საინვესტიციო ბიუჯეტში რეალური ფულადი საშუალებების ნაკადების, დაჯგუფების პრინციპის "შემოდინებები და გადინებები" ოპტიმალური შეთანხმების უზრუნველყოფა და "აქტივები და პასივები" საპროგნოზო (საანგარიშო) ბალანსში, როგორც საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის და ფინანსური საიმედოობის მაჩვენებლების ბალანსირებული სისტემის მიღწევის აუცილებელი პირობა; [35]

7. დროის ფაქტორის გათვალისწინება, მნიშვნელოვანი ასპექტი – სხვადასხვა დროის დანახარჯებისა და შედეგების არაერთფეროვნების გათვალისწინება, ფულადი ნაკადების არაერთფასოვნების გადალახვა დისკონტირების გზით ან კომპაუდირებით;

8. მხოლოდ სამომავლო ხარჯების გათვალისწინება – პროექტის ეფექტურობის განსაზღვრის პრინციპი, რომელიც აუცილებელია აისახოს უმთავრესად მოქმედ წარმოებაში მისი რეალიზაციის დროს.

აქ შესაძლებელია ორი ვარიანტი:

- ადრე შექმნილი საწარმოო ფონდები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არც ამ პროექტში, არც სხვა სახით. ამ შემთხვევაში მათ შექმნაზე გაწეული ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს არადაბრუნებადად. შესაბამისად, ისინი გაითვალისწინება ფულად ნაკადებში.
- ადრე შექმნილი საწარმოო ფონდები შეიძლება ჩართულ იქნეს ახალ პროექტში. შეფასება უნდა წარმოებდეს არა მათი ბალანსური შეფასებით, არამედ მათი ალტერნატიული ღირებულებიდან გამომდინარე;

9. სხვადასხვა პროექტების ეფექტურობის მაჩვენებლების შედარების პირობების უზრუნველყოფა. ეს პრინციპი უნდა მივიღოთ მხედველობაში, როგორც ალტერნატიული პროექტების, ისე დამოუკიდებელი პროექტების შედარების დროს. შედარების პირობებს განეკუთვნება ფასები პროდუქციაზე და გამოყენებულ რესურსებზე გაყიდვების მოცულობები, მაკროეკონომიკური მაჩვენებელები, შემოსავლების ნორმა (რისკის მდგენელის გამორიცხვით);

10. განუსაზღვრელობის და რისკების გავლენის გათვალისწინება, რომელიც პროექტის რეალიზაციას ახლავს შემოსავლის ნორმის სახით, აგრეთვე სხვა ირიბი მეთოდით;

11. პროდუქციასა და გამოყენებულ რესურსებზე ინფლაციის გავლენის გათვალისწინება, აგრეთვე პროექტის რეალიზაციისას რამდენიმე სახის ვალუტის გამოყენება;

12. მოქმედ საწარმოებში არარეალიზებული პროექტების (რეკონსტრუქცია, ტექნიკური გადაიარაღება) ეფექტურობის შეფასება ხდება ფულადი ნაკადების ნაზარდის სახით. ნაზარდის სიდიდე განისაზღვრება, როგორც დანახარჯების ნაკადებისა და შემოსავლების სხვაობა, ე.ი. სხვაობა ფულად და მოქმედ საწარმოში პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებული ნაკადისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაზისური პირობების შენარჩუნების დროს (პროექტის გარეშე); [33]

13. პროექტის მონაწილეების ეკონომიკური ინტერესების სპეციფიკის გათვალისწინება. პროექტის ცალკეული ჯგუფისათვის, რომლებიც უყენებენ მას სპეციფიკურ მოთხოვნებს, აგრეთვე შემოსავლის ნორმას. ეს პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ფორმირების დროს;

14. პროექტის ყველაზე მეტად არსებითი შედეგების გათვალისწინება. პროექტის ეფექტურობის განსაზღვრის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ მისი რეალიზაციის როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური შედეგები. ამ შემთხვევაში მისი რეალიზაციის არაეკონომიკური შედეგები შეიძლება

შეფასდეს რაოდენობრივად. ისინი უნდა გავითვალისწინოთ ფულადი საშუალებების ნაკადებში;

15. პროექტის შეფასების დროს ეკონომიკური ეფექტურობის მთელი რიგი მაჩვენებლებიდან მათი ერთობლივი გამოყენების შემთხვევაში ერთერთის უპირატესობის განსაზღვრა.

საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის პრობლემა მისი შემოსავლის დონის აბსოლუტურ და ფარდობით გამოსახვაში (საინვესტიციო დანახარჯებისა და კაპიტალის ანგარიშში) მდგომარეობს, რაც ხასიათდება, როგორც შემოსავლის ნორმა.

განასხვავებენ მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ორ მიდგომას: მარტივი და გამსხვილებული მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ საანგარიშო პერიოდის თითოეულ ბიჯზე (ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის) ფულადი ნაკადების არათანაბარფასეულობას, საინვესტიციო რისკებს, პროექტში მონაწილე ინვესტორების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს. პირველი გვთავაზობს სტატისტიკური მოდელების აგებას, მეორე – ეფექტურობის შეფასებისათვის აუცილებელ დინამიკურ მოდელებს და ურთიერთდაკავშირებულ პარამეტრებს. ამიტომ მათ ხშირად უწოდებენ ეფექტურობის შეფასების დინამიკურ და სტატისტიკურ მეთოდებს.

მარტივი მეთოდები ფართოდ გამოიყენება საინვესტიციო სტრატეგიის დამუშავების პროცესში, საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების საწყის ეტაპზე.

საინვესტიციო სტრატეგიის დამუშავების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრის დროს ვაწყდებით არცთუ მცირე სირთულეებს. უპირველეს ყოვლისა, ეს სირთულეები დაკავშირე-ბულია შეზღუდული და, ამასთან, საიმედოობის ხარისხით განუსაზღვრელი, დანახარჯების და შედეგების შესახებ ინფორმაციასთან. ინფორმაციის განუსაზღვრელობა განპირობებულია იმით, რომ, როგორც წესი, დამმუშავებლები ღონისძიებებს წარმოადგენენ საერთო სახით.

ხშირად ეს ჩვეულებრივი გაგებით ღონისძიებები კი არ არის, არამედ კონკრეტული საწარმოო ამოცანის ტექნიკურ-ტექნოლოგიის შესაძლო გადაწყვეტაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ზოგჯერ საჭირო ხდება მივმართოთ საწყისი ინფორმაციის განსაზღვრის ექსპერტულ ხერხს, მაგალითად, ინვესტიციების აუცილებელი მოცულობა, წარმოების მიმდინარე დანახარჯები, გასაღების მოცულობა და რეალიზაციის ფასები. ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გამსხვილებული მეთოდებით გამოვთვალოთ ეკონომიკური ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა გამოსყიდვის ვადა და მოგების ნორმა (რენტაბელობა).

მოგების ნორმა = მოგება / ინვესტიცია;

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა = ინვესტიციები / მოგება.

ამ დროს ოპერირებენ „წერტილოვანი“ (სტატისტიკური) საწყისი მონაცემების მნიშვნელობებით. გამოთვლისას არ ითვალისწინებენ შესაქმ-ნელი და რეკონსტრუირებადი ობიექტის სასიცოცხლო ვადას და იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომელსაც ადგილი ექნება გამოსყიდვის ვადის მიღწევის შემდგომ, ერთდროულ ხარჯებს. [34]

აქედან გამომდინარე, გამსხვილებული მეთოდით მიღებული ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები არცთუ მაღალი საიმედოობით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მისი უბრალოებით და ილუსტრირე-ბულობით ეფექტურობის შესაფასებლად ეს მეთოდი, შეზღუდული ინფორმაციის პირობებში და საინვესტიციო გადაწყვეტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საწყის სტადიაზე, საკმაოდ ფართოდ გამოიყენება.

რადგან საინვესტიციო სტრატეგიის დამუშავებისას ყოველთვის განიხილება კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის მრავალი მიმართულება და ვარიანტი, ყველაზე მიმზიდველი მათგან იქნება ის, რომელიც ხასიათდება ყველაზე მაღალი შემოსავლების ნორმებით და

უზრუნველყოფს შემოსავლების ასეთი დონის გადაჭარბებას ნებისმიერი სხვა ინვესტირების ალტერნატიულ ხერხებზე. მაგალითად, ფასიანი ქაღალდებიდან ან გრძელვადიანი კრედიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლიანობასთან შედარებით.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ცალკე აღებული ღონისძიების (პროექტის) შეფასება უნდა წარმოებდეს საწარმოს ფუნქციონირების სისტემაში მისი ადგილის გათვალისწინებით. მაგალითად, საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებების პერსპექტივაში შესასწავლად პრაქტიკულად ყოველ საწარმოში იქმნება ე. წ. გარდაუვალი ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობა. მათ მიეკუთვნება მაგალითად, ინვესტიციები, მიმართული გარემოს დაცვაზე. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ღონისძიებები ატარებს დანახარჯების ხასიათს. [34]

ცნობილია, რომ მათი გატარება ხარჯებში აუცილებელი პირობაა საწარმოო-სამეურნეო მოღვაწეობის განხორციელებისათვის. მათი განხორციელების გარეშე საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეჩერებულ იქნეს და ამით საბაზრო პირობებში შეწყდეს საწარმოს განვითარების მთავარი მიზნის მიღწევა – დაგეგმილი სიდიდის მოგების მიღება. ამიტომ, ბუნების დაცვით ღონისძიებებს, მეწარმის საქმიანობის მთავარი მიზნის მიღწევის პოზიციებიდან, სტრატეგიულ საინვესტიციო გეგმაში მიცემული აქვს პრიორიტეტული ხასიათი.

მეორე დამახასიათებელი მაგალითი რიგ შემთხვევაში კონკურენ-ტული ბრძოლის პირობებში წინა პლანზე გამოდის ბაზარზე პოზიციების შენარჩუნების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ამრიგად, პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოს, გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების ამოცანების გათვალისწინებით, ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას და წარმოების ფინანსურ მდგრადობას.

სტატისტიკური მეთოდებით ეფექტურობის შეფასების არსებითი ნაკლოვანებები შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს ეკონომიკური ეფექტურობის

შეფასების მეორე ჯგუფის მეთოდების გამოყენებით. ესენია დინამიკური მეთოდები.

ეფექტურობის შეფასება რეკომენდებულია განხორციელდეს შემდეგი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემით:

- წმინდა შემოსავალი;
- წმინდა დისკონტირებული შემოსავალი ან ინტეგრალური ეფექტი (სხვა, საზღვარგარეთ გამოყენებული მახასიათებლები – წმინდა დაყვანა ან მიმდინარე ღირებულება);
- შემოსავლიანობის ინდექსი (ან მომგებიანობის ინდექსი);
- გამოსყიდვის ვადა (ერთდროული დანახარჯების დაბრუნების ვადა);
- შემოსავლების წმინდა ნორმა (ან მოგების შიგა ნორმა, რენტაბელობა);
- ფინანსური მდგრადობა (საიმედოობა), საერთო გადახდის უნარია ნობის კოეფიციენტი, საერთო ლიკვიდურობა, მყის ლიკვიდურობა და სხვა.

ზოგჯერ, ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლებს უპირისპირებენ პროექტის ფინანსურ საიმედოობას. ასეთი მიდგომა არამართებულია. ყოველთვის უნდა გაესვას ხაზი მათ სისტემურ ერთიანობას. ამ მაჩვენებლებს აქვს ერთნაირი საინფორმაციო ბაზა. ისინი სისტემაში უნდა იყოს დაბალანსებული, რაც დამუშავებული საინვესტიციო პროექტის ხარისხის დონისადმი უპირობო მოთხოვნას წარმოადგენს. [33]

საინვესტიციო პროექტის დამუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობას იღებენ რიგი სუბიექტები: აქციონერები (ფირმები, კომპანიები), ბანკები, სხვადასხვა დონის ბიუჯეტები. ეფექტური პროექტის რეალიზაციის შედეგად საზოგადოებაში მიღებული შემოსავალი (სრული შიგა პროდუქტი) მათ შორის იყოფა.

საინვესტიციო პროცესში რამდენიმე მონაწილის არსებობა განსაზღვრავს ინტერესების არათანხვედრას, პროექტის ვარიანტების პრიორიტეტების მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებას. თითოეული მონაწილის პოზიციებიდან ამ სუბიექტის შემოსავლებით და

დანახარჯებით განისაზღვრება საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის სხვადასხვა სახეები.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მონაწილეების პოზიციები პოულობენ განხორციელებას საწყის ინფორმაციაში და ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშების ფულადი საშუალებების სპეციფიკური ნაკადების ფორმირებაში. ამიტომ შეფასების შედეგები და, შესაბამისად, გადაწყვეტილებები პროექტში მათი მონაწილეობის შესახებ შეიძლება არ დაემთხვას ერთმანეთს.

პროექტის ეფექტურობა მთლიანობაში ფასდება პროექტის პრეზენტა-ციის და, მასთან დაკავშირებული, პოტენციური ინვესტორებისათვის მიმზიდველობის განსასაზღვრავად. საზოგადოებრივი ეფექტურობა ახასიათებს საზოგადოებისთვის მთლიანად, პროექტის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, ე.ი. ითვალისწინებს პროექტის არა მარტო უშუალო შედეგებს და ხარჯებს, არამედ პროექტის მიმართ ეკონომიკის მომიჯნავე სექტორებში გარე ხარჯებს და შედეგებს - ეკოლოგიური, სოციალური და სხვა არაეკონომიკური ეფექტები. [35]

საზოგადოებრივ ეფექტურობას აფასებენ მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტებით, რომლებიც ეხება არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყნის ინტერესებს. პროექტებისათვის, სადაც არ მოითხოვება სახელმწიფო ორგანოების მიერ ექსპერტიზის ჩატარება არ ხდება საზოგადოებრივი ეფექტურობის მაჩვენებლების დამუშავება.

პროექტის კომერციული ეფექტურობა ახასიათებს პროექტის განმხორციელებლისათვის (ინვესტორისათვის) ეკონომიკურ შედეგებს, გამომდინარე იქიდან, რომ ის აწარმოებს ყველა აუცილებელ დანახარჯებს პროექტის რეალიზაციისათვის და იყენებს ყველა მის შედეგს. ზოგჯერ კომერციულ ეფექტურობას განიხილავენ, როგორც სრული საინვესტიციო დანახარჯების ეფექტურობას ან მთლიანად პროექტის ეფექტურობას. ითვლება, რომ კომერციული ეფექტურობა ახასიათებს, ეკონომიკური თვალსაზრისით, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ

საპროექტო გადაწყვეტებს (ეფექტურობის ფორმირების ძირითადი პარამეტრები, გარდა ფინანსურის).

ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტში მონაწილეობის ეფექტურობის განსაზღვრა. მას განსაზღვრავენ საინვესტიციო პროექტის რეალიზება-დობის და მასში ყველა მონაწილის დაინტერესების მიზნით. მონაწილეობის ეფექტურობას აფასებენ, პირველ რიგში, საწარმოსათვის, პოტენციური ინვესტორისათვის. ეფექტურობის ამ სახეს უწოდებენ აგრეთვე პროექტში საკუთარი კაპიტალის ეფექტურობას.

პროექტში მონაწილეობის ეფექტურობა მოიცავს ისეთ სახეებსაც, როგორიცაა პროექტში უფრო მაღალი სტრუქტურების ეფექტურობა (საფინანსო სამრეწველო ჯგუფები, ჰოლდინგური სტრუქტურები), საინვესტიციო პროექტის საბიუჯეტო ეფექტურობა (პროექტში სახელმწიფოს მონაწილეობის ეფექტურობა, ბიუჯეტის ყველა დონის ხარჯები და შემოსავლები).

მაჩვენებლების სისტემა, ჩამოთვლილი ეფექტურობის სახეების შეფასება და მათი განსაზღვრის პრინციპები ძირითადად ერთნაირია. განსხვავება იმ საწყის პარამეტრებშია, რომლებიც პროექტიდან გამომდინარე, რეალური ფულადი საშუალებების ნაკადებს აფორმირებს ეფექტურობის ყოველი სახის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტის პარამეტრების ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული სისტემა ხორციელდება ეკონომიკური ბუნების ერთიან გარემოში. გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოებრივი ეფექტურობის მაჩვენებლები. "გარე" ეფექტი ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას იგი გათვალისწინებულ იქნეს ღირებულებით გამოსახულებაში. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ეს ეფექტი ძალზე არსებითია, მაგრამ შეუძლებელია მისი განსაზღვრა, ხდება ამ მაჩვენებლების გავლენის ხარისხობრივი შეფასება.

საინვესტიციო პროექტის (სპ) ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა მდგომარეობს ორი ამოცანის გადაწყვეტაში – პროექტში

ჩადებული ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა გადაწყვეტების ინვესტორების მიზნებსა და ინტერესებთან შესაბამისობის გარკვევა.

როგორც საწყისი პუნქტი, რომელიც თავისი განვითარებით აფორმირებს ეფექტურობის თეორიის შინაარსს და გადმოცემის ლოგიკას, მიღებული კონცეფცია საშუალებას იძლევა ავაგოთ ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის თეორიის პრინციპიალური მოდელი, ეფექტურობის შეფასებაში მისი მეთოდოლოგიური და მეთოდური პრინციპების შემდგომი გარდაქმნისათვის.

პრინციპიალურს წარმოადგენს იმ მიზეზით, რომ აქ ეფექტურობის თეორიის განვითარება ექვემდებარება სწორედ ამ თეორიისათვის დამახასიათებელ ობიექტურ მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირს. სხვა ვარიანტი შეუძლებელია, რაც მისი არსებითი უპირატესობაა.

ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების თეორიული პრობლემების შესწავლა იწყება ინვესტორის ეკონომიკური ინტერესების არსისა და სპეციფიკური გადაწყვეტების კომპლექსის თანამიმდევრული განხილვიდან. აქ საწყისს წარმოადგენს მესაკუთრის მოთხოვნის განსაზღვრის საკითხების კომპლექსის გადაწყვეტა.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს ინვესტორის ეკონომიკური ინტერესის პარამეტრები (მათი შინაარსი და დონე) და მხოლოდ შემდგომ გადავიდეთ მაჩვენებლების შერჩევასა და შეფასებაზე. ასეთი „ტექნოლოგიური დამოკიდებულება“ განპირობებულია იმით, რომ „ინტერესის“ პარამეტრების საშუალებით ეფექტურობის მაჩვენებლების ანგარიშებში ჩაირთვება ინვესტორის მოთხოვნა მისთვის მისაღებ შემოსავალზე. თუ არ იქნება გადაწყვეტილი პირველი ამოცანა, არ შეიძლება მეორე ამოცანის გადაწყვეტა.

ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განსასაზღვრავად შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ მოგება. ამის იგნორირებამ პრაქტიკაში შეიძლება გამოიწვიოს

სერიოზული დარღვევები - ეკონომიკური დანაკარგები. მოგების არსი ყველაზე სრულყოფილად გამოისახება მის ფუნქციებში. ეკონომისტების უმრავლესობა გამოყოფს სამ ფუნქციას. ესენია: საქმიანობის შედეგების განმაზოგადებელი, კვლავწარმოებითი და მასტიმულირებელი.

როგორც ეკონომიკური კატეგორია მოგება გამოხატავს ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციის განმსაზღვრელ ფორმას მატებითი პროდუქტის ღირებულების შექმნის, განაწილების და გამოყენების მიმართებით.

მოგების უნიკალურმა ეკონომიკურმა ბუნებამ, მისი წამოქმნის და განაწილების საერთო ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა განსაზღვრეს მისი ადგილი ეკონომიკურ საბაზრო სისტემაში, როგორც საწარმოს და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზანი. მეწარმეები მოგების სასურველი შედეგების მისაღწევად იძულებული ხდებიან ისე იმოქმედონ, რომ აწარმოონ საზოგადოებისათვის საჭირო გარკვეული ნომენკლატურის პროდუქცია, ესე იგი აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

მოგებაზე ორიენტაცია ჩვეულებრივ განიხილება განვითარების ხანგრძლივი დროის სტრატეგიის პოზიციებიდან. ამიტომ მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში საწარმოები საქმიანობას წარმართავენ სხვა მიზნების მისაღწევად, მაგალითად, მიმართული გარემოს დაცვაზე, კონკრეტულ ბაზარზე თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად და ა. შ., რომელთაც შეუძლიათ საწარმო მიიყვანოს შემოსავლების და მოგების შემცირებამდე. ასეთი ტაქტიკური გადაწყვეტილებები, საბოლოო ანგარიშში განიხილება, როგორც გარდაუვალი ეტაპები აუცილებელი პირობების შექმნის, განვითარების გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

დებულება მოგების შესახებ, როგორც ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმი, წარმოადგენს ბაზისურს. მაგრამ იგი არ არის საკმარისი ჩვენ მიერ განსახილველი პრობლემის განსჯისათვის. ეფექტურობის კრიტერიუმი უნდა ასახავდეს საინვესტიციო პროცესის მონაწილეების ინტერესებს, რომლებიც ყველასათვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

მესაკუთრეების (აქციონერები) პოზიციებიდან ეს იქნება წმინდა მოგება. მესაკუთრისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ორიენტირად იქნება არასრული მოგება, არამედ მოგება წმინდა და აუცილებელი გადასახადებისაგან.

ინვესტორების ინტერესების პოზიციებიდან წმინდა მოგების სიდიდე, პირველ რიგში, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რათა უზრუნველყოს მისი მინიმალური მისაღები შემოსავალი გადადებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მეორე რიგში, უზრუნველყოს ინფლაციით გამოწვეული ფულადი საშუალებების გაუფასურების კომპენსაცია და, მესამე, გარანტირებულად უზრუნველყოს სხვადასხვა რისკებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგების კომპენსაცია.

რაც შეეხება საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის განსაზღვრის მეორე ეტაპის განხილვაზე - პროექტებში მიღებულ საინვესტიციო ეფექტურობის სისტემური მახასიათებლების მარკეტინგულ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ, ფინანსურ და სხვა გადაწყვეტებზე.

ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის, ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები, წარმოადგენს ინტელექტუა-ლური საქმიანობის ხელოვნურ პროდუქტს იმ მიზნით, რომ ისინი კონსტატირდება იმ ობიექტური ეკონომიკური პროცესების სუბიექტური გაგებიდან, რომელთაც ისინი აღწერენ მათი პრაქტიკული მიმართულებიდან გამომდინარე, რათა შესაძლებელ იქნეს პროექტში მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობრივი ეკონომიკური შეფასება.

კრიტერიალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, განვიხილოთ ეფექტურობის მაჩვენებლების ცნობილი სისტემა: წმინდა შემოსავალი, წმინდა დისკონტირებული შემოსავალი, შემოსავლის შიგა ნორმა. როგორც ცნობილია, წმინდა შემოსავალი წარმოადგენს ყველა სხვა მაჩვენებლის ბაზისურ ელემენტს. ამიტომ კანონზომიერი იქნება შემდგომში ჩამოყალიბებული შედეგების წმინდა მოგების ფორმირების

სტრუქტურული ანალიზის გავრცელება ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის სხვა მაჩვენებლებზე.

წმინდა შემოსავალი საანგარიშო პერიოდის თითოეულ ბიჯზე განისაზღვრება, როგორც რეალური ფულადი საშუალებების შემოდინებე-ბისა და გადინებების სხვაობა. ყველაზე მოხერხებულია პროექტის მიხედვით მისი აკუმულირება ბიუჯეტში. ამ დოკუმენტში წმინდა მოგება წარმოდგენილია, როგორც ალგებრული ჯამი სალდო ფულადი საშუალებების ნაკადების საქმიანობის სამი სფეროსი: ოპერაციული, საინვესტიციო და ფინანსური. საფინანსო საინვესტიციო ბიუჯეტის (სსბ) აგების მეთოდოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ ბიჯზე მიღებული შედეგი თავისი ეკონომიკური შინაარსით ასახავს მოგებას გადასახადების გამოკლების, კრედიტის დაბრუნებისა და მომსახურებაზე ხარჯების გამოკლების შემდგომ, ე. ი. წმინდა მოგება და ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია, შექმნილი დაფინანსების სხვადასხვა წყაროების ხარჯზე. გარე პროექტის მიმართ (საკუთარი და ნასესხები, წმინდა მოგების რეფინანსირება და ამორტიზაცია, აკუმულირებული საინვესტიციო პროექტის საექსპლუატაციო ფაზაში). [34]

გარკვეულ პირობებში წმინდა მოგება მოიცავს საშუალებებს მიღებულს ძირითადი და საბრუნავი აქტივების ზედმეტი ელემენტების რეალიზაციიდან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ავანსირებული საშუალებები წარმოადგენენ გარეს პროექტის მიმართ, რადგანაც ისინი წარმოიქმნებიან მისი რეალიზაციის შედეგად.

ამრიგად, წმინდა მოგების შესაკრებს აქვს სხვადასხვა ეკონომიკური ბუნება. ერთი ნაწილი ასახავს პროექტის მიხედვით საწარმოსამეურნეო შედეგებს, ხოლო მეორე – სამეწარმეო საქმიანობის ობიექტის შესაქმნელად ავანსირებული საშუალებების ანაზღაურებას. ცხადია, რომ წმინდა მოგება ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდიკით არ პასუხობს ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმების მოთხოვნებს. ის ყოველთვის გადააჭარბებს საპროექტო ეფექტურობის მაჩვენებლების ყველა დონეს.

იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის ჯამური წმინდა შემოსავლის ანგარიშის დროს, საანგარიშო პერიოდის შესაბამის ბიჯებზე, გამორიცხავენ ავანსირებულ საშუალებებს, მიმართულს მუდმივი და საბრუნავი აქტივების შესაქმნელად.

ეს სქემა ყველაზე მარტივია ფულადი საშუალებების ნაკადების ფორმირებისათვის. იგი რეალიზებულია საზოგადოებრივი და კომერციული ეფექტურობის გაანგარიშებსათვის საჭირო ინტეგრირებული ეკონომიკური ინფორმაციის მომზადების სისტემაში.

ფორმალურად ზემოთ ჩამოყალიბებული შეიძლება რეალიზებულ იქნეს ჯამური ნაკადის ფორმირებისას, რომელიც აუცილებელია საკუთარი კაპიტალის პროექტში მონაწილეობის ეფექტურობის შესაფასებლად. ეფექტურობის ამ სახეს დომინირებული ადგილი უკავია ეფექტურობის შეფასების სისტემაში. საქმე იმაშია, რომ ის ასახავს მესაკუთრეების ეკონომიკურ ინტერესებს და ამიტომ გაითვალისწინება ყველა საინვესტიციო პროექტში, საზოგადოებრივი ეფექტურობა კი, მხოლოდ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პროექტებში, ხოლო კომერციული ეფექტურობის ანგარიში შეიძლება საერთოდ უგულებელვყოთ.

გამარტივებული სქემის გამოყენება, ჯამური ფულადი ნაკადის ფორმირებისას, საშუალებას იძლევა გადავწყვიტოთ ნაკადის შესაბამისობის ეფექტურობა მოთხოვნებისადმი, მაგრამ არ იძლევა საშუალებას აისახოს აქციონერების დივიდენტური პოლიტიკა საანგარიშო პერიოდის შედეგების მიხედვით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტურობის ფორმირებაში აქციონერების მონაწილეობის შესახებ პარამეტრების დადგენისას, ამიტომ ავანსირებული კაპიტალის პირდაპირ გამოკლება მიუღებულია.

ფორმულირებული ამოცანა შეიძლება გადაწყდეს სხვა გზით, ამისათვის აუცილებელია ჯამური სალდოს ანგარიშებში გაკეთდეს ამორტიზაციისა და აქტივების რეალიზაციიდან ფულადი შემოდინებების ელიმინირება საანგარიშო პერიოდის როგორც ცალკეულ ბიჯებზე, ისე პროექტის სასიცოცხლო ციკლის ბოლოს.

ჩვენ მიერ შესასწავლი პრობლემის განსახილველად საინვესტიციო პროექტი იდეალურ მოდელს წარმოადგენს. მასში მკაფიოდაა ასახული სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპი მისი დასაწყისიდან (სამეწარმეო საქმიანობის ობიექტის შესაქმნელად კაპიტალის ავანსირებიდან) – დამთავრებამდე (ლიკვიდაციამდე). სასაზღვრო დროითი ჩარჩოებში ჩაიწერება ფულადი საშუალებების ნაკადები, რომლებიც ასახავენ ინდივიდიალური კაპიტალის წრებრუნვის ფაზებს.

2.4. გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები და მეთოდები, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის მოდელირება

მოდელების გამოყენება მართვის მეცნიერების ერთ-ერთი თავისებურებაა. მოდელირების კონცეფციის არსებობა განპირობებულია მართვის პრობლემების სირთულითა და რეალურ ცხოვრებაში ექსპერიმენტის ჩატარების სიძნელეებით.

მოდელის მეშვეობით შესაძლებელი ხდება რეალურად არსებული ცხოვრებისეული სიტუაციის გამარტივება, რაც უზრდის მენეჯერს შესაძლებლობას გაერკვეს მის წინაშე მდგომი პრობლემის არსში და გადაწყვიტოს ის. მოდელირება დღეისათვის ერთადერთი სისტემა-ტიზებული ხერხია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მომავლის ვარიანტების დანახვა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების პოტენციური შედეგების განსაზღვრა.

არსებობს მოდელირების სამი საბაზო ტიპი: ფიზიკური, ანალოგიური და მათემატიკური. ფიზიკურ მოდელად ითვლება ის, რაც გამოიკვეთება ობიექტის ან სისტემის გადიდებული, ან შემცირებული აღწერის მეშვეობით. ფიზიკურ მოდელს უწოდებენ პორტრეტულ მოდელსაც. მას მიეკუთვნება, მაგალითად, ქარხნის ნახაზი (სქემა). ფიზიკური მოდელი აიოლებს აღქმის პროცესს და ეხმარება მენეჯერს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ქარხნის ნახაზი საშუალებას იძლევა დადგინდეს მოწყობილობათა განთავსების შესაძლებლობები. ახალი მანქანების მოდელები მათი წარმადობის დადგენის შესაძლებლობას

იძლევა. შენობების მოდელების შექმნა საშუალებას აძლევს სათანადო სამსახურებს განსაზღვრონ მისი აშენების მიზანშეწონილება ამა თუ იმ ადგილზე, ესთეტიკური თუ სხვა მოსაზრებით.

ანალოგიური მოდელი არის საკვლევი ობიექტის ანალოგი, რომელიც მოქმედებს როგორც რეალური ობიექტი, მაგრამ არ გამოიყურება ასეთად. წარმოების მოცულობისა და ხარჯების თანაფარდობის ამსახველი გრაფიკი ანალოგიური მოდელია, რომელიც აჩვენებს წარმოების დონის გავლენას ხარჯებზე. ანალოგიურ მოდელს მიეკუთვნება, აგრეთვე, ორგანიზაციის სტრუქტურული სქემა. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის ქვედანაყოფებს შორის არსებული რთული კავშირების გამოვლენის უფრო მარტივ და ეფექტიან ხერხს, ვიდრე ვთქვათ მუშაკთა ურთიერთკავშირის სახეების ჩამონათვალი.

მათემატიკური მოდელი გულისხმობს ობიექტის ან მოვლენის ნიშან-თვისების აღწერას სიმბოლოების დახმარებით, ამიტომ უწოდებენ მას სიმბოლურ მოდელსაც. მათემატიკური მოდელების გამოყენებით შესაძლებელია განსაკუთრებით რთული მოვლენების არსში გარკვევა. საგულისხმოა, რომ ყველაზე ხშირად ორგანიზაციული გადაწყვეტილებე-ბის მიღებისას გამოიყენება მათემატიკური მოდელები.

მოდელირების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ამოცანის დასმა;
- მოდელის აგება;
- მოდელის შემოწმება საიმედოობაზე;
- მოდელის გამოყენება.

ამოცანის დასმა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მოდელირების პროცესში, შეიძლება ითქვას უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი გადაწყვეტა. საქმე ის არის, რომ მხოლოდ პრობლემის ზუსტად განსაზღვრის პირობებშია შესაძლებელი მისი ოპტიმალური გადაწყვეტის გზების გამოძებნა. ამოცანის სწორად განსაზღვრის შემდეგ უნდა დადგინდეს მოდელირების ძირითადი მიზეზები, მისთვის საჭირო

ინფორმაცია და ინფორმაცია, რომელიც მიიღება მოდელის გამოყენებით. თუ მოდელის აგების პოტენციური ხარჯები აღემატება მისი მეშვეობით მისაღებ შედეგებს, ის ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს ორგანიზაციის წინსვლაში დასახული მიზნისაკენ და საჭიროა მასზე უარის თქმა. [36]

ამის შემდეგ ხორციელდება მოდელის შემოწმება საიმედოობაზე. შემოწმების ერთ-ერთი ასპექტი გულისხმობს მოდელის რეალურ სამყაროსთან შესაბამისობის ხარისხის დადგენას. უნდა გაირკვეს, არის თუ არა ჩართული მოდელში რეალური სიტუაციის ყველა არსებითი ხასიათის პრობლემა. ეს ბუნებრივია, არ არის მარტივი საქმე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გადასაწყვეტია რთული ამოცანა.

მართვის მოდელების შემოწმებამ უჩვენა, რომ ისინი არ არიან სრულყოფილნი, რადგან არ მოიცავენ ყველა რელევანტურ ცვლადს (ფაქტორს). ცხადია, რაც უკეთესად ასახავს მოდელი რეალურ მდგომარეობას, მით მაღალია მისი, როგორც მენეჯერის ხელშემწყობის, პოტენციალი კარგი გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

მოდელის შემოწმების მეორე ასპექტი გულისხმობს იმის გარკვევას, თუ მისი საშუალებით მიღებული ინფორმაცია როგორ დაეხმარება მენეჯერს პრობლემის გადაწყვეტაში.

მოდელირების პროცესის ბოლო ეტაპია მოდელის დანერგვა. მართვის მეცნიერების მოდელების გამოყენების მხრივ დღეს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც აშშ-ია, მართვის მეცნიერების მოდელები კორპორაციათა დონეზე სრულად ან თითქმის სრულად გამოიყენება მხოლოდ 60 %-ს ფარგლებში. ამის ძირითადი მიზეზი, ალბათ ისაა, რომ მენეჯერებს ეშინიათ მოდელების გამოყენების ან არ იციან მათი გამოყენების მნიშვნელობა. [36]

მოდელების გამოყენებას ხელს უშლის, აგრეთვე ცვლილებებისადმი, სიახლეებისადმი ადამიანთა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება. მოდელი, პრაქტიკაში წარმატებითაც რომ გამოიყენონ, საჭიროა მისი

პერიოდულად განახლება, ორგანიზაციის გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

მართვის მეცნიერების კონკრეტული მოდელების რაოდენობა ისევე დიდია, როგორც იმ პრობლემებისა, რომელთა გადასაჭრელადაც გამოიყენება ისინი. ამ მოდელებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება თამაშთა თეორია, [36] ოპტიმალური მომსახურების მოდელები, მარაგის მართვის მოდელები და წრფივი პროგრამირება.

თამაშთა თეორია მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტებზე ზემოქმედების შეფასების მოდელირების მეოდია. კონკურენტების მოსალოდნელი მოქმედების პროგნოზირება ორგანიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასზეა უშუალოდ დამოკიდებული უპირატესობის მოპოვება სხვა ორგანიზაციებთან შედარებით.

თამაშთა თეორიის მოდელი თავდაპირველად დაამუშავეს და გამოიყენეს სამხედრო საქმეში. ბიზნესის სფეროში ის გამოიყენება ფასების ცვლილებებზე კონკურენტების რეაქციის, გასაღებისათვის მხარდაჭერის ახალი კამპანიის, დამატებითი მომსახურების მიწოდების, ახალი პროდუქციის შექმნისა და ათვისების პროგნოზირებისათვის. თამაშთა თეორია არ გამოიყენება ისე ხშირად, როგორც აქ განხილული სხვა მოდელები.

ოპტიმალური მომსახურების მოდელები გამოიყენება არსებული მოთხოვნილების მიხედვით მომსახურების არხების ოპტიმალური რაოდენობის დასადგენად. ამ ტიპის მოდელების გამოყენება სასურველია შემდეგ სიტუაციებში:

- ავია ან სარკინიგზო კომპანიაში დარეკვა ადგილების დასაჯავშნად და ინფორმაციის მისაღებად;
- რიგში დგომა მონაცემების მანქანური დამუშავებისა და მოწყობილობების შეკეთების დროს;
- სატვირთო ავტომანქანების რიგი საწყობებში ტვირთის დასაცლელად. ა. შ. [36]

ამ სიტუაციათა დასარეგულირებლად საჭიროა მომსახურების არხების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რაც ხორციელდება ოპტიმალური მომსახურების მოდელების დახმარებით. თუ არ განისაზღვრა მოდელების დახმარებით მომსახურების არხების ოპტიმალური რაოდენობა, კლიენტები გადაინაცვლებენ კონკურენტებთან, რაც არც ბიზნესმენის ინტერესებში არ შედის.

მარაგის მართვის მოდელების გამოყენება უზრუნველყოფს საქონლის წარმოების და რეალიზაციის არხებში მარაგის გარკვეული დონის შენარჩუნებას რეალიზაციაში წყვეტილობის თავიდან აცილების მიზნით. ამ მოდელების მეშვეობით შესაძლებელია მარაგის დაგროვების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. [36]

წრფივი პროგრამირება გამოიყენება დეფიციტური რესურსების განსაზღვრისათვის. წარმოების მართვაში იყენებენ წრფივი პროგრამირების შემდეგ ტიპურ მოდელებს:

- წარმოების გამსხვილებული დაგეგმვა;
- პროდუქციის ასორტიმენტის დაგეგმვა;
- ტექნოლოგიური პროცესების მართვა, მუშაკთა განაწილება და სხვა.

ყველა ჩამოთვლილი მოდელი გულისხმობს იმიტაციას, რადგან ისინი წარმოადგენენ რეალური სიტუაციების შემცვლელებს. როგორც მოდელირების მეთოდი, იმიტაცია მოდელის შექმნისა და რეალური სიტუაციის ცვლილებების განსაზღვრისათვის მისი ექსპერიმენტული გამოყენების პროცესს აღნიშნავს.

იმიტაცია გამოიყენება ძალიან რთულ სიტუაციაში, როცა ძნელდება წრფივი პროგრამირების ტიპის მათემატიკური მოდელების გამოყენება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ცვლადების (ფაქტორების) უკიდურესად დიდი რაოდენობით, ცვლადებსა და გაურკვევლობის დონეს შორის ურთიერთკავშირის მათემატიკური ანალიზის სიძნელეებით. [44]

წარმოებისა და ფინანსების სპეციალისტებს შეუძლიათ დაამუშავონ მოდელი, რომელიც საშუალებას მისცემთ მოახდინინ მწარმოებლურობისა

და მოგების მოსალოდნელი ზრდის იმიტაცია ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შესაბამისად. მარკეტინგის სპეციალისტმა შეიძლება შექმნას პროდუქციაზე ფასების ცვლილებისაგან დამოკიდებულებით გასაღების მოსალოდნელი მოცულობის იმიტაციური მოდელი.

მოდელირების უფრო გავრცელებული მეთოდია ეკონომიკური ანალიზი. ის თავისთავში მოიცავს ხარჯებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის, აგრეთვე, საქმიანობის შეფარდებითი რენტაბელობის შეფასების თითქმის ყველა მეთოდს.

ტიპობრივი „ეკონომიკური“ მოდელი ეფუძნება უზარალობის ანალიზს, მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს უზარალობის წერტილის გამოძებნას. ამ მიზნით აუცილებელია სამი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება: პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი, ცვალებადი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე და საერთო მუდმივი ხარჯები. [44]

პროდქციის ერთეულის გასაყიდი ფასი უჩვენებს საწარმოს შემოსავალს საქონლის ყოველი ერთეულის გაყიდვისას. ცვალებადი ხარჯები პროდუქციის ერთეულზეწარმოადგენს ფაქტიურ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ საჭიროა პროდუქციის ყოველი ერთეულის დასამზადებლად. ბუნებრივია, ერთობლივი ცვალებადი ხარჯები იზრდება პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად.

მუდმივი ხარჯები არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების შესაბამისად. გასაყიდი ფასი ცვალებადი ხარჯების გამოკლებით უჩვენებს გაყიდული ერთეული პროდუქციის წვლილს მოგებაში. მაგალითად, თუ ჩანთის გასაყიდი ფასი 20 დოლარია, ცვალებადი ხარჯი კი 14 დოლარი, წვლილი მოგებაში შეადგენს 4 დოლარს. ამის საფუძველზე მენეჯერს შესაძლებლობა ეძლევა განსაზღვროს მუდმივი ხარჯების დასაფარავად საჭირო პროდუქციის ოდენობა. დავუშვათ, მუდმივი ხარჯები 300 000 დოლარია. თუ მუდმივი ხარჯები გაიყოფა 6-ზე მიიღება გასაყიდი პარტიის ის მოცულობა, რომლის პირობებშიც პროექტი იქნება რენტაბელური, ე. ი. ამ

შემნთხვევაში პროექტის რენტაბელობისათვის აუცილებელია 50 000 ცალი ჩანთის რეალიზაცია. [36]

უზარალობის წერტილების განსაზღვრა შედარებით მარტივი ოპერაციაა, რომელიც საწარმოს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი მოცულობის სასარგებლო ინფორმაციით.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს, მართვის პროცესში გამოყენებული გადაწყვეტილებათა მიღების ნებისმიერი მეთოდი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოდელირების სახესხვაობა. მათ მიეკუთვნება საგადასახადო მატრიცა და „გადაწყვეტილებათა ხე“. [39]

საგადასახადო მატრიცა სტატისტიკის ერთ-ერთი მეთოდია, რომლის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური ვარიანტის არჩევის პროცესში. მთლიანობაში საგადასახადო მატრიცა უფრო სასარგებლოა მაშინ, როცა ალტერნატივების რიცხვი შეზღუდულია გონივრულად და ის, რაც შეიძლება მოხდეს არ არის გარკვევით ცნობილი.

საგადასახადო მატრიცის მოსალოდნელი მნიშვნელობის განსაზღვრაზე უშუალო გავლენას ახდენს მენეჯერის მიერ მოვლენათა განვითარების მოსალოდნელი ალბათობის გათვალისწინება. ალბათობის გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილება ყოველთვის გადაიხრება უფრო ოპტიმალური შედეგების მიმართულებით.

მაგალითად, თუ ინვესტორებს შეუძლიათ გამარჯვებულ კინო სურათზე მიიღონ დაბანდებული კაპიტალის 50%, ხოლო კაპიტალის სავაჭრო ქსელში ჩადებით ყველაზე უკეთეს შემთხვევაში 20%, ბუნებრივია, ისინი კაპიტალს დააბანდებენ კინო წარმოებაში. მაგრამ, თუ მხედველობაში მიიღებენ, რომ დიდი არ არის კინოფილმის წარმატების ალბათობა, მიმზიდველადაც კი მოეჩვენებათ 20% შემოსავალი სავაჭრო ქსელიდან. [37]

ალტერნატივის მოსალოდნელი მნიშვნელობა წარმოადგენს შესაბამის ალბათობაზე გამრავლებულ შესაძლო მნიშვნელობას. მაგალითად, თუ მენეჯერი ჩათვლის, რომ სახსრების დაბანდება (როგორც მოქმედების

სტრატეგია) ტკბილეულით მოვაჭრე მაღაზიაში 0,5 ალბათობით უზრუნველყოფს 6 000 დოლარ წლიურ მოგებას, 0,3 ალბათობით - 4 000 დოლარს, ხოლო 0,2 ალბათობით - 3000 დოლარს. მოსალოდნელი მნიშვნელობა შეადგენს 4 800 დოლარს. (6000X0,5+-4000X0,3+3000X0,2).[37]

ყოველი ალტერნატივის მოსალოდენლი მნიშვნელობის განსაზღვრით და შედეგების მატრიცის სახით განლაგებით მენეჯერი დაადგენს მოცემული კრიტერიუმების პირობებში უკეთეს არჩევანს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ალბათობის ზუსტად განსაზღვრის პირობებში „გადაწყვეტილებათა ხე“ [39] და საგადასახადო მატრიცა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით უფრო ხარისხიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

„გადაწყვეტილებათა ხე“ გადაწყვეტილებათა მიღების პრობლემების სქემატური წარმოდგენაა. მისი მეშვეობით საგადასახადო მატრიცის მსგავსად შესაძლებელი ხდება მოქმედების უკეთესი მიმართულების შერჩევა არსებული ვარიანტებიდან.

„გადაწყვეტილებათა ხე“ შესაძლებლობას აძლევს მენეჯერს შეუდაროს ერთმანეთს სხვადასხვა მოქმედების შედეგი მოსალოდნელი ალბათობის გათვალისწინებით.

მოსალოდნელი მნიშვნელობის კონცეფცია განუყოფელი ნაწილია „გადაწყვეტილებათა ხის” მეთოდის. ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენონ სიტუაციებში, რომლებშიც სარგებლობენ საგადასახადო მატრიცით. ამასთან ის შეიძლება აიგოს უფრო რთულ სიტუაციებში, როცა ერთი გადაწყვეტილების შედეგები მოქმედებს შემდგომ გადაწყვეტილებებზე. ამრიგად, „გადაწყვეტილებათა ხე“ სასარგებლო ინსტრუმენტია თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მისაღებად. [39]

დღეისათვის საწარმოთა მართველობით სისტემაში არსებული პრობლემების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამ სისტემის დაპროექტებასა და შექმნისადმი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის არარსებობა, რომელიც მმართველობითი

გადაწყვეტილების ნაჩქარევ, სტიქიურ, ვიწროსპეციალიზირებულ გადაწყვეტილებების ფორმირების მიზეზი ხდება. ასეთ გადაწყვეტილებებს არ აქვთ განვითარებისა და პრაქტიკაში რეალიზების პოტენციალი.

კანონზომიერია, რომ შედეგად ვიღებთ მართვის ისეთ ჰიბრიდულ ფორმას, რომელიც შეიცავს საკითხისადმი ურთიერთ გამომრიცხავ მიდგომას და არა ფუნქციონალურ გადაწყვეტილებებს. რომელთა დანერგვას, არა ადექვატური მმართველობითი სისტემის შესანარჩუნებლად ხელმძღვანელი მიჰყავს საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობის დაცემისკენ, და დამატებითი რესურსების ხარჯვისაკენ. აღნიშნული სიტუაციიდან თავის დასაღწევად, ზოგადად უნდა მივმართოთ მართვის კლასიკურ თეორიას და საკითხისადმი სისტემური მიდგომის საბაზისო პრინციპებს. კონკრეტულად კი – მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირების და ფუნქციონირების მათემატიკურ მოდელირებას.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მათემატიკური მოდელი, და მასთან დაკავშირებული პრობლემები, შემდეგია:

1. მოდელის ინჰერენტულობა – მოდელი უნდა შეესაბამებოდეს იმ გარემოს, სადაც უნდა ფუნქციონირებდეს იგი, და ამ გარემოში მოდელი უნდა იყოს როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და არა როგორც უცხო ელემენტი. აღნიშნული გარემო სხვა არაფერია თუ არა რეალური სამყარო. მოდელის ინჰერენტულობა და პრაგმატულობა გულისხმობს იმასაც, რომ თავად გარემო უნდა უწყობდეს ხელს მოდელის ფუნქციონირებას. ანუ, არა მხოლოდ მოდელი უნდა იყოს გარემოსთან შესაბამისობაში, არამედ – გარემოც უნდა უწყობდეს ხელს სისტემის ფუნქციონირებას.

2. ეს მოთხოვნაა – მოდელი უნდა იყოს მარტივი. რათქმაუნდა მოდელი ვერ შეძლებს რეალობის სრულყოფილად ასახვას, მაგრამ ადვილად უნდა ხდებოდეს მისი აღქმა იმ პირთათვის, რომელთაც უხდებათ მისი რეალიზება. თანაც, დაუსაბუთებელი ფაქტია, რომ რაც მარტივია მოდელი, მით უფრო ახლოს დგას იგი მოდელირებად რეალობასთან.

3. ეს მოთხოვნა ეხება მოდელის ადექვატურობას. რაც გულისხმობს იმას, რომ მოდელს უნდა შეეძლოს გაამართლოს მოდელირების მიზანი და დააკმაყოფილოს ფორმულირებული კრიტერიუმები. მოდელის ადექვატურობის დაკავშირებულია ინჰერენტულობის თვისობრიობასთან. ეს კი ნიშნავს, რომ მოდელირების შედეგები მოდელირებად რეალობასაც უნდა ასახავდეს და ასევე მსგავს მოდელებსაც უნდა შეესაბამებოდეს.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ადექვატურობის პრობლემებში, განვიხილოთ მათემატიკური მოდელების აგების პროცესი რეალურ სისტემაში და გავაანალიზოთ მოდელირების პროცესში მოსალოდნელი შეცდომები:

1. პირველ ეტაპზე ხდება „ენის არჩევა". ერთი და იგივე აპარატი შეიძლება გამოყენებული იქნეს განსხვავებული ტიპის მოდელებში, ალბათობის თეორიის აპარატი გამოიყენება როგორც ოპტიმიზაციის, დინამიურ და თეორიული თამაშების მოდელებში. კვლევის მიზნით არჩეული აპარატი უნდა შეესაბამებოდეს საბაზისოს.

2. მეორე ეტაპია კერძო მოდელების სიმრავლის, მოდელების პარამეტრების შედგენა. შეცდომები შესაძლოა გამოწვეული იყოს მოდელირებადი სისტემის ელემენტებზე არაზუსტი ინფორმაციის ფლობით. ხდება მოდელის სტრუქტურის დადგენა.

3. მესამე ეტაპია - კონკრეტული მოდელის, ანუ, მოდელირებადი ობიექტის ანალოგის შექმნა. გადაწყვეტილება, რომელიც გამომდინარეობს კონკრეტული მოდელიდან, მხოლოდ მაშინ იქნება ოპტიმალური, როდესაც მისი გამოყენების შედეგად მოდელის ქცევა დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. მოდელის ქცევაზე დაკვირვებამ უნდა აჩვენოს, რომ მოდელი ადექვატურია. ასე, რომ, მოდელირებისას დასადგენია:

- რამდენად ცვლის ოპტიმალური გადაწყვეტილების ფონს, მოდელირებისას დაშვებული შეცდომები;
- მოდელირებისას მცირე ცვლილება ასევე მცირედად აისახება თუ არა ოპტიმალურ გადაწყვეტილებაზე;

ოპტიმიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლო მმართველობითი გადაწყვეტილებათა სიმრავლეში არჩეული იქნას მოცემულ პირობებში საუკეთესო გადაწყვეტილება, ანუ ოპტიმალური ალტერნატივა. საუკეთესო ვარიანტის დასადგენად უნდა არსებობდეს კრიტერიუმი ან მისი დადგენის მეთოდი, ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი პირობები, რადგანაც, ერთსა და იმავე კრიტერიუმით შეფასებისას, არსებული პირობების ცვლილებამ შესაძლოა საუკესო ვარიანტად სხვადასხვა ვარიანტი წარმოაჩინოს. ასე, რომ შრომის ეფექტურობის ზრდისადმი სწრაფვა აისახება სწორედ ოპტიმიზაციის იდეაში.

ოპტიმალური რეგულირების კლასიკური თეორიის თანახმად, მმართველობითი მოდელები უნდა ითავსებდნენ შემდეგ მოდელებს:

- დამკვირვებლის მოდელს;
- მართვის ობიექტის მოდელს;
- რეგულატორის მოდელს;
- ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს.

მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების ამოცანებს ასახავს შემდეგი ოთხეული [16]:

1. აღრიცხვა-ანალიზის სისტემის მოდელები, რომლის მიზანია საწარმოს მდგომარეობის შეფასება და ანალიზი.

2. საწარმოს ფუნქციონირების მოდელები საწარმოს მართვის მეთოდების დასადგენად. იგი ეყრდნობა ინფორმაციას, რომელიც ხელმძღვანელს მიეწოდება აღრიცხვა-ანალიზის ჩატარების შედეგად.

3. საორგანიზაციო-განმკარგულებითი სისტემის მოდელები;

4. მართვის მიზნობრივი ფუნქცია, განვითარების პროგრამა.

მოდელირების მიზანია საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასება და იმ კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება. შესაძლებელია,

მოცემული იქნეს ეფექტურობის შეფასების რამოდენიმე კრიტერიუმი და შესაბამისად, მიზნის ფუნქციაც.

მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიაში იგულისხმება რაციონალური გადაწყვეტილების ფორმალური თეორია, რომელიც დაკავშირებულია ალტერნატიული ვარიანტების დამუშავებასთან. აქ მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდების გამოყოფა:

- სპონტანური მეთოდი;
- ინტუიციური მეთოდი;
- მსჯელობის მეთოდი;
- ბინარული მეთოდი;
- მრავალვარიანტული მეთოდი;
- ინოვაციური მეთოდი [17].

სპონტანური მეთოდი ხელმძღვანელის ემოციებს ეყრდნობა, მაგრამ ემოციურად მიღებული გადაწყვეტილებანი ნაჩქარევია და გაუმართლებელი.

მეტად სპეციფიური მეთოდია ინსტიქტური, ინტუიციური მეთოდი, რომელიც ეყრდნობა სუბიექტურ შეგრძნებებს და გარემოს აღქმის ინდივიდუალურობაზე მეტყველებს. ამ მეთოდით მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტურია როდესაც ხელმძღვანელი განსაკუთრებული წინათგრძნობისა და ინტუიციის მქონე ადამიანია.
ხელმძღვანელი ინტუიციურ მეთოდებს მიმართავს:

- ინფორმაციული დეფიციტის დროს;
- როდესაც არ არსებობს სარწმუნო ინფორმაციის წყარო;
- არ არსებობს ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების გზები.

მმართველობით პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესი საკითხია რაციონალური გადაწყვეტილების არჩევანი. იგი ემყარება ცივ გონებას, ლოგიკურ აზროვნებას, ფაქტების ანალიზს. მსჯელობის მეთოდი გულისხმობს ინდივიდუალურ, თვალთახედვასა და ცოდნასა თუ გამოცდილებას. ხელმძღვანელს დროდადრო უხდება ორი

დიამეტრალურად განსხვავებული ალტერნატიული ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევა.

ბინარული მეთოდი მოიცავს რისკის მაღალი შემცველობის ორი ალტერნატიული ვარიანტის ანალიზსს. არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთი ვარიანტის სასარგებლოდ და მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია თავი აარიდოს ამ მეთოდს. ხოლო მრავალვარიანტული მეთოდი ხელმძღვანელს გადაწყვეტილებათა ფართო არჩევანს აძლევს.

ინოვაციური მეთოდებით გადაწყვეტილების ფორმირებისას, ხელ-მძღვანელი აზროვნებს არა ორდინალურად, იგი ძიების პროცესშია და ახალ, ეფექტურ და რაციონალურ გადაწყვეტილებებს პოულობს. ხელმძღ-ვანელი პრაქტიკულად ქმნის სასურველი შედეგების ამსახველ მოდელს, რომელიც შედგება ცალკეული კრიტერიუმებისაგან. სწორედ ამ კრიტერიუ-მებით ახდენს იგი იმ მმართველობითი პროცესების მოდელირებას.

ორგანიზაციათა მმართველობით მოდელებში გამოარჩევენ შემდეგი სახის მოდელებს:

- ავტორიტარული მოდელები (ადმინისტრაციული, ფორმალური);
- ორგანული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, არაფორმალური;
- კომბინირებული მოდელები.

პირველი ტიპის მოდელები ანუ, ხისტი მოდელები ისტორიულად წინ უსწრებენ მოქნილ მოდელებს. ავტორიტარული მოდელები ახლაც აქტუალურნი არიან, რადგანაც მათში იერარქიული პრინციპები აისახება, მაგრამ დროთა განმავლობაში წარმოების მზარდმა ტემპებმა, რთულმა ტექნოლოგიებმა, დაქირავებული მუშახელის მზარდმა კვალიფიკაციამ, მმართველობითი კულტურის სრულყოფამ, თანდათანობით დანერგა პრაქტიკაში მოქნილი მოდელები.

როგორიც არ უნდა იყოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, კოლექტიური თუ ერთპიროვნული, ფორმალიზებული თუ არაფორმალი-ზებული, თვისობრივად შეიძლება შევადაროთ მასალათა ელექტრო გამტარუნარიანობას. მსგავსად ელექტრული დენისა, რომელიც გარკვეული

სიმკვრივის ელექტროგამტარში გაივლის - ხელმძღვანელის აზროვნება, მიზნები, მითითებანი და სურვილები რეალიზდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და წარმატებაც თუ წარუმატებლობაც, მხოლოდ მის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

მმართველობითი გადაწყვეტილების ამსახველი მათემატიკური მოდელების გავრცელებული კლასიფიკაცია ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ [18]:

1. დისკრიპტიული და ნორმატიული მოდელები-დისკრიპტიული მოდელები გამოიყენება ხელმძღვანელის მიერ სამომავლო გეგმების შემუშავების პროცესში და ემსახურება პროგნოზირების ამოცანებს. ნორმატიული მოდელები კი - კონკრეტული პროცესების მართვისას, მათი სრულყოფის მიზნით.

2. ინდუქტიური და დედუქტიური მოდელები – ინდუქტიური მოდელირებისას ხდება დაკვირვების შედეგების განზოგადოება და საფუძვლად მიიჩნევა ხელმძღვანელისათვის გადაწყვეტილების ფორმირებისას განსაკუთრებულად პრიორიტეტული ფაქტორები. ინდუქტიური მოდელირების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი აღსაწერი სიტუაციის გამარტივება და რამდენად ზუსტად ხდება სიტუაციის მახასიათებლების ასახვა მოდელში. რაც შეეხება დედუქტიურ მოდელებს, ისინი ეყრდნობიან კონკრეტულ ფაქტებს და ამ ტიპის მოდელები კონკრეტული, რეალური სიტუაციის ანალიზს იძლევიან.

3. პრობლემაზე ორიენტირებული მოდელები ეყრდნობიან მოდელირების ახალ მეთოდებს, ძირითადი ამოცანაა მათი ადაპტირება კონკრეტული პროცესის მართვისას.

4. მრავალმიზნობრივი და ცალსახა მოდელები აღწერენ მკაფიოდ მიზანმიმართულ ორგანიზაციულ ალტერნატიულ პროცესებს.

5. ერთპერიოდული და მრავალპერიოდული მოდელები.

6. დეტერმინირებული და სტოქასტიკური მოდელები.

დეტერმინირებულ მოდელებში მმართველობით გადაწყვეტილებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი ცალსახად განსაზღვრულია, და ასევე ცნობილია

მათი მნიშვნელობა, გადაწყვეტილების მიღების მომენტშიც. ხოლო, სტოქასტიკურ მოდელები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სიტუაციის პროგნოზირება [19].

მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისას გამოყენებული მოდელები გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის წინაპირობაა. თუ კი ხელმძღვანელის მიერ პროფესიონალურ დონეზე იქნება შესაბამისი მოდელი გამოყენებული, მაშინ იგი შეძლებს საკუთარი ინტუიციური შეხედულებების კონტროლსა ამავდროულად, ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციას.

გავრცელებული მმართველობითი მოდელებია:

- თამაშთა თეორია;
- მარაგების მართვის მოდელები;
- წრფივი პროგრამირების მოდელები;
- სატრანსპორტო ამოცანები;
- იმიტაციური მოდელები;
- ქსელური ანალიზი;
- ეკონომიკური ანალიზი.[17]

თამაშთა თეორია ბიზნესში გამოიყენება კონკურენტების შესაძლო რეაქციის შესწავლისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თამაშთა თეორიული მოდელები ყველაზე ნაკლებად გამოიყენება, რადგანაც სიტუაცია რეალურ სამყაროში მეტად რთულია და ცვალებადი. თუმცა, თამაშთა თეორია მეტად მნიშვნელოვანია და არ შეიძლება მისი იგნორირება, როდესაც გვიხდება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება კონკურენტულ გარემოში. კონკურენტების შესაძლო ქცევების პროგნოზირება-აღნიშნული თეორიის გამოყენებით, ზრდის ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას.

წრფივი პროგრამირების მოდელები ემსახურება დეფიციტური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. აღნიშნული მოდელები დიდი წარმატებით გამოიყენება წარმოებებში, რადგანაც მისი მეშვეობით

შესაძლებელია, მოგების მაქსიმიზირება. ამ ტიპის მოდელების აგებისას როგორც წესი, სიმპლექს მეთოდს იყენებენ, რადგანაც ეკონომიკური და მმართველობითი ამოცანები კარგად აღიწერება წრფივი მოდელებით. წრფივი მოდელების მისაღებად ვითვალისწინებთ შემდეგ დაშვებებს: პროპორციულობას, ადიტიურობასა და არაუარყოფითობას. წრფივი პროგრამირების მოდელები, როგორც წესი, დეტერმინირებულნი არიან, თუმცა კი არსებობენ ალბათობის მატარებელი ამოცანებიც, რომლის მაგალითსაც სატრანსპორტო ამოცანები წარმოადგენენ. რადგანაც ამ შემთხვევაში, დანიშნულების ადგილი როგორც წესი, წინასწარ არ არის განსაზღვრული. [36]

მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისა და ფუნქციონი რების ამოცანების ტექნოლოგია სქემატურად ასე გამოისახება:

1. პირველი ეტაპი – მოდელის შედგენა გულისხმობს მოდელირებადი სისტემის აღწერას ფორმალური ტერმინოლოგიით;

2. მეორე ეტაპი - ანალიზი, რაც გულისხმობს სისტემის შესწავლას სხვადასხვა მმართველობითი ზეგავლენისას;

3. მესამე ეტაპი – ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგანაც იგი ოპტიმალური მმართველობით გადაწყვეტილების და მაქსიმალური ეფექტურობის ძიების პროცესს მოიცავს;

4. მეოთხე ეტაპი - როდესაც ხელმძღვანელის წინაშე არსებული ამოცანის გადაწყვეტის რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტი არსებობს, იგი იწყებს მათ დამუშავებას და ორ ამოცანას აწყდება: პირველი - ეს არის იმ დამოკიდებულების შესწავლა, რომელიც აკავშირებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მოდელის პარამეტრებთან. ხოლო მეორე საკითხი მათემატიკური მოდელებისათვის სპეციფიურია და გულისხმობს მოდელის ადექვატურობის თეორიულ კვლევას.

ამით ამოიწურება მოდელის შესწავლის თეორიული მხარე.

თეორიული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭიროა მოდელის იდენტიფიცირება და ამ მიზნით იმიტაციური

ექსპერიმენტების ჩატარება. ეს მეხუთე და მეექვსე ეტაპებია. იმიტაციური მოდელირება დამატებით ინფორმაციას გვაწვდის მოდელის ადექვატურობის შესახებ.

თამაშთა თეორიული მოდელები და იმიტაციური მოდელები იძლევა მმართველობითი გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვის წინასწარი აპრობაციის საშუალებას. დასკვნით, მეშვიდე ეტაპზე კი ხდება კვლევის შედეგების დანერგვა, მათი ეფექტურობის შეფასება, პრაქტიკული გამოყენება, შემდგომი კორექცია, პერსონალის სწავლება და ა. შ.

წარმატებული საქმიანობის მაჩვენებელი პირდაპირპროპორციულია ხელმძღვანელისა და მისი კადრების შეთანხმებული მუშაობისა. წარმოების პროპორციული და დინამიური განვითარება, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, ხარისხისა და მუშაობის ეფექტურობის ზრდა. ეფექტურობის ზრდის საკითხის გადაწყვეტა ორი მიმართულებით ხდება. პირველ რიგში უნდა მოხდეს თავად სატრანსპორტო ორგანიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლება და მეორე – პროგრამირებისა და დაგეგმვის გაუმჯობესების გზით, მართვის პროცესების სრულყოფა.

ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებისას მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- მატრიცული მოდელები;
- პროგნოზირების მეთოდები.

მატრიცული მეთოდი გადაწყვეტილების სტატისტიკური ფორმირების ერთ-ერთი მეთოდთაგანია. რადგანაც, ხელმძღვანელისთვის მეტად აქტუალური პრობლემაა, გადაწყვეტილების რამოდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტრატეგიის პოვნა და გატარება, რომელიც დასახული მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა. მატრიცა ნიშნავს, რომ შედეგები დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე, და გარემო ფაქტორებზე. თუ კი ისინი იცვლება, მაშინ შეიცვლება შედეგებიც.

მატრიცული მეთოდი შედეგიანია, როდესაც:

1. არსებობს სტრატეგიული ალტერნატივის გარკვეული რაოდენობა. (გონივრულ ფარგლებში).

2. მიღებული შედეგები პირდაპირ დამოკიდებულებაშია ხელმძღვანელის მიერ არჩეულ სტრატეგიასთან.

საწარმოო-ფინანსური მართვის ამოცანების გადაჭრა მოითხოვს უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავებას, და შრომატევად სამუშაოს, საბალანსო მაჩვენებლებისა და გეგმიური პარამეტრების ურთიერთ შეხამებას. პრობლემები ვლინდება სამეცნიერ-ტექნიკურ, საფინანსო-ეკონომიკურ, ასევე, კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ამ პრობლემებს განეკუთვნება:

1. მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციის დახვეწილი გეგმის არარსებობა;

2. კონტროლის სრულყოფილი სისტემის არარსებობა;

3. ინფორმაციული დეფიციტი;

4. რესურსებსა და კაპიტალურ მშენებლობას შორის არსებული დისბალანსი;

5. სისტემური ანალიტიკური გუნდების არასაკმარისი მუშაობა;

6. საწარმოს პერსონალის არადისციპლინირებულობა;

7. ხარისხის კონტროლის სამსახურების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა.

მათ დასაძლევად საჭიროა როგორც შრომითი, ასევე მატერიალური, ფინანსური რესურსები, რეალური ვადები, კაპიტალ დაბანდებათა ეფექტური განხორციელება, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, შრომის დაცვა.

საწარმოს ფინანსური დაგეგმვის მატრიცული მოდელი, საწარმოთა ფინანსური დაგეგმვის შედარებით მარტივ და რაციონალურ ფორმას მიეკუთვნება. მოდელი ოთხი კვადრანტისაგან შედგება.

პირველ კვადრანტში აისახება საამქროთაშორისი საწარმოო კავშირები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მესამე კვადრანტი. აქ

აისახება საწარმოს შრომითი რესურსები და ძირითადი ფონდები, გეგმიური მოთხოვნა ნახევარფაბრიკატებსა თუ ნედლეულზე, ენერგიაზე და სათბობზე, მასალებზე. აქ მკაფიოდ იმიჯნება ერთმანეთისაგან რესურსები და ხდება მათი დაჯგუფება სამი სახის რესურსებად:

- შრომის საგნებად;
- შრომის საშუალებებად;
- შრომით რესურსებად. [36]

მეორე კვადრანტში აისახება საწარმოს საქმიანობის ძირითადი შედეგობრივი მახასიათებლები. ნორმატიული მოდელირებისა და გეგმიური დავალების საფუძვლზე დგება წარმოების საბალანსო გეგმა და შესაძლებელია პროდუქციის განაწილებისა და მატერიალური უზრუნველყოფის დაგეგმვა.

მოდელირების არსი მდგომარეობს სიმბოლოებისა თუ ფორმუ-ლების, მატრიცების გრაფიკული სისტემების აგებაში, იგი უზრუნ-ველყოფს ობიექტის შესწავლასა და იმ თვისებების გამოვლენას, რომელთა გამოვლენა შეუძლებელია სხვა მეთოდის გამოყენებით.

ამისათვის მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

1. მოდელმა ადექვატურად უნდა აღწეროს საკვლევი ობიექტის თვისებები.

2. ამოცანის ამოხსნისთვის უნდა არსებობდეს მისი შესაბამისი რომელიმე ცნობილი მეთოდი. რაც მეტადაა დატვირთული მოდელი სისტემის თავისებურებებით, მით მეტად რთულდება მისი რეალიზება და პრაქტიკაში გამოყენებადობა.

სტრატეგიის მცნების ქვეშ იგულისხმება ქცევის სტილი ან გეგმის თავისებურებანი, რომელიც მმართველს აქვს დასახული მიზნის მისაღწევად და მისაღებია პრაქტიკულ საქმიანობაში ამოცანის განსახორციელებლად. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის დამუშავებისას ხელმძღვანელი შეზღუდულია გარკვეული რესურსებით, რომლებიც მის განკარგულებაში იმყოფებიან და ამიტომ, ხელმძღვანელი იძულებულია

ყველა შესაძლო სტრატეგიიდან განიხილოს მხოლოდ რამოდენიმე სტრატეგია. არ არის გამორიცხული, რომ ყველაზე ოპტიმალური და საუკეთესო სტრატეგია ვერ მოხვდება ზემოთნახსენებ სიაში.

გადაწყვეტილების ფორმირების მოდელში ფიგურირებს გარემოს ობიექტური მდგომარეობის მახასიათებელიც. რადგანაც, არამდგრადი ფაქტორები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენებით მიღებულ შედეგებზე.

ეფექტურობის კრიტერიუმი და სარგებლიანობის ფუნქცია ითვალისწინებს ყველა მოთხოვნას, მათ შორის - ხარისხსაც. ამიტომ, თუ კი შესაძლებელია მისი აგება, ეს ნიშნავს, რომ გადაჭრილია გადაწყვეტილების ფორმირების შეფასების კრიტერიუმის მიგნების პრობლემა. თუმცა, კონკრეტული სიტუაციის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ცვალებადია სარგებლიანობის ფუნქციის მნიშვნელობა, რადგან, წარმოების პროცესში წარმოქმნება პრობლემები, დროებით შექმნილი დეფიციტი ნედლეულზე თუ მასალებზე, ხელმძღვანელს აიძულებს ტექნოლოგიური პროცესის განსახორციელებლად არჩევანი შეაჩეროს დანახარჯების თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტურ ვარიანტზე.

სიტუაციის ამგვარი ცვალებადობა თავის კვალს ტოვებს სარგებლიანობის ფუნქციის მნიშვნელობაზე. როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მის რეალიზებამდე გარკვეული დროის მომენტია საჭირო. ამის გამო, რთულდება წარმოების პროცესის ობიექტური სურათის განსაზღვრა.

გადაწყვეტილების ფორმირების თეორია გვთავაზობს სტრატეგიას, რომელიც ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, ექსტრემალურად პასუხობს ყველა შესაძლო სიტუაციას და მოცემულ პირობებში გვაძლევს მის ადექვატურ შეფასებას. სწორედ ეს ალბათობა ქმნის ეკონომიკური მოდელის სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ცნობილია „პროგნოზირების" სახელწოდებით. [13] გადაწყვეტილების ფორმირების პროცესისთვის დამახასიათებელია გაურკვევლი და ცვალებადი გარემო

პირობების საკმაოდ მაღალი ხარისხი. ამის გამო, ეკონომიკურ მოდელებს არ შეუძლიათ საწარმოო პროცესების აღწერა მაღალი სიზუსტით, განსაკუთრებით გრძელვადიანი პერიოდისთვის.

მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისას, ხელმძღვანელი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მის მიერ რეალიზებული გადაწყვეტილება სასურველ შედეგებს მოიტანს მომავალში. იგი წინასწარ ახდენს შედეგების პროგნოზირებას. თუმცა, პროგნოზირება არ იძლევა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების პოვნის გარანტიას, მაგრამ მას ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. პროგნოზირება უნდა მოიცავდეს რაოდენობრივ მხარეს, დროით ფაქტორს, და ალბათობის ხარისხს.

ერთ-ერთი ელემენტის გარეშე პროგნოზირების პროცესი კარგავს თავის აქტუალურობას. საჭიროა: ტექნოლოგიის სფეროში არსებული ტენდენციების წინასწარი განსაზღვრა; წინასწარ უნდა მოხდეს მათი ორგანიზაციაზე ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა.

შემდეგი ეტაპია ურთიერთქმედებათა გამარტივებული მატრიცის შედგენა [21]. აგრეთვე, უნდა გავაანალიზოთ ის პრობლემები, რომელთაც შეუძლიათ პროგნოზირების პროცესში გარკვეული ცდომილებების გამოწვევა:

- სამუშაო ძალის გამოყენების მოცულობის შემცირება;
- სამუშაო ძალის ღირებულება;
- კაპიტალური დაბანდებები;
- რობოტო-ტექნოლოგიის გამოყენება;

ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება საჭირო იყო პროგნოზის შედგენისას შემდეგია;

- ინფორმაციის დეფიციტი;
- მცდარი მსჯელობა;
- მცდარი ლოგიკა;
- სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენით მიღებული მცდარი დასკვნები. [13]

სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები:

2.5. სამრეწველო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, შემცირდა, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მეწარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუამავლო სექტორში.

აუცილებელია, პირველ რიგში, გავაანალიზოთ საქართველოში ღრმა ინვესტიციური კრიზისის მიზეზები და გამოვლინების ფორმები და ამის საფუძველზე დავსახოთ ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებები.

აღნიშნული მიზეზებიდან, ჩვენი აზრით, მთავარია შემდეგი:

1. კაპიტალური დაბანდებების და დაგროვების მკვეთრი შემცირება

საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიან შიდა პრო-დუქტში ინვესტიციების ხვედრითი წონა 90-იანი წლების მეორე ნახევრი-დან (1995წ.–23,1%; 1997წ.-14,0%; 1999წ.-12,6%; 2003წ.-11,0%) და მსოფლიო მაჩვენებელზე – 24,7%-ზე ნაკლები აღმოჩნდა. [24]

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ნეგატიურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა განსაკუთრებით მძიმე გავლე ნა მოახდინა ინვესტიციების მთლიან მოცულობასა და ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე, როგორიც მშენებლობაა.

ინვესტიციების მოცულობამ მხოლოდ 2003 წლიდან დაიწყო მნიშვნე ლოვანი ზრდა. კერძოდ, 2007 წ. მშენებლობაში განხორციელებული ინვეს

ტიციების რაოდენობა (252,7 მლნ. ლარი) 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (56,6 მლნ. ლარი) 4,5-ჯერ გაიზარდა.[24]

. ბოლო წლებში შედარებით სწრაფად იზრდება ინვესტიციები მომსა ხურების სფეროშიც. მომსახურების სფეროში კაპიტალდაბანდებათა ხვედ რთი წონის გადიდება შეიძლება ავხსნათ თანამედროვე საინვესტიციო პროცესის იმ ერთ-ერთ დამახასიათებელ ტენდენციასთან დამთხვევით, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ მოვლენას თან ახლავს საინვესტიციო საქმიანობის მკვეთრად შემცირება მატერიალურ-ნივთობრივ წარმოების სფეროში, რაც მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის ფიზიკურად და მორალურად მოძველებას იწვევს.

მაგალითად, მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ცვეთამ უკვე გადააჭარბა 50%-ს, ბევრ დარგში კი საწარმოო სიმძლავრეები ისეთ მდგომარეობაშია, რომელსაც შესაძლოა მწყობრიდან მათი მასობრივად გამოსვლა მოჰყვეს. ინვესტიციების მოცულობა მარტივი კვლავწარმოების მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. [18]

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის.

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ

საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 7,531.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2,015.0 მლნ. აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად, განპირობებული იყო რუსეთ - საქართველოს ომის და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით. [24]

2010 წლიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოში, 23.7%-ით მეტი ინვესტიცია იქნა განხორციელებული. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოცულობისა და ინვესტიციების მთლიან ოდენობაში მისი ხვედრითი წონის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ნახაზი 1.

როგორც ამ ნახაზების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში მთლიანად განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა 2007 წელს 2,1-ჯერ გაიზარდა 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამავდროულად, 2007 წ. საგრძნობლად გაიზარდა ინვესტიციების მთლიან მოცულობაში უცხოური ინვესტიციების წილი 2003 წელთან შედარებით (მისი რაოდენობა 2,1-ჯერ გაიზარდა) და 41,9% შეადგინა, 39,8%-ის ნაცვლად.

უცხოური ინვესტიციების წილის ასეთი ზრდა თავისთავად დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან უცხოური კაპიტალის შემოდინებას შესაბამისად თან მოსდევს ახალი ტექნოლოგიების, ტექნიკის და მსოფლიო გამოცდილების შემოდინება და ამასთან ერთად, ხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ პრიორიტეტად მიგვაჩნია ადგილობრივი (სამამულო) ინვესტორების წახალისება. ვინაიადან, რაოდენ დიდი ეფექტის მომტანიც არ უნდა იყოს უცხოელი ინვესტორის საქმიანობა, მისთვის, მკაცრად რომ ვთქვათ, სულ ერთია მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ეროვნული ინტერესები.



ნახაზი 1.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

რაც შეეხება ინვესტიციებს სექტორების მიხედვით, აქ შემდეგი სურათია:

- 2007-2010 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი22.8%-ით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა (1.2 მლრდ. აშშ დოლარი);
- 2010 წელს 2007 წელთან შედარებით უძრავი ქონების სფეროში განხორციელებული ინვესტიციების რეკორდული ზრდის მაჩვენებელი - 290% დაფიქსირდა.



ნახაზი 2.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

2013 წლის 1 კვარტალში უმსხვილესი ინვესტორი სახელმწიფოების წილი (მოცულობა, წილი მთლიან ინვესტიციებში(%) შეადგენდა:



ნახაზი 3.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის დაქვეითებამ მოზიდული უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაზეც იმოქმედა. არადამაკმაყოფილებელია

საზღვარგარეთელი ინვესტორების დაინტერესება განათლების სფეროთი, ჯანმრთელობის დაცვით და სოფლის მეურნეობით. ეს საქართველოს ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ სოფლის მეურნეობაში 2007 წელს 76,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1,6 ჯერ გაიზარდა (120,0 მლნ. ლარი), ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა კავშირგაბმულობასა და ტრანსპორ ტის სფეროშიც (2007 წ. –1163,1 მლნ. ლარი, 2003 წ. – 752,7 მლნ. ლარი), 2007 წელს ეს მაჩვენებელი 2003 წლის მონაცემთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება განათლების სფეროში განხორციელებულ უცხოურ ინვსტიციებს, 2007 წელს 86,0 მლნ. ლარი შეადგინა რაც, 16 ჯერ მეტია 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. [24]

2013 წლის 1 კვარტალში კი უმსხვილესი ინვესტორი სახელმწიფო-ების წილი (მოცულობა, წილი მთლიან ინვესტიციებში (%)) ეკონომიკის სექტორების მიხედვით შეადგენდა: (ცხრილი 4.)

- საფინანსო სექტორში - 29%;
- ენერგეტიკაში - 18%;
- სამთომომპოვებელ მრეწველობაში - 6%;
- ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში- 5%;
- დამამუშავებელ მრეწველობაში - 5%;
- დანარჩენ სექტორებში - 37%. (ცხრილი 3.)



ნახაზი 4.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

მშენებლობის დარგის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 1

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	I 2012	II 2012	III 2012	IV 2012	I 2013
ბრუნვა, მლნ.ლარი	387.4	778.8	1125.3	1604.6	1412.0	1736.3	1694.5	3348.0	546.7	817.7	1232.3	1194.6	412.3
გამოშვებული პროდუქცია, მლნ.ლარი	383.7	768.9	1186.0	1718.2	1434.7	1752.6	1728.5	3371.5	548.3	826.2	1232.9	1191.0	445.6
დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი	127.1	246.0	401.4	630.6	482.3	605.2	618.1	1178.5	...	...	...	...	...
შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი	256.5	523.0	784.5	1087.6	952.4	1147.5	1110.4	2192.9	...	...	...	...	...
ფიქსირებული აქტივები, მლნ.ლარი	127.2	258.7	474.9	635.1	652.2	723.8	799.1	518.0	...	...	...	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	21344	38560	46681	52572	38109	43452	40303	65220	46982	53426	66229	67135	40863
დასაქმებულთასაშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	237.9	292.3	391.0	495.1	600.9	629.0	674.6	741.3	826.1	1025.0	1134.5	1104.2	851.6

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 5

მშენებლობის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 2

წელი	კვარტალი	სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		მლნ. ლარი			
		1	2	3	4
1999	...	182.6	…	…	36.8
2000	...	182.2	…	…	36.7
2001	...	243.4	…	…	50.8
2002	...	317.5	211.5	74.7	31.3
2003	...	309.0	195.6	79.8	33.6
2004	...	387.4	254.3	95.9	37.2
2005	...	778.8	539.4	176.6	62.8
2006	...	1125.3	839.0	176.1	110.2
2007	...	1604.6	1247.4	316.9	40.3
2008	...	1412.0	1205.7	160.9	45.4
2009	...	1736.3	1439.7	210.5	86.1
2010	…	1694.5	1324.7	278.7	91.1
2011	…	3348.0	2772.0	389.5	186.5
2012	I	546.7	472.8	36.0	37.9
	II	817.7	718.9	51.1	47.7
	III	1232.3	1009.4	138.1	84.8
	IV	1194.6	945.9	179.3	69.4
2013	I	412.3	330.9	46.8	34.6

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 6.

მშენებლობაში პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 3

წელი	კვარტალი	სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		მლნ. ლარი			
		1	2	3	4
1999	...	180.8			34.4
2000	...	177.7			34.7
2001	...	239.0			48.9
2002	...	327.6	223.0	73.1	31.5
2003	...	302.3	192.3	77.0	33.0
2004	...	383.7	251.5	95.2	37.0
2005	...	768.9	529.9	175.9	63.1
2006	...	1186.0	900.4	175.7	109.9
2007	...	1718.2	1360.6	316.4	41.2
2008	...	1434.7	1229.5	160.6	44.6
2009	...	1752.6	1409.8	217.3	125.5
2010		1728.5	1345.8	277.9	104.8
2011		3371.5	2767.5	409.2	194.8
2012	I	548.3	466.7	37.4	44.2
	II	826.2	720.0	51.4	54.8

	III	1232.9	1005.5	143.5	83.9
	IV	1191.0	941.5	180.1	69.4
2013	I	445.6	363.9	47.1	34.6
შენიშვნა: 2002 წლამდე საწარმოთა ზომის განსაზღვრისას გამოიყენებოდა განსხვავებული მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებდა საწარმოთა კლასიფიკაციას მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებად.					

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 7.

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 8.

მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 4

წელი	კვარტალი	სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		ლარი			
		1	2	3	4
2006	...	391.0	488.8	289.5	230.7
2007	...	495.1	706.1	290.7	209.8
2008	...	600.9	752.1	372.0	285.8
2009	...	629.0	800.5	425.3	413.8
2010	…	674.6	904.4	451.8	385.8
2011	…	741.3	933.1	537.0	368.4
2012	I	826.1	1019.8	581.5	521.3
	II	1025.0	1189.1	696.0	784.7
	III	1134.5	1367.2	900.4	647.4
	IV	1104.2	1301.3	915.9	687.0
2013	I	851.6	858.5	1145.7	575.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 9.

დამატებითი ღირებულების მოცულობა
მშენებლობაში საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 5

წელი	სულ	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
	მლნ. ლარი			
	1	2	3	4
2006	401.4	286.8	69.7	44.9
2007	630.6	487.5	126.8	16.3
2008	482.3	397.1	66.9	18.3
2009	605.2	474.9	89.9	40.4
2010	618.1	435.6	141.4	41.1
2011	1178.5	904.1	187.0	87.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 10.

შუალედური მოხმარების მოცულობა მშენებლობაში
საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 6

წელი	სულ	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
	მლნ. ლარი			
	1	2	3	4
2006	784.5	613.5	106.0	65.0
2007	1087.6	873.1	189.6	24.9
2008	952.4	832.4	93.7	26.3
2009	1147.5	935.0	127.3	85.2
2010	1110.4	910.2	136.5	63.7
2011	2192.9	1863.3	222.2	107.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

ნახაზი 11.

მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 7

წელი	კვარტალი	სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		კაცი			
		1	2	3	4
2006	...	45506	25666	11420	8420
2007	...	52082	26387	21773	3922
2008	...	37538	23430	10468	3640
2009	...	42809	23453	12604	6752
2010	…	39809	20440	13582	5787
2011	…	64026	37225	16914	9887
2012	I	44701	26396	7772	10533
	II	52445	33383	10125	8937
	III	65264	39634	12885	12745
	IV	66462	38427	18018	10017
2013	I	39034	26570	5721	6743

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

ნახაზი 12.

მშენებლობაში შრომითი დანახარჯების მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 8

წელი	კვარტალი	სულ	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		მლნ. ლარი			
		1	2	3	4
2006	...	256.4	180.8	47.6	28.0
2007	...	372.0	268.8	91.3	11.9
2008	...	272.3	212.9	46.9	12.5
2009	...	324.2	226.2	64.5	33.5
2010	…	322.6	221.9	73.9	26.8
2011	…	571.2	418.4	109.1	43.7
2012	I	111.9	81.8	13.6	16.5
	II	161.7	119.6	21.1	21.0
	III	222.8	163.1	34.8	24.9
	IV	220.7	150.5	49.5	20.7
2013	I	100.2	68.8	19.7	11.7

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი



ნახაზი 13.

მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით

ცხრილი 9

წელი	სულ	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
	მთლიანი ლარი			
	1	2	3	4
2006	276.6	194.8	11.4	70.4
2007	240.4	223.0	13.1	4.3
2008	142.2	126.3	11.2	4.7
2009	110.6	92.2	9.0	9.4
2010	151.3	89.0	6.7	55.6
2011	114.4	95.4	11.6	7.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

კრიზისული მდგომარეობის გავლენით საგრძნობლად გაუარესდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესთან და არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონესთან დაგროვების კავშირის მაჩვენებლები.

მთელ რიგ დარგებში ეკონომიკა არათუ ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებას, არამედ საწარმოო სიმძლავრეების შემცირების წანამძღვარებსაც კი ქმნიდა ინვესტიციების უკმარისობის გამო. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს რეალური ეკონომიკის განვითარებაზე. ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ და

მორალურ ცვეთას, ეცემა წარმოების ტექნიკური დონე, რაც ართულებს მის სტრუქტურულ გარდაქმნას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებას.

2.რეფორმების არასაკმარისი (არაეფექტური) შედეგები ინვესტიციურ სფეროში. საქართველოს საინვესტიციო სფეროში 1990-2003 წლებში აღინიშნებოდა მთლიან შიდა პროდუქტში დაგროვების ხვედრითი წონის შემცირება, ხოლო 2004-2007 წლებში ადგილი აქვს დაგროვების დონის გადიდებას. 2004 წ. ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3134,8 მლნ. ლარი, ხოლო 2007წ. მისი რაოდენობა გაიზარდა და 5882,6 მლნ. ლარი შეადგინა. [24]

მიუხედავად ყველაფრისა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ინვესტიციური საქმიანობა მკვეთრად გააუარესა. ამის მთავარი მიზეზია რეფორმის სტრატეგიის არასრულყოფილება. მასში გათვალისწინებული არ იყო საბაზრო გარდაქმნების რეალური შედეგები ინვესტიციურ კომპლექსში და კონკრეტული ტრანსფორმაციული ღონისძიებების არაადეკვატურობა ეკონომიკური ზრდის მოთხოვნების მიმართ.

3.საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოთა ფინანსების გაუარესება. ეროვნულ მეურნეობრიობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოების ფინანსებს. საოჯახო მეურნეობები დამოუკიდებლად განკარგავენ ფულად შემოსავალს, მათ გამოყენებასა და დაზოგვას, ღებულობენ გადაწყვეტილებებს, მათი საბანკო ანგარიშებზე შენახვის ან ბიზნესში დაბანდების შესახებ. ამიტომ, ეს შემოსავლები ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ასევე მნიშვნელოვანი წყაროა საწარმოების ფინანსები, კერძოდ, მათი მოგება. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და დანა-ზოგების დონე რეფორმის პერიოდში მკვეთრად შემცირდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციური სქმიანობის გააქტიურება-ზე. იგივე უნდა ითქვას საწარმოების შემოსავლებისა და მოგების შესახებ.

საწარმოების დიდი უმრავლესობის ფინანსური მდგომარეობა ეკონომიკის რეფორმირების პირობებში საგრძნობლად გაუარესდა. ეს

გამოვლინდა რეალური მოგების შემცირებით, ზარალიანი საწარმოების გადიდებით, მათი დავალიანებისა და არგადახდების ზრდით.

რეფორმების პერიოდისათვის დამახასიათებელია ამორტიზაციის გამოყენების დეფორმაციაც. მისი როლი ინვესტიციების დაფინანსებაში ძალიან შეიკვეცა არა მარტო იმიტომ, რომ საერთო შემოსავლების დაცემის გამო შემცირდა ამორტიზაცია, არამედ იმიტომაც, რომ ფინანსური რესურსების ქრონიკული უკმარისობისას მათი გამოყენება ხდება არა დანიშ ნულებისამებრ, სხვა გადაუდებელი გადახდების განხორციელებისთვის.

4. ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და წარმოების საერთო დაცემის ფონზე სუსტია ქვეყნის საინვესტიციო აქტიურობა, ამასთან, ამ სფეროში შექმნილი სურათი არაერთგვაროვანია. რეფორმების პირველ ეტაპზე ინვესტიციური კომპლექსი ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია ინვესტიციების მოცულობის მკვეთრად კლებამ და მათი შეუფერხებელი დაფინანსების წყაროს უქონლობამ.

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 2000 წელს 1990 წლის დონის 13,7% შეადგინა, სიტუაცია შეიცვალა მომდევნო წლებში. იგი 2003 წელს 2000 წლის დონის 270,7% -ს შეადგენს. რაც შეეხება 2007 წელს, საბიუჯეტო ინვესტიციები მკვეთრად გაიზარდა და 2003 წლის მონაცემის 121% შეადგინა.[24]

მთლიანობაში ინვესტიციების შემცირება ყველაზე საგრძნობლად გამოვლინდა საწარმოო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაში. ასეთი შემცირება გათვალისწინებულია თვითონ რეფორმების საერთო კონცეფციით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში ასეთი პოლიტიკა ძალზე წამგებიანია და იგი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა სტაბილიზაციას შედარებით ხანმოკლე პერიოდში აღწევს.

საქართველოს შემთხვევაში, მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან გახანგრძლივდა და ასეთ პირობებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შეკვეცა ეკონომიკის

პარალიზების ფაქტორად გვევლინება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მაღალი ტემპით;
- ანტიინფლაციური პოლიტიკით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების აუცილებლობით;
- სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შეკვეცით.

ეს იმას ნიშნავს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ამოცანას ინვესტიციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია, ანუ ფაქტობრივად ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა ეწირება, რაც მიუღებელია. [5]

5. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე. მიჩნეული იყო, რომ საწარმოების, განსაკუთრებით, მსხვილი საწარმოების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ინვესტიციების სახით გამოყენება, დააჩქარებდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, თვითონ პრივატიზებული საწარმოები შეძლებდნენ უფრო ეფექტიან, მომგებიან ფუნქციონირებასა და ინვესტიციების დაფინანსებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვას, მაგრამ სინამდვილეში ეს იმედები არ გამართლდა. პრივატიზებული საწარმოები, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოები, განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას და ამცირებენ ინვესტიციურ ხარჯებს. უფრო მეტიც, პრივატიზებული საწარმოების ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა ჩრდილოვან ეკონომიკაში ან საერთოდ, ქვეყნიდან არალეგალურად გაიტანეს. ამასთან, მთლად არ გამართლდა უცხოური ინვესტიციების მასშტაბურად შემოსვლის იმედებიც, უპირატესად, ქვეყნის ინსტიტუციური მოუწყობლობის გამო. ამიტომაც ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს.

მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა 2004 წელს. მოხდა ისეთი დიდი ობიექტების პრივატიზაცია, როგორიცაა:

- ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელიც ეკატერინბურგის კომპანია „დეკაკომპიუტერმა“ 4 150 000 აშშ დოლარად შეიძინა;
- „ჭიათურმანგანუმი“,
- „ვარციხეჰესი“;
- ფაქტობრივად გაყიდულია საოკეანო სანაოსნო.[28]

უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს გაუმჭვირვალედ, რაც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობას (როგორც საზოგადოებისათვის ისე ინვესტორებისათვის) და ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას, რის გამოც არაერთი გარიგება ჩაიშალა.

ამგვარად, გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის აუცილებელია ინვესტიცური კრიზისის გამომწვევი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა.

უცხოური, განსაკუთრებით, პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად უამრავ წამახალისებელ მოტივს იყენებენ. მათ შორისაა საგადასახადო შეღავათები და არდადეგები, შეღავათიანი საიმპორტო ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები, შედარებითი ავტონომია მენეჯმენტისათვის.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, თვით ფინანსური სახსრები. ამის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ ის ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში უცხოური კაპიტალის ინვესტირების სტრატეგიის შემუშავების დროს. ესაა:

- ყველა ქვეყანა იცავს ეროვნული რეჟიმის პირობებს;
- ყველა ქვეყანა ითხოვს უცხოური კაპიტალის რეგისტრაციას;
- ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგები, სადაც ითხოვენ სპეციალურ ნებართვას ინვესტირებისათვის;
- ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგები, რომლებიც ჩაკეტილია უცხოური კაპიტალისათვის. [27]

ამასთან, დღევანდელ საქართველოში უცხოური ინვესტირების მიმართ სათანადო პოლიტიკის გატარების დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ უმრავლეს ქვეყნებში შეიმჩნევა უცხოური ინვესტირების რეჟიმის თანდათანობით ლიბერალიზაცია, რაც ნიშნავს, რომ:

- მცირდება იმ დარგების რაოდენობა, რომელებშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება;
- რბილდება ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავს კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს;
- უცხოელ ინვესტორებს ეძლევა საწარმოთა შექმნის უფლება 100%-იანი მონაწილეობით;
- იოლდება საზღვარგარეთ მოგებისა და დივიდენდების გატანა;
- მარტივდება და წესრიგდება უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის პროცედურა;
- სულ უფრო მეტი რაოდენობით ტარდება უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები.[27]

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად უზრუნველ-ყოფს ეროვნული ეკონომიკის არა ფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში და, როგორც მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობის დაძ-ლევის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი გზაა.

დღეს აშკარაა საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალურობა. ეკონომიკის კარგახსნილობის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს.

თითქმის ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზღვარგარეთელი სტრატეგიული ინვესტორების გამოჩენამ, რომლებიც საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო რესურსების მობილიზაციისათვის არიან მზად და ამის უნარიც შესწევთ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი საერთო მასშტაბთან შედარებით უმნიშვნელოა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად გავლენას ვერ ახდენს ცხოვრების დონეზე. ამის ძირითადი მიზეზია საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნეგატიური აღქმა და უზარმაზარი რისკ ფაქტორები, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ ინვესტიციური კრიზისის უარყოფით შედეგებზე.

ცხადია, რომ დღეს მსოფლიოში საინვესტიციო რესურსები წარიმართება შეღავათიანი დაბეგვრის, სამართლებრივი უზრუნველყოფის, პროგნოზირებადი ინფლაციის, მტკიცე საბანკო სისტემის მქონე რეგიონებში.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ხელის შემშლელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დღეს საქართველოში მთლად ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობს კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვეო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს; ამგვარად, საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

საზოგადოდ ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში დიდი არჩევანი არა აქვთ. მათ ან ისეთ კომპანიებში უნდა დააბანდონ ფული, რომლებიც დიდი ხანია კარგადაც მუშაობენ და თვით იცავენ საკუთარ უფლებებს, ან გარისკონ და რომელიღაც სრულიად ახალ, უცნობ საქმეში მოახდინონ ინვესტირება, რომლის პერსპექტივებიც გაურკვეველია. ნორმალურ პირობებში ინვესტორები პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ამჯობნებენ ხოლმე, რადგანაც რომელიმე წარმოების განვითარებით მათ გაკონტროლების მეტი

შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე საწარმოს აქციების (აქციების საკონტროლო პაკეტის უქონლობის პირობებში) შეძენისას.

საქართველოში საპირისპირო ვითარება ყალიბდება. წარმოებაში ფულის დაბანდებას ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქ-ტები ხშირად არ სრულდება და საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება.

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულია წინააღმდეგობა, რომ-ლის დაძლევის მექანიზმის პოვნა სასწრაფოდ უნდა მოხდეს. ამ წინააღ-მდეგობას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციებზე მწვავე მოთხოვნაა, მეორე მხრივ კი, საბაზრო ძალების მოქმედებამ შეიძლება ჩვენი ქვეყანა დასავლეთის სანედლეულო დანამატად აქციოს.

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად უნდა შემუშავდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დასაბუთებული სტრეტეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოზიდვის მოტივაციური მექანიზმი. მისი შემადგენელი ნაწილია უცხოელი ინვესტორებისათვის მისაღები ეკონომიკური პირობები, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეჟიმი.

ამასთან, ამგვარი პირობები და რეჟიმი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს, თორემ სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდეს, ის კი დღესაა საჭირო. გარდა ამისა, გასათვალისწინებე-ლია ის გარემოება, რომ მთელ მსოფლიოში კონკურენცია არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს პარალიზებული შიდა ინვესტიციური პრაქტიკის მქონე ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შიდა ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლება შეიძლება განვიხილოთ როგორც კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც და როგორც უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთო სიძნელეების დაძლევასთან, სამეურნეო სისტემის გარდაქმნის პრობლემის გადაჭრასთან და საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან.

საქართველოში საკუთრების პლურალიზმის არასაკმარისი განვითარება და საბანკო სისტემის არსებული დონე ხელს უშლის სასესხო კაპიტალის იმპორტს, მაშინ, როდესაც ეკონომიკის გარდაქმნისათვის ამ ფორმის ინვესტიციები უაღრესად აუცილებელია. ამიტომ კაპიტალის იმპორტის სტრატეგიის შემუშავების დროს მაქსიმალურად გასათვალისწინებელია რადიკალური გარდაქმნები ეფექტიანი საბანკო სისტემის შექმნისა და საკუთრების მრავალფორმიანობისა და მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლებების დამკვიდრებისათვის.

ქვეყანა მოქნილ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელსაც წამახალისებელ ღონისძიებების ეფექტიან კონტროლს შეუხამებს. ასეთი კონტროლი გულისხმობს კეთილსასურველ ინვესტიციური გარემოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამძღვრების მიზანმიმართულად შექმნას, რომლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია მოგების გარკვეული დონის მიღების გარანტია, საზღვარგარეთ მისი გადაგზავნის შესაძლებლობის არსებობა. ამასთან, უსაფრთხოების ერთიანი გარანტიების დროსაც შეღავათების და პრივილეგიების ოდენობა განსხვავებული შეიძლება იყოს. ამით უცხოურ ინვესტიციებს ჩვენთვის სასურველი მიმართულება ეძლევა.

უცხოურ კაპიტალზე დაყრდნობა სრულიადაც არ ნიშნავს სამამულო ინვესტორთა იგნორირებას, მათ შესაძლებლობათა და უფლებათა შელახვას. ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ინვესტორებს შესწევთ უნარი აამოქმედონ წარმოება, უპირატესობა მათ უნდა მიენიჭოთ, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტიციების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. უცხოური ინვესტიციები კი ეს არის უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, უფრო სრულყოფილი მართვის სისტე მები, პროდუქციის მაღალი ხარისხი.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს (იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია). მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი მარშრუტები საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

საქართველოს ენერგეტიკაში – ამერიკელების, ამჟამად რუსების, ოქროს მოპოვების დარგში – ავსტრალიელების, ჩაის წარმოებაში – გერმანელების და სხვა უცხოელთა საქმიანობით დასტურდება, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ინვესტირება, უპირატესად, პირდაპირი კერძო ინვესტიციების, ანუ სამეწარმეო კაპიტალის ფორმით ხორციელდება.

ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში შემოდის არა მარტო უცხოური კაპიტალი, არამედ უცხოელი მეწარმეც, ინვესტორი, რომელიც თვითონ აბანდებს ამ კაპიტალს საქართველოში და, შესაბამისად, თვითონ ხდება შექმნილი საწარმოო ობიექტების მესაკუთრეც. ცხადია, უცხოელი ინვესტორები იმიტომ იწყებენ საქართველოში საქმიანობას, რომ მიიღონ მოგება, დაიკავონ ბაზარი, იქონიონ აქ მუდმივი და სტაბილური შემოსავლების წყარო. ასევე, ცხადია, რომ საქართველოში მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი მათ ქვეყნიდან გააქვთ.[27]

ყოველივე ზემოაღნიშნულს, უდავოდ, გააჩნია მრავალი უარყოფითი მხარე – დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ აღნიშნული პროცესი არ შეწყდება და იგი ქვეყნიდან ფინანსური რესურსების გადინების მუდმივი არხი იქნება.

საკანონმდებლო ბერკეტებით ამ პროცესის შეჩერება, როგორც წესი, ძალზე არაეფექტიანია. ქვეყნიდან უცხოელი ინვესტორების მიერ მიღებული მოგების უკონტროლო გატანა მათ მიერ ფასებით მანი-

პულირების მეშვეობით ხორციელდება: ისინი ხელოვნურად ზრდიან ფასებს იმპორტირებულ მასალებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე და ასევე ხელოვნურად ამცირებენ მას ქვეყნიდან გატანილ პროდუქციაზე.

ამგვარად, იქმნება კაპიტალის „ნამეტი“, რომელიც უპრობლემოდ ხვდება დონორი ქვეყნის „სეიფებში“ (ეს პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს სხვა განვითარებად ქვეყნებშიც, რაც აფერხებს მათი განვითარების ტემპებს). მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი პარტნიორები (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში) ადვილად თანხმდებიან მათთვის კაბალური ხელშეკრულებების პირობებს. ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი დარგები უცხოელი კერძო ინვესტორების ხელში გადადის, რადგან ქართველი მეწარმეები მათ სათანადო კონკურენციას ვერ უწევენ. საქართველოს შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის საუკეთესო ნაწილი, ბუნებრივი რესურსები და ძალზე იაფად შეძენილი მსხვილი საწარმოები აკლდება ეროვნულ წარმოებას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.[26]

აღსანიშნავია, რომ უცხოური კაპიტალისათვის მომგებიანი ე. წ. სპეციალიზაციის გავლენით საქართველოში უპირატესად ვითარდება შრომატევადი და არა მეცნიერება და კაპიტალტევადი დარგები, რადგან უცხოური კაპიტალი, ძირითადად, იაფი მუშახელისა და ბუნებრივი რესურსების გამო შემოდის ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში არსებული მწვავე ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, მთელი ძალისხმევა კონცენტრირებულია მიმდინარე პრობლემების გადაჭრაზე. აქედან გამომდინარე, არსებული საინვესტიციო პოლიტიკის გრძელვადიან შედეგებს სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, უცხოურ კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები, ძირითადად, სწორედ მაშინ იჩენს თავს, როცა ეს კაპიტალი ეკონომიკის წამყვან დარგებში მკვიდრდება, რის გამოც რთულდება მასთან დაპირისპირება და ეროვნული ინტერესების დაცვა.

ამასთან, გასათვალისწინებელია შემდეგიც, რომ თეორიულად, შესაძლოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს მოკლევადიან პერიოდში და სწრაფადაც განავითაროს ეკონომიკა საწყის ეტაპზე, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში გაცილებით ეფექტიანია საკრედიტო რესურსების მეშვეობით ადგილობრივი მეწარმეების დასაქმება და საკუთარი რეზერვების ამოქმედება.

ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი მეწარმეების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს მათი შემოსავლების ეროვნულ ეკონომიკაში რეინვესტირებას, რითაც იწყება ეკონომიკის ზრდის პროცესი. უცხოელი კერძო ინვესტორების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს ქვეყნიდან ფინანსური რესურსების მუდმივი ნაკადით გადინებას, რაც აუძლურებს ეკონომიკას და აფერხებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოსათვის უცხოურ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გასაგებიცაა. მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყანა ადგილს მყარად დაიმკვიდრებს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა მტკიცედ ჩაერთვება შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. მსხვილი კაპიტალდაბანდებების გარეშე კი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, აღორძინება და განვითარება შეუძლებელია. სამწუხაროდ, საკუთარი რესურსები საამისოდ ქვეყანას არ გააჩნია. სახელმწიფოში ბიზნესისა და მოსახლეობაში ფაქტობრივად ფინანსების ნაკლებობა იგრძნობა.

ასეთ ვითარებაში, ინვესტიციების დაფინანსების ძირითადი წყარო უცხოური რესურსები შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ, მათი მოზიდვის მასშტაბების გაფართოება უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივების ანალიზის დროს აუცილებელია სამამულო დამზოგველთა საინვესტიციო შესაძლებლობათა და საინვესტიციო პროცესში მათი როლის შეფასება. პოლიტიკა უცხოელი ინვესტორების მიმართ სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის

ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მტკიცე კავშირი სამამულო ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებებსა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შორის, ეკონომიკის დაფინანსების ამ ორი წყაროს ურთიერთგავლენა განაპირობებს მათი კომპლექსური შესწავლის მიზანშეწონილობას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასშტაბები და მიზანმიმართულება პირდაპირ არის დაკავშირებული სამამულო ინვესტორთა მდგომარეობასთან, მათ შესაძლებლობებთან, სახელმწიფოს შიგნით საინვესტიციო აქტიურობის დონესთან. ამასთან, უცხოური ინვესტიციების ფართო მასშტაბიანი მოზიდვა შეუძლებელია ბაზრის საკმაოდ განვითარებული სუბიექტების არსებობის გარეშე, რომლებსაც ძალუძთ საზღვარგარეთული კაპიტალის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა როგორც საერთო გაგებით, ისე კონკრეტულად, ერთობლივი მეწარმეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სამამულო ინვესტორთა მხარდაჭერა, ბაზრის ინსტიტუციონალური საფუძვლების ფორმირება წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთერთ უმთავრეს წინაპირობას.

ინვესტიციათა შიდა წყაროების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს, ინსტიტუციონალური და კერძო ინვესტორთა ფინანსური რესურსები, რომლებიც გარკვეული ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაბმული იყონ საინვესტიციო პროცესში.

ამჟამად თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მიმდინარეობს დისკუსია საინვესტიციო პროცესებში სახელმწიფო ბიუჯეტის როლის თაობაზე. ეკონომისტთა ნაწილი ბიუჯეტს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს. მათი აზრით, ჯერ ერთი, კრიზისულ ვითარებაში ბიუჯეტის შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია, მეორეც, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ეფქტურობა განვითარებული საბაზრო სტრუქტურების მქონე ქვეყნებშიც კი ტრადიციულად დაბალია, მესამეც, საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს ფართო მონაწილეობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. [26]

სხვა მოსაზრების მიმდევარნი კი თვლიან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საინვესტიციო აქტიურობის გამოცოცხლებაში, მათ შორის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების ხარჯზე. ამ მდგომარეობის მხარდასაჭერად მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

- სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი ფინანსური ფონდი, რომელიც თავისი მასშტაბებითა და სახსრების აკუმულირების შესაძლებლობებით სახელმწიფო ბიუჯეტს შეედრებოდეს;
- მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით შესაძლებელია მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული გარდაქმნების ამოცანათა გადაწყვეტა;
- სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო სამამულო და უცხოურ ინვესტორთა სახსრების აკუმულირებისათვის სახელმწიფოს სახელით მათი შემდგომი დაბანდებით. [28]

თავისუფალი, თუნდაც რეგულირებადი ბაზრის პირობებში საინვესტიციო პროცესის საფუძველს კერძო ინიციატივა წარმოადგენს. სხვადასხვა წარმოების პირდაპირი, დაუბრუნებადი დაფინანსება წარსულს ჩაბარდა. მაგრამ მიუხედავად ამისა კერძო, მათ შორის უცხოური ინვესტიციებისათვის პირობების შექმნა შეუძლებელია გარკვეული და მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა გარეშე. ამაში პირველ რიგში იგულისხმება სახელმწიფოს აქტიური როლი საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნაში. შეუცვლელია ბიუჯეტის, როგორც ინვესტორის, როლი წამგებიან და დაბალრენტაბელურ, მაგრამ მნიშვნელოვან დარგებში, დარგებში რომლებიც დაკავშირებული არიან ეროვნულ უშიშროებასა და სოციალურ სფეროსთან და ა.შ.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს პრიორიტეტულ დარგებში კერძო ინვესტიციათა პირდაპირი სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის სისტემა. სახელმწიფო ინვესტიციების არეალი, განსაკუთრებით

გარდამავალ პერიოდში, საკმაოდ ფართოა. ის დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო საკუთრების მასშტაბებზე, ისე განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებზე.

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი ინვესტიციათა საერთო მოცულობაში 10-20%-ს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს წილი ტრადიციულად უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები საერთო ინვესტიციების 40-60%-ია, ხოლო ზოგიერთ დარგებში (ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ელექტროენერგიის წარმოება დასხვა) თითქმის 100%-ს შეადგენს. [24]

სტრუქტურული გარდაქმნის ამოცანათა უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტური ინვესტიციები აუცილებელია. ამასთან მთავარ პირობას წარმოადგენს მათი არა ინფლაციური ხასიათი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის პრობლემა (საგადასახადო შემოსავლები). მაშასადამე, საინვესტიციო სფეროდან სახელმწიფოს ფაქტობრივი გასვლა, რაც ამჟამად საქართველოში აღინიშნება, უფრო იძულებითი, ვიდრე სასურველი მოვლენაა.

სახსრების მოზიდვის სხვა გავრცელებულ ფორმას სახელმწიფო საშინაო ვალის შექმნა წარმოადგენს. სახელმწიფო სავალო ვალდებულე-ბების გამოშვება ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში ბიუჯეტის შევსების, თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირების, აგრეთვე კონკრეტული საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მიზნით.

საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია რესურსების გამოყენების ეფექტურობის საკითხი. სახელმწიფო ფინანსური რესურსების დაქსაქსვის და არამიზნობ-რივი გამოყენების საშიშროების არსებობის გამო მიზანშეწონილია ინვესტი-რება მოხდეს კონკრეტული, მკვეთრად განსაზღვრული პროექტების დასა-ფინანსებლად.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ასეთ პროექტებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ენერგეტიკის განვითარება, გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემის განვითარება, საფინანსო ბაზრის ინსტიტუციონალური სტუქტურის ჩამოყალიბების მხარდაჭერა. სახელმწიფო ინვესტიციების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია განათლების სისტემა.

ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია მაღალ კვალიფიცირებული შრომითი რესურსების გარეშე. აღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად ფართოდ უნდა მოიზიდოს კერძო, მათ შორის უცხოური ინვესტიციები. მთავარ მაორგანიზებლად და საინვესტიციო ნაკადების წარმმართველად კი სახელმწიფო გვევლინება. ამასთან სახელმწიფო სახსრების განაწილების ძირითად ფორმას უნდა წარმოადგენდეს ტენდერი.

ნებისმიერ შემთხვევაში საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს პასიური მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ საინვესტიციო აქტიურობის თვით სტიმულირების მტკიცე გარანტიათა არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას სახელმწიფო ბიუჯეტის საინვესტიციო შესაძლებლობათა ზრდის პრობლემა. თანამედროვე ეტაპზე კი ბიუჯეტის მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციები შეუძლებელია.

საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძირითადი საინვესტიციო გადაწყვეტილებანი საწარმოთა დონეზე მიიღება. არასაფინანსო ბიზნესი, ანუ ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საწარმოები საწარმოო სფეროში ძირითად ინვესტორებად გვევლინებიან. მათი საინვესტიციო შესაძლებლობათა განხილვის დროს აუცილებელია შეფასდეს როგორც საკუთარი სახსრები, ისე გარეშე დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის პერსპექტივები.

საქართველოში 2004-2007წ.წ. განხორციელებულ მთლიან ინვესტიციებში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების წილის და მისი დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2004 წელს განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში სამამულო ინვესტიციებიდან დიდი ადგილი ეკავა არასაბიუჯეტო ინვესტიციებს. ეს მაჩვენებელი 2007 წლის ანალოგიური მაჩვენებლითან შედარებით 166%-ს (2004წ. -1288,4 მლნ. ლარი, 2007 წ. - 776,7 მლნ. ლარი) შეადგენს. [24]

რაც შეეხება მოსახლეობის საკუთარი სახსრების ინვესტირების პროცესში ჩართვის მაჩვენებელს, იგი სამწუხაროდ საკმაოდ უმნიშვნელოა უცხოურ და არასაბიუჯეტო ინვესტიციებთან შედარებით. 2007 წელს მთლიანად განხორციელებულ ინვესტიციებში საბიუჯეტო ინვესტიციების წილმა შეადგინა 135%, უცხოურმა – 169% და მოსახლეობის საკუთარ სახსრებს 135% უკავია. ცხრილიდან ჩანს, რომ უცხოურ ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ახასიათებს და 2007 წლისათვის შეადგინა 2014,8 მლნ. ლარი, რაც 4-ჯერ მეტია 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (499,1 მლნ. ლარი). ამასთან სახელმწიფო (საბიუჯეტო) ინვესტიციებს წილს საერთო მოცულობაში ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2007 წელს მისი მოცულობა მხოლოდ 975,6 მლნ. ლარს შეადგენდა ანუ 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4,3-ჯერ მეტია. [24]

ცნობილია, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვა ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მართლაც, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და მისი შენდგომი ზრდა წარმოუდგენელია უცხოური ინვესტიციების გარეშე. თუმცაღა, ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოშვება დიდი მასშტაბებით საჭიროებს მრავალი ისეთი საკითხის გადჭრას და ღრმა გააზრებას, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული დღევადელ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამან უკვე მოგვიტანა ზიანი და უფრო მეტ ზიანს მოგვიტანს მომავალშიც თუ არ მოხდება ეკონომიკური პოლიტიკის კორექცია.

განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, კერძო უცხოურ კაპიტალს იზიდავს იაფი მუშახელი და ბუნებრივი რესურსები, დაბალი კონკურენცია ადგილობრივი კაპიტალის მხრიდან, სუსტი ეკოლოგიური ბარიერები. სწორედ ამ მოზიდულმა კაპიტალმა უნდა ითამაშოს წამყვანი როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შექმნასა და მის აღორძინებაში.

შეცდომაა ასეთივე პოლიტიკის გატარება საქართველოში. აქ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგია უნდა იყოს მიმართული არა იმდენად ეკონომიკური პოტენციალის შექმნაზე, რამდენადაც არსებული პოტენციალის ამოქმედებაზე.

ჩვენ გვესაჭიროება საკუთარი რეზერვების ამოქმედება, რათა გამოვიდეთ მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან. იმის გამო, რომ ქვეყანაში ტარდება პასიური ეკონომიკური პოლიტიკა და ველოდებით როდის შემოვლენ უცხოელი ინვესტორები, ამის გამო ნაკლები ყურადღება ეთმობა ადგილობრივ მეწარმეებს და ქვეყანაში არსებულ რეზერვებს. ამის შედეგად ეკონომიკა ჯერაც პარალიზებულია და აუარებელი რესურსები ან უმოქმედოა, ან გაედინება საზღვარგარეთ.

პასიური ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპი - „შევქმნათ ყველა პირობა, რათა დავაინტერესოთ უცხოელი ინვესტორები, რომ დააბანდონ აქ უცხოური კაპიტალი“, [9] მით უმეტეს, მცდარია, თუ გავითვალისწინებთ გეოპოლიტიკურ რეალიებს. როგორი სცენარით განვითარდება მოვლენები, თუ პრიორიტეტი მიეცემა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასობრივ შემოშვებას ქვეყანაში. სავარაუდოდ:

- ასეთ შემთხვევაში საქართველოში შემოვა არა მარტო უცხო კაპიტალი, არამედ უცხოელი მესაკუთრეც. ცხადია, რომ უცხოელი ინვესტორები იმიტომ იწყებენ წარმოებას საქართველოში, რომ მიიღონ მოგება, დაიკავონ ბაზარი, იქონიონ აქ მუდმივი და სტაბილური შემოსავლის წყარო. ასევე ცხადია, რომ ამ შემოსავლების დიდ ნაწილს ისინი გაიტანენ ქვეყნიდან. დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ ეს პროცესი არ

შეწყდება. ეს იქნება ქვეყნიდან ფინანსური რესურსების გადინების მუდმივი არხი. ამ პროცესის შეჩერება საკანონმდებლო ბერკეტებით, როგორც წესი, ძალზე არაეფექტურია. ეს პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში და სერიოზულ პრობლემებს უქმნის მათ – აფერხებს მათი განვითარების ტემპებს. უცხოელი ინვესტორების მიერ მოგების უკონტროლო გატანა ქვეყნიდან ხორციელდება ფასების მანიპულირების მეშვეობით;

- მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი პარტნიორები (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში) ადვილად თანხმდებიან მათთვის კაბალური ხელშეკრულების პირობებზე. ეკონომიკის ყველა მომგებიანი დარგი აღმოჩნდება უცხოელი კერძო ინვესტორის ხელში, რადგან ქართველი მეწარმეები ვერ გაუწევენ მათ კონკურენციას. საქართველოს შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის საუკეთესო ნაწილი, საუკეთესო ბუნებრივი რესურსები და „კაპიკებად ნაყიდი“ მსხვილი საწარმოები მოაკლდება ეროვნულ წარმოებას, შეაფერხებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას;
- ქვეყნის ეკონომიკას თავს მოახვევენ სპეციალიზაციას, რომელიც მომგებიანია უცხოური კაპიტალისთვის. შესაბამისად, ჩამოყალიბ-დება ეკონომიკის ისეთი სტრუქტურა, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების ინტერესებს. განვითარდება შრომატევადი და არა მეცნიერება-ტევადი და კაპიტალტევადი დარგები, რადგან ცხადია, რომ უცხო კაპიტალი შემოდის იაფი მუშახელის და იაფი ბუნებრივი რესურსების გამო (აღსანიშნავია, რომ საქართველოში არც ერთ უცხო ინვესტორს ჯერჯერობით არ შემოუტანია უახლესი ტექნოლოგიები. ყველა აქამდე შემოტანილი ტექნოლოგია წარმოადგენს ე. წ. „გუშინდელი დღის“ [12] ტექნოლოგიებს);

- მოსალოდნელია ე. წ. „ჭუჭყიანი დარგების“ [12] კონცენტრაცია, ვინაიდან მსოფლიოში ცალსახად შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნებიდან ჭუჭყიანი წარმოების განვითარებად ქვეყნებში გატანის ტენდენცია, რადგან იქ ნაკლებად მკაცრია ეკოლოგიური ბარიერები (ამ ტენდენციამაც უკვე იჩინა თავი საქართველოში).უკეთესი იქნება, თუ პრიორიტეტი მიეცემა არა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არამედ საკრედიტო რესურსების მოზიდვას უცხოეთიდან და ქართველი მეწარმეების დაკრედიტებას (ანუ, თუ პასიური ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვლება აქტიური ეკონომიკური პოლიტიკით), რაც შეიძლება შემეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:
- საქართველოს საკრედიტო რესურსების ბაზარზე მიწოდების ზრდა გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირებას. ამის შედეგად მკვეთრად გაიზრდება ინვესტიციების რაოდენობა;
- თუ შესაბამის პოლიტიკას გაატარებს საბანკო სისტემა, მაშინ საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისკენ. აგრეთვე პრიორიტეტული დაკრედიტების მეშვეობით კრიზისიდან გამოვლენ ის დარგები, რომელთა ამუშავებაც შესაძლებელია მცირე დანახარჯებით.
- მცირე და საშუალო ბიზნესის ინტენსიური განვითარება გააუმჯობესებს და შედარებით გაათანაბრებს ქვეყნის განვითარებას რეგიონულ ჭრილში. გააძლიერებს ქვეყნის საშუალო ფენას და შეასუსტებს მოსახლეობის პოლარიზაციას. ეს დადებითად იმოქმედებს პოლიტიკურ სტაბილურობაზე;
- და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამოქმედდება აქამდე მთლიანად გამოუყენებელი უდიდესი რესურსი, რომელიც გააჩნია საქართველოს მეწარმეობის უნარის მქონე ადამიანების სახით. „მეწარმეობის უნარი“ [12] არის ერთ-ერთი აუცილებელი წარმოების ფაქტორი. მიუხედავად ამისა დღევანდელი სტრატეგია

აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ამ უმნიშვნელოვანეს რეზერვს, რომელიც არსებობს საქართველოში.

განვითარებად ქვეყნებში უცხო კაპიტალის როლის შესახებ დიდი გამოცდილებაა დაგროვილი, არსებობს უამრავი ლიტერატურა. აღსანიშ-ნვია, რომ 1969 წელს შეიქმნა ეგრეთ წოდებული ანდის პაქტი (მასში შედიოდნენ ბოლივია, კოლუმბია, პერუ, ჩილე, ეკვადორი და მოგვიანებით შეუერთდათ ვენესუელა). ამ პაქტის მონაწილეებმა კარტახენის შეთანხმების თანახმად ვალდებულება აიღეს ნებისმიერი უცხოური საწარმო დროთა განმავლობაში გარდაქმნან ერთობლივ საწარმოდ (ადგილობრივი პარტნიორების სიჭარბით) ან ეროვნულ საწარმოდ. ამავე დროს დაწესებული იქნა ქვეყნიდან მოგების გატანის ლიმიტი. [12]

უცხოური კაპიტალისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) პრობლემების თაობაზე ჯერ კიდევ 1970 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, ხოლო 1972 წლის 19 მაისს მხარი დაუჭირა განვითარებადი ქვეყნების სუვერენულ უფლებას, მიიღოს ზომები იმისათვის, რომ უცხოურმა კაპიტალმა იმოქმედოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად, მათ შორის, შეიზღუდოს მოგების ქვეყნიდან გატანა. [12]

1972 წელს გაეროს მიერ შეიქმნა ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი, რათა შეესწავლა ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე და, პირველ რიგში, განვითარებად ქვეყნებზე. უცხოური კერძო კაპიტალის გავლენიდან თავის დასაღწევად მსოფლიოში დაგროვილია დიდი გამოცდილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ფორმები:

- ნაციონალიზაცია;
- შერეული კომპანიების შექმნა აქციების შეძენის გზით;
- საკონცესიო ხელშეკრულებების გადასინჯვა და სახელმწიფოს წილის გაზრდა ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის პროცესში;
- საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრება;

- ერთ დარგში მომუშავე უცხოური ფირმების ლიმიტირება;
- სპეციალური ზომების მიღება, რათა არ მოხდეს მოგების ფარული გატანა საზღვარგარეთ;
- ამ ფირმების მიერ იმპორტირებული ტექნიკის და მასალების ღირებულებაზე მკაცრი კონტროლი და სხვა.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ უცხოური კაპიტალის შეტანა განვითარებად ქვეყანაში ძალზე რთული, მრავალწახნაგოვანი პრობლემაა და სიფრთხილეს საჭიროებს. უცხო ინვესტორებისათვის პრიორიტეტის მინიჭება განსაკუთებით არასასურველ შედეგებს მოიტანს მონეტარულ პოლიტიკის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად იზღუდება სახელმწიფოს რეგულატორული ფუნქცია და ეკონომიკური პროცესები სტიქიურად, საბაზრო ძალების კარნახით მიმდინარეობს. შედარებისათვის ავღნიშნავთ, რომ აზიის ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოხდა ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური სასწაული“, [12] არსად ტარდებოდა მონეტარული პოლიტიკა. სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ პროცესებში. ასეთ ვითარებაში შესაძლებელი ხდება უცხო კაპიტალის ჩაყენება ქვეყნის ინტერესების სამსახურში და უარყოფითი ეფექტის შემცირება. მიუხედავად ამისა, იაპონიამ თითქმის არ შეუშვა თავის ქვეყანაში უცხოური კერძო ინვესტიციები, ხოლო სამხრეთ კორეამ – შედარებით მცირე მასშტაბით (თუმცა, სწორედ ამ ქვეყნებმა მიაღწიეს განსაკუთრებით კარგ შედეგებს).

რაც შეეხება ამ რეგიონის დანარჩენ ინდუსტრიულ ქვეყნებს (ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და სხვა) – რეფორმების სასტარტო მდგომარეობაში ისინი წარმოადგენდნენ სოფლის ტიპის დასახლებებს. იქ არ არსებობდა არც ინფრასტრუქტურა, არც კვალიფიციური მუშახელი, არც მეწარმეობის უნარის მქონე პირები, არც საწარმოო ბაზა. ასეთ ვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთადერთი შანსი იყო მათი ეკონომიკური აღმავლობისათვის. [12]

საქართველო უკეთეს სასტარტო მდგომარეობაშია, ვიდრე ზემო ხსენებული ქვეყნები, სადაც მოხდა ეკონომიკური სასწაული. როგორც უკვე ავღნიშნეთ გაგვაჩნია ინფრასტრუქტურაც, საწარმოო ბაზაც, კვალიფიციური მუშახელიც და მეწარმეებიც (რაც განსაკუთრებით დეფიციტური ფაქტორია რიგ განვითარებად ქვეყნებში). ამიტომ უცხო კაპიტალი გაცილებით მცირე მასშტაბით გვესაჭიროება, კიდევ უფრო ნაკლებად – უცხოელი მეწარმეები. უცხოელი ინვესტორის ლოდინის პასიური სტრატეგია უნდა შეიცვალოს აქტიური პოლიტიკით, საკუთარი რეზერვების ამოქმედების, ეროვნული ენერგიის მობილიზაციის სტრატეგიით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თეორიულად შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (თუ მათ არ შეაფერხებს პოლიტიკური არასტაბილურობა თუ სხვა მიზეზი) უფრო ეფექტური აღმოჩნდეს და სწრაფადაც განავითარონ ეკონომიკა საწყის ეტაპზე, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში გაცილებით ეფექტურია საკრედიტო რესურსების მეშვეობით ადგილობრივი მეწარმეების დასაქმება და საკუთარი რეზერვების ამოქმედება.

ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი მეწარმეების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს მათი შემოსავლების რეინვესტირებას ეროვნულ ეკონომიკაში, ანუ იწყება ეკონომიკის კუმულატიური ზრდის პროცესი. ხოლო უცხოელი ინვესტორების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს საფინანსო რესურსების გამუდმებულ გატანას ქვეყნიდან, რაც აუძლურებს ეკონომიკას და აფერხებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

2.6.საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელი ღონისძიებები საქართველოში

საინვესტიციო გარემო სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაა, რომლის ფორმირებაც ხორციელდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე საკმაო რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივაციის წარმოქმნას.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია: მაკროეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრება, ვალები და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელ ზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად.

საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას (თავშეკავებას). ე.ი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს ხელსაყრელი (ხელშემწყობი) ისე არახელსაყრელი (ხელშემშლელი), რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს.

ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს საფუძვლიანი გაანალიზება და რისკფაქტორების გათვალისწინება ყველა ინვესტორის პირველადი ამოცანაა. ამ მხრივ საქართველოში დღეისათვის არსებული ვითარება ერთმნიშვნელოვნად არასახარბიელოა.

საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილება. ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ამუხრუჭებს საინვესტიციო აქტივობას. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში თავი იჩინა ჯ. კეინსის მიერ აღნიშნულმა დაგროვების პროცესმა, ინვესტირდება იმაზე ნაკლები,

ვიდრე იზოგება. ეს პროცედურა ძირითადად წარმოების რეალური სექტორის დაბალი ეფექტიანობისა და დაბალი ინვესტიციური მიმზიდვე-ლობის შედეგია.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს მატერიალურ წარმოებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს (ეკონომიკის რეგულირება მონეტარული მეთოდების გამოყენებასთან შერწყმით) ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლებას და შექმნის ეროვნული მეურნეობის მდგრადი განვითარების წინაპირობას.

ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმნიშვნელოვნად ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი, უცხელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

შრომითი რესურსების მიმართაც სიტუაცია მარტივი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორისათვის. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები შეჩვეულნი არიან მკაცრ ფორმალურ კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა. ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორს.

ინვესტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს, რომელშიც აისახება ზრდისა და განვითარების ტემპები, ინფლაციის დონე, შიგასახელმწიფო ვალის სიდიდე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს კონკურენტები ჰყავს დსთ-ს ქვეყნების სახით, რომლებსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების საქმეში მეტი წარმატება აქვთ.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);

2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);

3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

ქვეყნის საინვესტიციო სფეროში ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ იზრდება, განსაკუთრებით უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე. ამიტომ ამ სახსრების ეფექტიანად გამოყენების საჭიროება ფართოვდება. ამ დროს, სამწუხაროდ, ინვესტიციური პროცესები ეკონომიკის ცალკეულ სფეროში ჯერ კიდევ ქაოსურად მიმდინარეობს.

სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემო შექმნა. ადგილობრივ მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- აუცილებელია დაჩქარდეს არსებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესი;
- საჭიროა საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება;
- უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელი. ამისათვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზაა მოსამზადებელი.

საინვესტიციო გარემო საქართველოში უცხოელი ინვესტორების ფართოდ მოზიდვის თვალსაზრისით არახელსაყრელია. ეს განპირობე-ბულია პოლიტიკური არასტაბილურობით, ეკონომიკური კრიზისით, და სხვა პირობებით, რაც განსაზღვრავდა საქართველოსათვის დაბალი რეიტინგის მინიჭებას.

საინვესტიციო გარემოს შედარებითი შეფასების ისტორია 30 წელზე მეტს არ ითვლის. ამ სფეროში ერთ-ერთი პირველი კვლევა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლებმა შეასრულეს. შეფასების საფუძვლად მათ აიღეს საექსპერტო შკალა, რომელიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავდა: საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის, კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, პოლიტიკური ვითარება, ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები და ა. შ. ერთერთი ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში საქართველომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით მე-100-ე ადგილიდან 102-ე ადგილზე გადაინაცვლა და საქართველოს ეკონომიკა „მეტად არათავისუფალ“ კატეგორიაში მოხვდა. იქვე აღნიშნულია, რომ გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემო და გაზრდილია არალეგალური ვაჭრობა.[13]

სავალუტო ფონდის მონაცემებით, ინვესტორები საქართველოს ბიზნესგარემოს ძირითადად აღიქვამენ, როგორც ბიუროკრატიულს, არაგამჭვირვალეს და კორუფციისაკენ მიდრეკილს. საინვესტიციო გარემოს განვითარებას ხელს უშლის გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცედურები, მეწარმეთათვის ქრთამის გამოძალვის მცდელობები.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის დონე საეჭვოს ხდის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის მიერ გაკეთებული დასკვნების გათვალისწინება სულმთლად უსარგებლო არ უნდა იყოს

საქართველოს მთავრობისათვის, ვინაიდან ამ ინსტიტუტის გამოკვლევები ერთგვარი გზამკვლევია ინვესტორებისათვის.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ რეგიონში, სადაც მხოლოდ სამი ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება მძაფრი კონკურენცია ინვესტიციები-სათვის. ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება მოიზიდოს კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, ესაა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

დღეისთვის ეკონომისტთა უმრავლესობა ერთნაირად განმარტავს საინვესტიციო გარემოს შინაარსს, მაგრამ მისი სტრუქტურისა და შეფასების მეთოდიკის დაკონკრეტებისას მათი შეხედულებები არსებითად განსხვავებულია. თუ შევაჯამებთ საინვესტიციო გარემოს შეფასებისადმი დამახასიათებელ მიდგომებს, შეიძლება ითქვას, რომ:

1. ვიწრო გაგებით იგი ეყრდნობა შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას:

- მთლიანი შიდა პრდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობათა დინამიკა;
- ეროვნული შემოსავლის განაწილების, დაგროვებისა და მოხმარების პროპორციების დინამიკა;
- საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობა;
- საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მდგომარეობა;
- ცალკეული ინვესტიციის ბაზრის (მათ შორის, საფონდო და ფულის) განვითარების დონე.[13]

2. ფართო გაგებით იგი ეყრდნობა საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსის შეფასებას. მათ შორისაა:

- ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება (რეგიონის უზრუნველყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, თავისუფალი მიწების არსებობა საწარმოო ინვესტირებისათვის, ენერგო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე,

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და ა. შ.)

- მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოების, მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების დარგების განვითარების დონე, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობა, ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის ხარისხი და ა. შ.);
- რეგიონის საბაზრო გარემო (საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრივატიზაციის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე, ინფლაცია და მისი ზეგავლენა საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პროცესებში მოსახლეობის ჩაბმის დონე, მეწარმეობის კონკრეტული გარემოს განვითარება, გასაღების ადგილობრივი ბაზრის ტევადობა, მეურნეობათაშორისი კავშირების ინტენსივობა, საექსპორტო შესაძლებლობები, საზღვარგარეთული კაპიტალის არსებობა);
- პოლიტიკური ფაქტორები (რეგიონის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი, ფედერალური ცენტრისა და რეგიონული ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური სტაბილურობის დონე, ეროვნულ-რელიგიურ ურთიერთობათა მდგომარეობა);
- სოციალური ფაქტორები (მოსახლეობის ცხოვრების დონე, საბინაოსაყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურების განვითარება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელება, დანაშაულებათა დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაციის გავლენა საინვესტიციო პროცესზე, მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიმართ, საზღვარგარეთელი სპეციალისტებისთვის მუშაობის პირობები);
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვარგარეთელი ინვესტორებისადმი, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვა,

ოპერატიულობის დონე საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობები, ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანი თვისებები და ეთიკა);

- ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსავლები, არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებით უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ფედერალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების მიღების ხელმისაწვდომობა, უცხოური ვალუტით კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა, საბანკო პროცენტის დონე, ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარება, საბანკო კრედიტები მოსახლეობის ათას სულზე, წამგებიან საწარმოთა ხვედრითი წონა).[13]

საინვესტიციო გარემოს შეფასების კრებითი მაჩვენებელი ვერ გამოდგება ინვესტიციების დაბანდებისათვის ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის მიმზიდველობის ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმად. მას, ჩვეულებრივ, ავსებენ იმ ფაქტორების განვითარების შესახებ ინფორმაციით, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოს მდგომარეობასა და დინამიკაზე. ამდენად, სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველ ინვესტორს შეუძლია მის მიერ შერჩეული ფაქტორების მეშვეობით მოახდინოს ორიენტირება.

საინვესტიციო გარემოს შეფასებაში დაგროვილი ადგილობრივი და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად გათ ვალისწინებული არ არის თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემუშავებული რიგი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულება, სახელდობრ:

- ქვეყნის და რეგიონის საინვესტიციო გარემოც კი განხილულია მოგების (შემოსავლის) მაქსიმალურად და შეუფერხებლად მიღების

მოსურნე აბსტრაქტული სტრატეგიული ინვესტორის პოზიციიდან. მაგრამ კაპიტალი, ისე როგორც ინვესტიცია, სხვადასხვაგვარია (სამრეწველო, სავაჭრო, სასესხო, სააქციო), ინვესტორებს კი განსხვავებული მიზნები აქვთ.

- დროის მოკლე მონაკვეთში მოგების მაქსიმუმზე ორიენტირებული სასესხო კაპიტალი ფინანსური, საპორტფელო ინვესტიციების მეშვეობით მოქმედებს. სამრეწველო კაპიტალი მოგებასთან ერთად ცდილობს საწარმოს, კორპორაციის თუ რეგიონის საქმიანობაზე მდგრადი გავლენის მოპოვებას, რაც განსაზღვრავს ინვესტორის სურვილს, დაამყაროს გრძელვადიანი ურთიერთობები, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და საწარმოს მართვაში.
- ამ ბოლო მიზნისათვის ინვესტორი მზადაა შეეგუოს ინვესტირების მომგებიანობის ერთგვარ დაქვეითებას ხანმოკლე პერსპექტივაში. ეს კაპიტალი მოქმედებს რეალურ აქტივებში, ადამიანისეულ კაპიტალ-ში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით. ინვესტიციების ყველა ამ სახესხვაობისათვის განსხვავებული საინვესტიციო გარემოა აუცილებელი;
- ინვესტორი და ინვესტიციის მიმღები, როგორც წესი, განსხვავებულ მიზნებს ისახავენ. პირველი ესწრაფვის მაქსიმალური მოგების ამოქაჩვასა და ბაზარზე დამკვიდრებას ხანგრძლივი პრიოდით, მეორე კი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი კომპლე-ქსის მოგვარებას მინიმალური სახსრების მოზიდვით.
- ამდენად, საინვესტიციო გარემო ინტერესთა ბალანსის შესაბამისი უნდა იყოს. ინტეგრირებული საინვესტიციო რესურსული ფაქტორი იმ რესურსფაქტორების (სამეცნიერო-ტექნოლოგიური, სამეწარმეო, საინფორმაციო, ორგანიზაციული, მმართველობითი და ა. შ.) გათვა-ლისწინებაა, რომლებიც შეთანხმებულად ურთიერთქმედებენ დროსა და სივრცეში.

- ერთის მხრივ, საინვესტიციო გარემო სტაბილური უნდა იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მეორეს მხრივ კი, იგი უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და ითვალისწინებდეს ეროვნულ ეკონომიკაში რესურსფაქტორების თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს. იმავდროულად, იგი მიმართული უნდა იყოს ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკის რესურსფაქტორთა სისტემის ფორმირებისაკენ. დღეს ობიექტური მოთხოვნილება არსებობს მოზიდული ინვესტიციების ინოვაციურად "შევსებაზე".
- ინვესტიციების შერწყმა განვითარების ინოვაციურ ფაქტორებთან განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ინოვაციურ მეწარმეობაში (ვენჩურულ ინვესტიციებში) ინვესტიციების მოზიდვის დროს. ეს განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს საინვესტიციო გარემოს, მისი შემადგენლობისა და ინვესტირების მექანიზმის მიმართ;
- სოციალურ დინამიკასთან ინვესტირების კავშირს, როგორც წესი, განიხილავენ სოციალური ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის თვალსაზრისით (დასაქმების უზრუნველყოფა, ცხოვრების დონის ამაღლება, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ფორმირება და ა. შ.), მაგრამ ინვესტიციები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასთან, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ცხოველმოქმედების ყველა სფეროში, რისი გათვალისწინებაც საჭიროა ქვეყნის ან რეგიონის სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნის დროს;
- საინვესტიციო გარემომ არ უნდა დაარღვიოს სამეურნეო სისტემების ეკონომიკური მდგრადობისა და ეკონომიკური უსაფრხოების კომპლექსური თვისებები. ეს განაპირობებს ოპტიმალური სტრუქტურის აუცილებლობას;
- ინვესტორებისა და ინვესტირებადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინტერესთა ბალანსის დაცვის მიზნით საჭიროა მოზიდული

ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის და საინვესტიციო გარემოს კეთილსასურველობის კომპლექსურად შეფასება.

- ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ყველაზე რაციონალური საინვესტიციო გარემოს მაჩვენებლად მოზიდული ინვესტიციების მოცულობისა და მათი ზრდის განხილვა სამეურნეო სისტემის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სამეცნიერო ტექნილიგიური პერსპექტივებისათვის მისი შედეგების გაუთვალისწინებლად.

საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს კი შემდეგი ამოცანების დროულად გადაჭრაზეა დამოკიდებული:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. იგი აკავებს ინფლაციასა და აფერხებს წარმოების დაცემას. თანაც, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთის მუდმივი კონტროლი და მათზე დროულად რეაგირება. ბევრი რამ დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრის თეორიული წანამძღვარების სწორად შერჩევაზე, ინფლაციის მიზეზების შესწავლასა და მისი შეკავების მეთოდების დანერგვაზე, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემო-ქმედების ღონისძიებებზე, საბაზრო კონკურენციის განვითარებაზე და ა. შ.

2. ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;

3. სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

4. აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის

სათანადო სისტემა. [22]

დღეისათვის საქართველოში სადაზღვევო კომპანიებში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფიზიკურ პირებისათვის ხელსაყრელი რისკების დაზღვევა, მაგალითად სიცოცხლე, ქონება, ავტომანქანა. მაგრამ, რაც შეეხება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია კომერციულ ან საწარმოო საქმიანობასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს სერიოზული ფინანსური რისკი, ხშირად პრობლემა ხდება იურიდიულ პირებისათვის, მისაღებ პირობებში გაუზიარონ თავიანთი რისკები მზღვეველებს.

ინვესტორი შეიძლება შეუთანხმდეს სადაზღვევო კომპანიას იმ სახსრების დაზღვევაზე, რომლებიც საინვესტიციო პროექტის დაფინანსებაზეა გამოყოფილი, მაგრამ სადაზღვეო პრემია ისეთი დაინიშნება, რომ ინვესტორისათვის დაზღვევა დაკარგავს ყოველგვარ აზრს. საქმე ის კი არ არის, რომ მზღვეველებს არ სურთ რთული ბიზნესის დაზღვევა, არამედ ის, რომ მათ არ შეუძლიათ ამის კარგად გაკეთება.

იმისათვის რომ ეს განხორციელდეს, უნდა შეფასდეს საქართველოში პროექტების რეალიზაციის რეალურად არსებული პრაქტიკა, გამოირკვეს ამ საქმეში არსებული ნაკლი და სიძნელეები, რომლებიც არსებითად მოქმედე-ბენ რისკების სისტემაზე. რომლის შემდეგაც მიღებული უნდა იქნას რისკების შემცირების ზომები მისაღებ დონემდე.

აუცილებელია ბევრი რამ გაკეთდეს, როგორც საკანონმდებლო, ისე ნორმატიული კუთხით იმ მოქმედებების დასარეგულირებლად, რომლებიც ააცილებენ ბიუკოკრატიულ დაბრკოლებებს სასარგებლო პროექტების აქტიური მხარდაჭერის საქმეში, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა საშუალებებით, რაც ტარდება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

თუ სწორად გავაანალიზებთ პროექტს და განსაკუთრებით მისი პრაქტიკული რეალიზაციის ბიზნეს-გეგმას, მაშინ დიდი ალბათობით შეიძ-ლება წინასწარ ვიპოვოთ სერიოზული პრობლემები, რომლებიც აუცილებლად დადგება მონაწილეთა წინაშე. სადაზღვევო ბაზრის

მოცემულ სეგმენტს (საინვესტიციო პროექტების დაზღვევა) თავისი სპეციფიკური თავისებურებანი აქვს, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო დაზღვევის ორგანიზების დროს.

სავარაუდოდ, საინვესტიციო დაზღვევა, რომელსაც ცხადია ეკუთვნის საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისა და ფინანსირების რისკების დაზღვევა, ერთდროულად შედის სამ არსებულ დაზღვევის დარგში:

- ქონებრივი დაზღვევა;
- ვალდებულებების დაზღვევა;
- ეკონომიკური რისკების დაზღვევა.

ქონებრივი დაზღვევა განიხილება როგორც დაზღვევის დარგი, რომელშიც სადაზღვევო კანონდამოკიდებულების ობიექტად გვევლინება ქონება სხვადასხვა სახით. მისი ეკონომიკური დანიშნულებაა ზარალის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვება სადზღვევო შემთხვევის გამო.

ვალდებულებების დაზღვევისას ობიექტის როლში გამოდის მესამე პირის (იურიდიული ან ფიზიკური) მიმართ ვალდებულება, რომელიც შეიძლება იყოს ზარალის მიზეზი, მზღვევლის რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად. სამწუხაროდ, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის პროცესის დროს ვინმეს მიმართ ზარალის მიყენება არათუ შესაძლებელი, არამედ მოსალოდნელიცაა.

ეკონომიკური რისკების დაზღვევაში (საწარმოო რისკებში) გამოიყოფა ორი ქვედარგი: პირდაპირი და ირიბი დანაკარგების რისკების დაზღვევა. პირდაპირ დანაკარგებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემოსავლების მიუღებლობით დანაკარგები, დანადგარების გაცდენით გამოწვეული ზარალი, ნედლეულის, მასალის და მაკომპლექტებელი პროდუქტებით მოუმარაგებლობით, გაფიცვებით და სხვა ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ზარალი. ირიბ დანაკარგებს – დაკარგული სარგებლის დაზღვევა, საწარმოს გაკოტრება და სხვ. [29]

საინვესტიციო დაზღვევის სფეროში ეკონომიკური რისკების დაზღვევის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ იმ რისკების კლასიფიკაცია,

რომლებიც არსებობენ ან იქმნება მოცემული სახის საინვესტიციო პროექტისათვის.საინვესტიციო დაზღვევისას სადაზღვეო კომპანიები სხვადასხვა პროექტებში შეხვდებიან რთულ, და შესაძლებელია, რისკების სხვადასხვა სისტემას, რომლებიც ერთიდაიგივე კლასიფიკაციას არ ეკუთვნიან. თავის მხრივ ეს ნიშნავს, რომ რაიმე საინვესტიციო პროექტის რისკების დაზღვევისათვის მზადებისას აუცილებელია გამოკვლეულ იქნას რეალურად არსებული რისკების სისტემა და დოკუმენტურად მკაფიოდ იქნას დაფიქსირებული.

საქართველოში ზოგადად იქმნება საინვესტიციო პროექტების მასშტაბური რეალიზაციის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ მათი რეალიზაციის და დაფინანსების რისკების უყრადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებელია ეფექტურად ვმართოთ ეს რისკები ადეკვატური სისტემების შექმნით, მაგრამ არანაკლები როლი უნდა ეკუთვნოდეს საინვესტიციო დაზღვევას. რაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად დაფუძნდება საქართველოს სადაზვევო ბაზრის მოცემული სეგმენტი, ქვეყნისათვის მით უფრო დიდ სასარგებლო აქტიურობას განავითარებენ ქართველი და უცხოელი ინვესტორები. რაც შეეხება საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსების რისკების მართვას, ამის ათვისება მოუწევთ პროექტის დაფინანსების ყველა მონაწილეს, სადაზ-ღვევო კომპანიების ჩათვლით.

საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე ინვესტიციური პროცე-სების თეორიული საფუძვლებისა და ინვესტირების პრაქტიკის განზოგადე-ბის საფუძველზე, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ინვესტი-ციური კრიზისის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დავსახოთ ინვესტი-ციური სფეროს განვითარების გარკვეული პერსპექტივები. სახელდობრ, ინვესტიციური პროცესის გააქტიურებისა და სრულყოფისათვის მიზანშე-წონილია შემდეგი წინადადებების დაყენება:

1. აუცილებელია ისეთი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც მუდმივად იქნება საინვესტიციო პოლიტიკით დასაქმებული;

2. საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომლის განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოების მოცულობის დაქვეითებით, საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობითა და შრომის მწარმოებლურობის კრიტიკული დონით ხასიათდება, არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს დაგროვების ნორმის გადიდებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მაღალ დონეზე დაგროვების ნორმას სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს რეგულირების უპირატესად არაპირდაპირი და პირდაპირი ეკონომიკური მეთოდებით. აუცილებელია შიდა კერძო ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, რადგან სწორედ მათ უნდა შექმნან ქვეყანაში ინვესტიციური პროცესის ფინანსური საფუძველი და ეს ორიენტირი სავსებით ესადაგება ინვესტიციების მსოფლიო პრაქტიკას.

სახელმწიფომ ინვესტიციური პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებითა და დაკრედიტებით, მიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი დაგროვების ფონდის ზრდას.

3. სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. მართლაც, პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება სახელმწიფოს სამრეწველო და საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა.

პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბ-

მულობა და ა.შ.). და ბოლოს, ეს ის წარმოებებია, რომლებსაც ქვეყნისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

4. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს დაფინანსების ან დაკრედიტების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ბიუჯეტიდან არადაბრუნებად დაკრედიტებაზე გადასვლა. ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია ძირითადად სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაფინანსება. გარდა ამისა, შეზღუდული ცენტრალიზებული ინვესტიციური რესურსების განთავსება უნდა ხდებოდეს მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებთან მკაცრი შესაბამისობით და კონკურსის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პრიორიტეტულ მიმართულებებზე მათ წარმართვას.

დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ ვითრებაში ძნელია საწარმოთა (რომელთა რიცხვი არც ისე დიდია) დაინტერესება საინვესტიციო ანაგრიშების გახსნით. საამისოდ აუცილებელია სტიმულირების ქმედითი ეკონომიკური მექანიზმის ამოქმედება. ამგვარ მექანიზმად უნდა იქცეს საწარმოთა ინვესტიციურ დანახარჯებზე შეღავათების გაწევის არსებულისაგან განსხვავებული წესი. კერძოდ, საინვესტიციო ანგარიშებზე საწარმოების მიერ ჩარიცხული სახსრები უნდა გათავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან (მოგების იმ მთელი თანხის ჩათვლით, რომელიც ინვესტირებას ხმარდება). შეღავთები გამოყენებული უნდა იქნეს არა ხარჯების გაწევისათვის, არამედ საწარმოს მიერ ინვესტიციური პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში დაგეგმილი დანახარჯებისათვის.

ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას ინვესტიციების (როგორც სამამულო, ისე უცხოური) ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო. დღეისათვის შექმნილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებულ ობიექტების

რესტრუქტურიზაციას და მენეჯმენტს, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს არ არის საკმარისი. სასურველია მას დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

- ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ინვესტირების უფლებების დაცვა;
- ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია;
- ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე კონტროლი; ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში.

როგორც ცნობილია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებაში ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და ევრო-გაერთიანების წევრი ქვეყნები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხელს უწყობს როგორც მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს სრულ ინტეგრაციასა და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებას, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

როგორც აღინიშნა, საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხოციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. [22]

კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას. [29]

აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე – სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში. ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა გაიცეს და

უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებენ უცხოურ ინვესტიციებს. ასეთებია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსებურგი. დიდ ბრიტანეთში შეზღუდვაც კი არის დაწესებული უცხოურ კაპიტალ-დაბანდებებზე ავიაკოსმოსურ მრეწველობაში, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე, კინომრეწველობასა და ტელერადიო მაუწყებლობაში.

აშშ-ში აკრძალულია უცხოური კაპიტალის მიერ ფლობა და კონტროლი ისეთ კორპორაციებზე, რომლებიც ტელერადიომაუწყებლობას, ტელეგრაფს, თანამგზავრულ კავშირს, ატომურ ელექტროსადგურების მშენებლობას და ექსპლუატაციის სფეროს განეკუთვნება.

იტალიაში უცხოური კაპიტალის დასაბანდებლად ისეთ დარგებში, როგორიცაა ნაოსნობა, დაზღვევა, საბანკო საქმე სათანადო სამინისტროების ნებართვაა აუცილებლად საჭირო.

ფინეთში აკრძალულია უცხოური ინვესტირება ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის ისეთ სფეროებში, როგორიც არის სამთო-მომპოვებელი, ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, რკინიგზის ტრანსპორტი.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში უცხოური კაპიტალის დაბანდება ყველა დარგში ნებადართულია მხოლოდ პარიტეტულ საწყისებზე – ესპანეთის და კაპიტალის დამბანდებელი ქვეყნის თანაბარი წილით. ყოველ შემთხვევაში ყველა ქვეყანა ამ პროცესზე ახორციელებს თავის კონტროლს.

დიდ ბრიტანეთში ეს ხდება ინდივიდუალური ნებართვით, რასაც იძლევა ინგლისის ბანკი. საფრანგეთში ამისათვის საჭიროა სპეციალური დელკარაციის წარდგენა ეკონომიკისა და ფინანსების და ბიუჯეტის სამინისტროებში, რომლებიც იძლევიან დაბანდებებზე წინაწარ ნებართვას.

გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში ასეთი წინასწარი ნებართვები საჭირო არაა. იაპონიაში, სადაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების სფეროში ლიბერიზაცია, ინვესტირებაზე შეიტანება შეტყობინება იაპონიის ბანკის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროში და 30 დღეში უკვე იწყება ინვესტირება.

ყველაზე ლიბერალური და ხელშემწყობი რეჟიმი ამ სფეროში აქვს გერმანიას, სადაც საჭირო არაა შეტანასა და გატანაზე სპეციალური ნებართვა, იგი თავისუფალია და რაიმე შეზღუდვას არ ექვქმდებარება. ასეთივეა ლუქსემბურგიც, სადაც არც კაპიტალის წილის შეზღუდვა არსებობს, არც გამგეობაში მონაწილეობის და არც მოგების განაწილების. პორტუგალიაში შეღავათებიც კი არის დაწესებული უცხოურ ინვესტიციებზე, განსაკუთრებით პრიორიტეტულ დარგებში ელექტრონიკა ში, ინფორმატიკაში, ბიოტექნოლოგიაში, ტურიზმში, ჩამორჩენილ რაიონებ-ში, საექსპორტო ბაზის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა არ იქნება ურიგო ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. [13]

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობე-ბის არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა. შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფერო-ვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია.

მსოფლიოს ენეგრტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სრტატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

აღსანიშნავია სუფსის ტერმინალისა (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) და აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის“ ნავთობსადენის მშენებ-ლობის პროცესი, რომელმაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა.

მეტად პერსპექტიულად არის მიჩნეული ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით გაზის ტრანპორ-ტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო შემოსავლებს, უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის სწრაფად განვითარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებ მიმზიდველი რჩება.

2.7. ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

დღევანდელ დღეს, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან პერსპექტივებს ბადებს ინვესტიციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, იქმნება ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მისთვის საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად უნდა დავასახელოთ ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება, ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებებია ტრანსპორტში.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ეს პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში და გარკვეული შეღავათების დაწესებაში, იმისათვის რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ააღორძინებს მათ და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ტურიზმის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე უაღრესად ფართო მასშტაბიანი და მრავალმხრივია. ეს გამოიხატება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. პირდაპირი ზემოქმედება გულისხმობს სახელმწიფო და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება ტურიზმის განვითარებით ეკონომიკის სხვა დარგების სტიმულირებაში.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მასტიმული რებელი ფაქტორების ეფექტიანად გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს, ასეთ გამოცდილებას დიდი როლის შესრულება შეუძლია

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს, მითუმეტეს, რომ დავას არ იწვევს მისი დიდი პოტენციალი და ქვეყნის სამომავლო შესაძლებლობები ამ დარგის განვითარებაში.

სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ასევე შეუძლია ააღორძინოს სოფლის მეურნეობა, რომელიც ამჟამად თითქმის განადგურების პირასაა მისული. იმის გამო, რომ არ იქნა გამოკვეთილი ამ დარგში ქვეყნისათვის პრიორეტული მიმართულებები, ვერ მოხერხდა ვერც მევენახეობა-მეღვინეობის, ვერც მეჩაიეობის და ვერც სოფლის მეურნეობის სხვა რომელიმე პროდუქციის მოცულობის ზრდა, პირიქით, 1990-2004წლების პერიოდში ზოგიერთი წლის განმავლობაში ხდებოდა მისი მნიშვნელოვანი შემცირება. [28]

ამავდროულად, ბოლო წლებში შეინიშნება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების რაოდენობის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში მაინც არაა საკმარისი ამ დარგის საბოლოო განვითარებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 50% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული სფერო განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის პრიორეტული უნდა გახდეს.

განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი. უნდა ითქვას, რომ ყურძნის წარმოება 2004 წლიდან 2007 წლამდე თითქმის 9,2 %-ით შემცირდა (2004 წელს – 99,0 ათასი ტონა, 2007 წელს –91,0 ათასი ტონა). ამავე დროს შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ძნელდება მოწეული პროდუქციის გადამუშავება.[24]

მეღვინეობის განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ის, რომ ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული ნაწარმით. სახელმწიფოს მხრიდან ღვინის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ მიმართული მკაცრი ღონისძიებები როგორც შიდაბაზარზე, ისე მის გარეთ უზრუნველყოფს თავიდან აცილებული იქნას ის სირთულეები, რაც ექმნება შემოდგომაზე მოწეული

ყურძნის ჩაბარებას: ღვინის ქარხნები უარს ამბობენ ყურძნის მიღებაზე იმ უბრალო მიზეზით, რომ მეწარმისათვის არაა მომგებიანი ღვინის წარმოება, რადგან ვერ ხდება წარმოებაზე დახარჯული სახსრების ამოღება. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული შესაბამისი ღონისძიებები მნიშვნელოვანი სტიმული იქნება აღნიშნული სექტორის აღორძინების საქმეში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა საბაზრო სივრცე გაჯერებული იყო ქართული ჩაის პროდუქციით. რამდენადაც მას ამ ბაზარზე თითქმის არ ჰყავდა კონკურენტი, მიუხედავად მისი დაბალი ხარისხისა, მაინც დიდი რაოდენობით იწარმოებოდა და შესაბამისად ჩაის პლანტაციებს დიდი ფართობი ეკავა (დაახლოებით 100 ათასი ჰექტარი). ასეთ ფართობზე გაშენებული ჩაის მოვლა დღევანდელი ტექნიკურ-მატერიალური ბაზით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თუ მოხდება მისი ოპტიმიზაცია (ანუ, მისი შემცირება 20-25 ათას ჰექტრამდე), ჩაის მოყვანისათვის და გადამამუშავებისათვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, შესაძლებელია ჩაის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რაც მას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის და გაზრდის მის ღირებულებას (ამჟამად 1 კილოგრამი ჩაი 60 ცენტი ღირს). ამის გაკეთება კი შეუძლებელია ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. რაშიც სახელმწიფოს დიდი როლი აკისრია. [29]

მიუხედავად დანარჩენ დარგებში არსებული მძიმე სურათისა, ყველაზე ცუდი მდგომარეობა 2003 წელს ტრანსპორტის სფეროში იყო. თითქმის არ არსებობდა სატრანსპორტო მეურნეობა, ხოლო ის რაც იყო, არათუ არ პასუხობდა არავითარ სტანდარტს, არამედ მასში არ მოიძებნებოდა ცივილიზაციის ნიშნებიც კი. დღევანდელი მდგომარეობით ამ საფეროში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება, განსაკუთრებით საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტს შეეხება.უკეთესის სურვილს ბადებს ასევე საგზაო მეურნეობა. ურომლისოდაც შეუძლებელია ტრანსპორტის განვითარება. მიუხედავად იმისა რომ ამ სფეროში ხდება ინვესტიციების ჩადება, ჯერ–ჯერობით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს კი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურა-

დღებას ითხოვს განხორციელებული ინვესტიციების მიზნობრივი ხარჯვის კუთხით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, მაშინ ნათელი ხდება ტანსპორტისა და საგზაო მეურნეობის განვითარების მნიშვნელობა. ასე, რომ ამ სფეროში მოზიდული ინვესტიციების მიზნობრივ გამოყენებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლო დანიშნულება აქვს.

ქვეყნის განვითარებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების გამართულ ფუნქციონირებას. ამ მხრივ საქართველოში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. მაგრამ ეს ძირითადად ფიჭური კავშირების განვითარების ხარჯზე მოდის, ხოლო რაც შეეხება რეგიონებში სატელეფონო სადგურების რაოდენობას და მათ გამართულ მუშაობას, ამ მხრივ მდგომარეობა კრიტიკულია. სატელეფონო სადგურების რაოდენობა 2001 წლიდან 2007 წლამდე დაახლოებით 54%-ით შემცირდა. ამასთან, გაიზარდა სატელეფონო ქსელში ჩართული ბინების რაოდენობა (78%-ით). [24]

თუ დიდ ქალაქებში ასე თუ ისე გამართულად მუშაობენ სატელეფონო სადგურები, რეგიონებში საერთოდ არ ფუნქციონირებენ მათი გაუმართაობის გამო. ხოლო ზოგ რეგიონს ტელეფონიზაცია ჯერ კიდევ არ შეხებია. ასე, რომ ამ მხრივ სასურველია ინვესტიციების მოზიდვა და ამ სექტორის გამოცოცხლება.

უნდა ითქვას, რომ საინვესტიციო რესურსები შეზღუდულია, მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში და ამიტომ მათი ხარჯვა დასაბუთებულ მიდგომას მოითხოვს. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს პოლტიკური ძალაუფლების სუბიექტს და ფლობს საკონონმდებლო ბაზას, რომელმაც თავის მხრივ უნდა მოაწესრიგოს საინვესტიციო პროცესები. ინვესტიციებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მათი გონივრული გამოყენებით, შეუძლიათ უახლოეს წლებში თვისობრივი გადატრიალება მოახდინონ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

მთავარია სახელმწიფომ შექმნას შესაბამისი სტრუქტურები წარმოების ფუნქციონირების ოპტიმალური პრინციპების გათვალისწინებით. ამ სტრუქტურებმა უნდა მოიცვან არა მარტო და არა იმდენად ე.წ. „ინდუსტრიული ცენტრები“, არამედ აგრარული წარმოების ტრადიციული რეგიონები.

მნიშვნელოვანია არამარტო 2002-2007 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი, არამედ 2008-2013 წლებში ინვესტიციების მოზიდვის მოსალოდნელი პროცესი. პროგნოზით, 2002-2007 წლებთან შედარებით, მომდევნო ხუთწლედში მოსალოდნელია ინვესტიციების რაოდენობის დაახლოებით 5,2-ჯერ ზრდა. შესაბამისად იზრდება უცხოური ინვესტიციების რაოდენობა სამამულოსთან მიმართებაში.[24]

წინა 2002-2007 წლებში ინვესტიციების შემოდინების ტემპის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება - უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის მიერ გათავლისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

1. კვლავ უნდა გატარდეს ხელშესახები ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, რეალურად და არა მხოლოდ სიტყვიერად შემცირდეს გადასახადები სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობაზე, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მეწარმისათვის (ის ცვლილებები, რაც ამ მხრივ შეტანილია ახალ საგადასახადო კოდექსში, არაა საკმარისი, რათა მოხდეს ინვესტორთა დაინტერესება).

2. აუცილებელი და მიზანშეწონილია სახელმწიფოს საკუთრებაში (სრულად ან შერეული ფორმით) დარჩეს ზოგიერთი საწარმო. 100%-იანი პრივატიზაცია არამომგებიანია, პირველ რიგში, სახელმწიფოსათვის, ამას მრავალი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს. გერმანიაშიც კი, რომელიც პრივატიზაციის პროცესის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითავლოს, არ მოხდა სახელმწიფო საკუთრების სრული პრივატიზაცია.

3. ამავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხები მთლიანად ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას კი არ უნდა მოხმარდეს, არამედ თანხის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული დარგების, ნაწილობრივად მაინც, დაფინანსებაზე წარიმართოს, ან მოხდეს შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რაც გარკვეულ წილად შეუმსუბუქებდა ადგილობრივ ინვესტორებს საქმიანობას.

4. ინვესტირების ამა თუ იმ მიმართულების შერჩევა მარტო ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე არასაკმარისად დასაბუთებულად ითვლება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები სახელმწიფო ინვესტირების მექანიზმისმნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები და უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკურ შეღავათებთან (პირველ რიგში კი საგადასახადო შეღავათები) კერძო საინვესტიციო ნაკადები. კონკრეტულ მიმართულებაზე ინვესტირების სტიმულირება კერძო ინვესტორებს მისცემდა გრძელვადიან ასპექტში თავიანთი საქმიანობის დაგეგმვის შესაძლებლობას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისათვის.

დასკვნა

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა, რომელიც ქმნის ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური ზრდის აუცილებელ წანამძღვრებს და პირობებს დღეს მეტად აქტუალურია, ვინაიდან ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია დასახული მიზნების მიღწევა. ამდენად, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება მეტად აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან დღეს, როგორც არას-დროს, ქვეყანაში არსებობს კაპიტალის ბაზარი ყველა მისი ინსტიტუტით, საინვესტიციო ფონდების და კომპანიების ჩათვლით.

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, შემცირდა, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მეწარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუამავლო სექტორში.

საქართველოში ღრმა ინვესტიციური კრიზისის მიზეზები და გამოვლინების ფორმებია:

1. კაპიტალური დაბანდებების და დაგროვების მკვეთრი შემცირება;
2. რეფორმების არასაკმარისი (არაეფექტური) შედეგები ინვესტიციურ სფეროში;
3. საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოთა ფინანსების გაუარესება;
4. ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე;

5. მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და წარმოების საერთო დაცემის ფონზე სუსტია ქვეყნის საინვესტიციო აქტიურობა, ამასთან, ამ სფეროში შექმნილი სურათი არაერთგვაროვანია.

6. მთლიანობაში ინვესტიციების შემცირება ყველაზე საგრძნობლად გამოვლინდა საწარმოო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაში. ასეთი შემცირება გათვალისწინებულია თვითონ რეფორმების საერთო კონცეფ – ციით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში ასეთი პოლიტიკა ძალზე წამგებიანია და იგი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა სტაბილიზაციას შედარებით ხანმოკლე პერიოდში აღწევს.

7. საქართველოს შემთხვევაში, მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან გახანგრძლივდა და ასეთ პირობებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შეკვეცა ეკონომიკის პარალი – ზების ფაქტორად გვევლინება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მაღალი ტემპით;
- ანტიინფლაციური პოლიტიკით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების აუცილებლობით;
- სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შეკვეცით.

8. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე;

9. პრივატიზებული საწარმოები, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოები, განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას და ამცირე- ბენ ინვესტიციებს. პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს გაუმჭვი- რვალედ, რაც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობას (როგორც საზოგა- დოებისათვის ისე ინვესტორებისათვის) და ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას, რის გამოც არაერთი გარიგება ჩაიშალა.

სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემო შექმნა. ადგილობრივ მეწარმეთა

საინვესტიციო აქტივობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- აუცილებელია დაჩქარდეს არსებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესი;
- საჭიროა საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება;
- უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელი. ამისათვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზაა მოსამზადებელი.
- ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება (რეგიონის უზრუნველყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, თავისუფალი მიწების არსებობა საწარმოო ინვესტირებისათვის, ენერგო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და ა. შ.)
- მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოების, მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების დარგების განვითარების დონე, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობა, ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის ხარისხი და ა. შ.);
- რეგიონის საბაზრო გარემო (საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრივატიზაციის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე, ინფლაცია და მისი ზეგავლენა საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პროცესებში მოსახლეობის ჩაბმის დონე, მეწარმეობის კონკრეტული გარემოს განვითერება, გასაღების ადგილობრივი ბაზრის ტევადობა, მეურნეობათა შორისი კავშირების ინტენსივობა, საექსპორტო შესაძლებლობები, საზღვარგარეთული კაპიტალის არსებობა);
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვარგარეთელი ინვესტორებისადმი, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვა, ოპერატიულობის დონე საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის

პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობები, ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანი თვისებები და ეთიკა);

საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს კი შემდეგი ამოცანების დროულად გადაჭრაზეა დამოკიდებული:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა.

2. ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;

3. სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

4. აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სათანადო სისტემა.

5. უნდა შეფასდეს საქართველოში პროექტების რეალიზაციის რეალურად არსებული პრაქტიკა, გამოირკვეს ამ საქმეში არსებული ნაკლი და სიძნელეები, რომლებიც არსებითად მოქმედებენ რისკების სისტემაზე. რომლის შემდეგაც მიღებული უნდა იქნას რისკების შემცირების ზომები მისაღებ დონემდე.

6. აუცილებელია როგორც საკანონმდებლო, ისე ნორმატიული კუთხით იმ მოქმედებების დარეგულირება, რომლებიც ააცილებენ ბიუკოკრატიულ დაბრკოლებებს სასარგებლო პროექტების აქტიური მხარდაჭერის საქმეში, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა საშუალებებით, რაც ტარდება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

7. თუ სწორად გავაანალიზებთ პროექტს და განსაკუთრებით მისი პრაქტიკული რეალიზაციის ბიზნეს-გეგმას, მაშინ დიდი ალბათობით

შეიძლება წინასწარ ვიპოვოთ სერიოზული პრობლემები, რომლებიც აუცილებლად დადგება მონაწილეთა წინაშე.

8. აუცილებელია გამოვიყენოთ იმ რისკების კლასიფიკაცია, რომლებიც არსებობენ ან იქმნება მოცემული სახის საინვესტიციო პროექტისათვის. საინვესტიციო პროექტის რისკების დაზღვევისათვის მზადებისას აუცილებელია გამოკვლეულ იქნას რეალურად არსებული რისკების სისტემა და დოკუმენტურად მკაფიოდ იქნას დაფიქსირებული.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფე-როვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებ მიმზიდველი რჩება.

უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის მიერ გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

1. კვლავ უნდა გატარდეს ხელშესახები ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, რეალურად და არა მხოლოდ სიტყვიერად შემცირდეს გადასახადები სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობაზე, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მეწარმისათვის.

2. აუცილებელი და მიზანშეწონილია სახელმწიფოს საკუთრებაში (სრულად ან შერეული ფორმით) დარჩეს ზოგიერთი საწარმო. 100%-იანი პრივატიზაცია არამომგებიანია, პირველ რიგში, სახელმწიფოსათვის, ამას მრავალი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს.

3. ამავ დროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრივატიზა–ციიდან შემოსული თანხები მთლიანად ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას კი არ უნდა მოხმარდეს, არამედ თანხის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული დარგების, ნაწილობრივად მაინც, დაფინანსებაზე წარიმართოს, ან მოხდეს შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რაც გარკვეულ წილად შეუმსუბუქებდა ადგილობრივ ინვესტორებს საქმიანობას.

4. ინვესტირების ამა თუ იმ მიმართულების შერჩევა მარტო ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე არასაკმარისად დასაბუთებულად ითვლება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები სახელმწიფო ინვესტირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები და უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკურ შეღავათებთან (პირველ რიგში კი საგადასახადო შეღავათები) კერძო საინვესტიციო ნაკადები. კონკრეტულ მიმართულებაზე ინვესტირების სტიმულირება კერძო ინვესტორებს მისცემდა გრძელვადიან ასპექტში თავიანთი საქმიანობის დაგეგმვის შესაძლებლობას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგი ბაღათურია სტრატეგიული დაგეგმარება, მეთოდური საფუძვლები 96 გვ, (თბილისი 2009 წელი)

2. მარინე ღუდუშაური თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში, 165 გვ, (თბილისი 2009 წელი)

3. მ. თევდორაძე, ნ. ნასყიდაშვილი, ნ. ლოლაშვილი, თ. ზაზაშვილი, ნ. პატიაშვილი მენჯმეტი (ზოგადი მენეჯმეტი) 141 გვ. (თბილისი 2009 წელი)

4. მ. ვანიშვილი, ზ. ვაშაკიძე, ნ. კიკაჩეიშვილი, გ. ჯუღელი საქართველოს საგადასახადელო ბალანსისი სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურე-ბანი 120 გვ, (თბილისი 2009 წელი)

5. ა. სამადაშვილი სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმეტი 247 გვ. (თბილისი 2009 წელი)

6. გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია სტრატეგიული მართვის კიბერნეტიკული მეთოდი 118 გვ. თბილისი 2009 წ.

7. В. С. Лосев, П. М. Сабитова, Инновационный менеджмент на транспорте, Учебное пособие, Хабаровск, 2006 г 193გვ.

8. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. „Основы менеджмента“, М, 1992 г 493 გვ.

9. Б. В. Воронцов, А. М.Колесников БАНКОВСКОЕ КРЕДИТОВАНИЕ ИНВЕСТИЦИОННЫХ ПРОЕКТОВВ ПРОМЫШЛЕННОСТИ Санкт-Петербург 2007 г გვ. 132

10. Fred Goult. Innovation Strategies fora Global Economy: Development, Implementation, Measurementand Management (გლობალური ეკონომიკის ინოვაციური მიდგომები/სტრატეგიები.) 2010 211p

11. Cristiano Antonell The Economicsof Innovation, New Technologies and Structural Change: Financial Crisis, Corporate Reformand Institutional Transition (ინოვაციების ეკონომიქსი, ახალი ტექნოლოგიები და სტრუქტურული ცვლილებები.) 2010 გვ. 210

12. G.M. Pater Swann The Ekonomics of Innovation An introduction Emeritus Professor of Industrial Economics, University of Nottingham, UK 2011 გვ. 445

13. ევგენი ბარათაშვილი, მაგრაქველიძე დალი, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი, 2009, გვ. 37-54

14. ნ. ბებიაშვილი, ინვესტიციების კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნების მიხედვით//ეკონომიკა, 2005 წ. №78 გვ. 49-52.

15. ნ. ზედგენიძე საინვესტიციო პროექტების შემუშავების გადაწყვეტილებები. თბილისი: საქართველოს ეკონომიკა, 2006 წ. №4 გვ. 64-65.

16. ნ. ზედგენიძე საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება. თბილისი: სოციალური ეკონომიკა. 2004 წ. №1 გვ. 117-122.

17. თ. კილაძე, ნ. დიდიშვილი, მენეჯმენტის საფუძვლები, მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესაასრულებლად, თბილისი, 2009, გვ. 34

http://www.gtu.ge/publishinghouse/books2/oragvelidze...%20metod.%20A4.pdf

18.. რ. მახვილაძე, კ. მახვილაძე, ჯ. ჩოგოვაძე, დ. ჭელიშვილი, ი. გოგოლაძე. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. I ნაწილი, ინვესტიციების თეორია, თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005 წელი. გვ.76-89

19. მენეჯმენტი. / მ. ზუბიაშვილი, ა. მარუაშვილი, ა, მღვდელაძე /. 2010 წ.

20. მენეჯმენტის პრინციპები. /ე. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური/. 2010 წ. გვ. 86-93

21. ჟ. ორაგველიძე, თ. კილაძე, ი. ბოჭოიძე, საწარმოო მენეჯმენტი, მეთოდური მითითებები ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვისათვის, 2009, გვ. 76

22. პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები / ზ.ჩხაიძე/ 2011 წ.

23. საინოვაციო მენეჯმენტი. /ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე/ 2009 წ. გვ, 73-79

24. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

25. სტივ ლემბი და კრის ჯონსი კაპიტალდაბანდებების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები. თარგმანი მეექვსე გამოცემიდან. თბილისი:

გამომცემლობა ჯისიაი, 2002 წელი.
26. ქოქიაური ლამარა. საინვესტიციო კლიმატის შეფასების კრიტერიუმები. სოციალური ეკონომიკა, 2002. № 5 გვ 118-123.
27. ქოქიაური ლამარა. ინვესტიციების ბაზარი: პოლიტიკა, თეორია, პრაქტიკა. თბილისი: სიახლე, 2000 წ., გვ, 99-102
28. ქოქიაური ლამარა. ინვესტიციების განხორციელების საფუძვლები. თბილისი: ფინანსები, 2002 წ. გვ. 135
29. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი 2008, გვ 69-94
30. ც. ჯაფიაშვილი, IT-პროექტების მენეჯმენტი, (MSProject-ის გამოყენებით) http://www.economics.tsu.ge/mmfid/IT-ProjectMarTva.pdf
31. Новиков Ф. А., к.ф.-м.н.Опалева Э. А., к.т.н.Степанов Е. О., к.ф.-м.н.Учебно-методическое пособие по дисциплине «Управление проектами и разработкой ПО»
32. Б.В. Воронцов, А. М. Колесников, Банковское кредитование инвестиционных проектов в промышленности, Монография, ГУАП, 2007
33. Л. И. Губкин, Управление факторами, влияющими на эффективность инвестиционно-иновационных проектов, Санкт-Петербург, 2007 ст. 3-7
34. Ю. В. Немтинова, Б. И. Герасимов, Качество инвестиционных проектов промышленных производств, Москва, 2007, ст. 66-94
35. М. В. Кангро, МЕТОДЫ ОЦЕНКИ ИНВЕСТИЦИОННЫХ ПРОЕКТОВ, Учебное пособие, Ульяновск, 2011. ст. 14-17
36. Новиков Д. А., Иващенко А. А. Модели и методы организационного управления инновационным развитием фирмы. – М.: ЛЕНАНД, 2006.с.120-155.
37. А.С. Волков, А.А. Марченко. Оценка эффективности инвестиционных проектов М. Риор. 2002 г.
38. А. С. Шапкин. Экономические и финансовые риски, оценка, управление, портфельинвестиций. Пятое издание. Москва, 2006 г.
39. Е. А. Кучарина. Инвестиционный анализ М.:Питер, 2007 г.

40. И. В. Липсиц, В. В. Коссов. Экономический анализ реальных инвестиций – М.:экономист, 2003 г.

41. Основы инвестиционного менеджмента. Теория и практика: Учебник Л. С. Бархотин и др. под редакцией А. К. Казанцева, М. Э. Миндели – М.; ЗАО. Экономика, 2004 г.ст. 88-95

42. М. И. Ример, А. Д. Касамонов, Н. Н. Мамиенко. Экономическая оценка Инвестиций. 2-еиздание. Издательская программа “ПИТЕР”. Москва-Нижний Новгород. Воронеж. Ростов-на-Дону. Екатеренбург. Самара. Новосибирск. Киев. Харьков. Минск, 2007 г.

43. П. Л. Виленский, В. Н. Лившиц, С. А. Смоляк. Оценка эффективности инвестиционных проектов 5 теория и практика. Учеб-практ. Пособие – М.:Дело, 2001 г.

44. Принципи инвестиции. четвертое издание, Эви Бонди, Алекс Кейн, Алан Дж. Маркус.Москва-Санкт-Петербург-Киев, 2008 г.